ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
№099 (12778) 30 აპრილი ხუთშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი

სენსაციური აღიარება: უმაღლესი რანგის საგზაურში ფულს გვთხოვდნენ

» 4

ერთი კვირა განსჯისთვის...



მანჩესტერელები ო'შის გოლს ზეიმობენ

„ბარსელონა"-"ჩელსისგან" განსხვავებით, გუშინ ბევრად გახსნილი ფეხბურთი ვიხილეთ, ასე ვთქვათ, სუფთა პრემიერლიგური ფეხბურთი. და მერე? - ფერგიუსონი ვენგერის წინააღმდეგ - ამაზე დიდი ინტრიგა დღევანდელ ინგლისურ ბურთაობაში რა უნდა იყოს? თანაც, პირველად ევროარენაზე...

რა თქმა უნდა, მატჩის ხასიათი მთლად პრემიერლიგურიც ვერ იქნებოდა. სათასო ჯახს სხვა სპეციფიკა აქვს. აქ ერთი პატარა შეცდომაც კი ფატალური შეიძლება აღმოჩნდეს... თუმცა „მანჩესტერმა" მაინც მაღალ ტემპში დაიწყო თამაში და პირველივე ტაიმში ალმუნიამ ორი-სამი ურთულესი ბურთი მოიგერია. გოლი კი მე-17 წუთზე გავიდა, როცა ჯონ ო'ში კარის წინ წამით ღიად დარჩა. „არსენალის" მეკარე ამ შემთხვევაში უძლური იყო - 1:0.

პირველი ტაიმის ბოლომდე მასპინძლები უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ ამას სერიოზული გართულებები არ მოჰყოლია. ერთი ფორვარდით (ადებაიორი) მოთამაშე „მეთოფეებმა" კი მეორე ნახევრიდან მოუმატეს თამაშს, მაგრამ ვან დერ სარს საქმე პრაქტიკულად არ ჰქონია. იქით მხარეს კი მეტი სიმწვავე იყო, გიგზმაც თავისი მუხტი შეიტანა თამაშში (მისთვის მე-800 მატჩში გოლიც შეაგდო, მაგრამ თამაშგარე იყო და არ ჩაითვალა), მაგრამ...

ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს „მანჩესტერი" 1:0-ზეც ყაბულს იყო და ბოლო სიჩქარეს აღარ რთავდა. ერთ კვირაში „არსენალს" „ემირითსზე" ორბურთიანი სხვაობა სჭირდება. შეძლებს? ვნახოთ... თუმცა სანახაობაზე თუ მიდგა საქმე, ფინალს „მანჩესტერი" უფრო მოუხდებოდა...

ტექნიკური შედეგები » 16

ჩაო, რანიერი!
იუვეში კონტე მივა?

ვგრძნობ, ელ კლასიკოს რეალი მოიგებს

მსოფლიო ფეხბურთი » 6-10

ხუთი წლის მერე!

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები
» 2

30 მაისს, ფინალში დინამო ოლიმპი

გუშინ ეროვნულზე. დინამო-ლოკომოტივი 1:2

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დავით ყიფიანის სახელობის თასი

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინალში... ხუთი წლის მერე!

29.04. თბილისი. ეროვნული. 300 მაყურებელი

დინამო-ლოკომოტივი

1:2

პირველი მატჩი 2:0

0:1 კვანტალიანი (22), 1:1 ჯუისი (44. დილმელაშვილის პასით), 1:2 გუშარაშვილი (53. დიაკვნიშვილის პასით)

დინამო: ოვონო (54. ლორია) - თომაშვილი, კაკუბავა, ნერგაძე, ჩარასი - დილმელაშვილი, შ. კაშია - ტომიჩი, კოშკაძე, ლომია (61. გველესიანი) - ჯიუსი (70. აკირემი).

სათადარიგოები: ჯიშკარიანი, ნემსაძე, ქანთარია, სპასოევიჩი.

ლოკომოტივი: გ. ლომაია - ფოფხაძე, გუშარაშვილი, მ. ლომიძე, ელიავა - დიაკვნიშვილი - კახელიშვილი, მახარაძე, წულაძე (46. ჩირიკაშვილი), სარალიძე (58. დ. ჩაგელიშვილი) - შ. კვანტალიანი (73. მოდებაძე).

სათადარიგოები: ბელელური, ლ. ჩაგელიშვილი, კაიშაური, ა. კობიაშვილი.

გაფრთხილება: ფოფხაძე (44), ტომიჩი (52), გუშარაშვილი (69), დიაკვნიშვილი (73), ლორია (78), გველესიანი (85), მახარაძე (90)

არბიტრი: ლ. კვარაცხელია

დინამოელთა მეკარე დიდიე ოვონომ ყველას დაასწრო

ალექსანდრე კოტორაშვილი ფოტო

კახა კაჭარავას ხელმძღვანელობით „დინამომ“ პირველი შეხვედრა წააგო. თუმცა ჩვენმა ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა მაინც შეძლო ფინალის საგზურის მოპოვება. პირველ შეხვედრაში ორბურთიანი უპირატესობა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ხუთწლიანი პაუზის მერე „დინამოს“ კვლავაც ებრძოლა თასის მოსაპოვებლად. ისე, გუშინდელ შეხვედრაში (განსაკუთრებით - ბოლო წუთებში) მასპინძლებმა გვარიანად ანერვიულეს ერთგული ქომაგები: „ლოკომოტივს“ ხომ ერთი გოლიღა სჭირდებოდა საბოლოო გამარჯვებისთვის და ასე რომ მომხდარიყო, აი, სენსაცია ის იქნებოდა!

...“დინამო“ განმეორებით ნახევარფინალურ შეხვედრას სერიოზული საკადრო პრობლემებით შეხვდა: დისკვალიფიკაციის გამო მატჩს ტოვებდა გუნდის სამი წამყვანი ფეხბურთელი: **ლევან ხმალაძე, გურამ კაშია** და **გიორგი მერებაშვილი.** აქედან გამომდინარე, კახა კაჭარავას გარკვეული კორექტივების შეტანა მოუხდა გუნდის ძირითად შემადგენლობაში და რამდენიმე ფეხბურთელს ამპლუაც შეუცვალა: **შოთა კაშია** „საყრდენად“ ვიხილეთ, ხოლო **ალექსანდრე კოშკაძე** ცენტრალური შუამარბის პოზიციაზე ირჯებოდა და, ისევე როგორც ბოლო მატჩებში, გუშინაც აქტიური თამაშით დაგვამახსოვრა თავი. „ლოკომოტივი“, ფაქტობრივად, ოპტიმალური შემადგენლობით იყო. ერთადერთი, ალბათ, **ირაკლი ჩირიკაშვილის** სათადარიგოთა სკამზე გამნესება თუ იქნებოდა მოულოდნელი.

თავდაპირველად უფრო პოზიციური თამაში მიდიოდა და პირველი დასამახსოვრებელი მომენტი მხოლოდ მეოცე წუთზე ვნახეთ: **დონალდ ჯუისი** საჯარიმოს გარედან შემობრუნებით ურტყამდა, მაგრამ ბურთი მიზანს ასცდა. სამ წუთში კი სტუმართა პირველივე შეტევა გოლით დასრულდა: მარჯვენა ფლანგზე **გიორგი კახელიშვილმა** საკუთარი აქტიურობა შორეული და ძლიერი დარტყმით დაასრულა; **დიდიე ოვონომ** მაინც შეძლო და ბურთი მოიგერია (ძელიც „მიეხმარა“), მაგრამ „გადმოვარდნილზე“ ყველას ახალგაზრდა **შალვა კვანტალიანმა** დაასწრო და ეფექტური უკუდარტყმით ანგარიში გახსნა - 0:1! ასეთ დასაწყისს, მართლაც არავინ ელოდა; ეგ კი არა, ორიოდ წუთში „ლოკომოტივს“ კიდევ ერთი ჩინებული მომენტი შეექმნა: იმავე კახელიშვილისა და კვანტალიანის აქტიურობის მერე **კახა მახარაძემ,** როგორც საჭიროა, ბურთი ვერ დაიმორჩილა, თორემ „დინამოს“ კარს უეჭველი ხიფათი ემუქრებოდა. აი, ეს იყო და ეს: ამის მერე პირველი ტაიმის ბოლომდე მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა; შესაძლოა, შევცდეთ კიდეც, მაგრამ ჩვენი „უხეში დათვლით“, მასპინძლებს, სულ მცირე, ხუთი ჩინებული მომენტი ჰქონდათ! პირველ ეპიზოდში კოშკაძის ჯარიმას **დანილო ტომიჩის** ჩინებული თავური დარტყმა მოჰყვა, მაგრამ **გიორგი ლომაიამ** არანაკლებ შესანიშნავი რეაქციით საკუთარი გუნდი გადაარჩინა; მერე ჯუისი აღმოჩნდა უაღრესად ხელსაყრელ სიტუაციაში, მაგრამ ვერ იხეირა; ამას უკვე **შოთა ლომიას** მომენტი მოჰყვა, მაგრამ „დინამოს“ მარცხენაფლანგელმა ბურთი მიზანში ვერ მოარტყა; შემდეგ იყო სამწუთიანი მონაკვეთი, ტომიჩს ზედიზედ ორჯერ რომ შეეძლო გოლის გატანა: ჯერ კოშკაძის ჩინებული პასის მერე ბურთი კარს ააცილა, მერე კი ჯუისის ეფექტურ გადაცემას, ერთი შეხედვით, ზუსტი დარტყმაც მოაყოლა, მაგრამ ამ შემთხვევაში ბურთი „ლოკომოტივის“ კარის ხარიხას მოხვდა!

თუმცა „დინამოს“ მასირებულმა იერიშებმა შედეგი მაინც გამოიღო: **დავით დილმელაშვილმა** მოხდენილი პასით დონალდ ჯუისი ხელსაყრელ პოზიციაზე გაიყვანა და მასპინძელთა ახალგაზრდა ლეგიონერმა ამჯერად ყველაფერი ზუსტად შეასრულა.

...მეორე ტაიმის დასაწყისი ისევ მშვიდი აღმოჩნდა, ოღონდ, პირველის მსგავსად, „ლოკომოტივის“ პირველივე გააქტიურება კვლავაც გოლით დასრულდა: სტუმრების „სტანდარტულს“ **ნიკა გუშარაშვილის** „დასწრებაზე თამაში მოჰყვა“ და „ლოკომოტივის“ ცენტრალური მცველის თავური დარტყმა ზუსტი აღმოჩნდა. ახლა უკვე „ლოკომოტივის“ შანსები გაიზარდა: **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** გუნდს ხომ ერთი გოლიღა სჭირდებოდა ფინალში გასასვლელად. ამიტომაც იყო, რომ სტუმართა მწვრთნელებმა მოედანზე მეორე ფორვარდიც (**დავით ჩაგელიშვილი**) გამოიყვანეს. ამასთან, ტრავმის გამო შესაცვლელი შეიქმნა დიდიე ოვონოც, მაგრამ რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, მის შემცვლელ **გიორგი ლორიას**, ფაქტობრივად, სამუშაო არც ჰქონია. ეგ კი არა, მატჩის მეოთხმოცე წუთამდე, სახიფათო მომენტი რასაც ჰქვია, არც ერთ კართან გვინახავს. აი, ბოლო ათ წუთში კი თამაში გახალისდა: ყველაფერი კი „დინამოს“ კარის სიახლოვესთან დანიშნულ სახიფათო ჯარიმას მოჰყვა, რითაც ორივე მხარე იყო უკმაყოფილო. ჰო, მასპინძლები მიიჩნევდნენ, რომ **ოლეგ გველესიანმა** მეტოქეს წესების დაცვით აართვა ბურთი, სტუმრები კი, მიიჩნევდნენ, რომ მათი ფეხბურთელი „დინამოს“ საჯარიმოში წააქციეს. კარამდე, ალბათ, 20 მეტრი იქნებოდა, მაგრამ „ლოკომოტივმა“ ამ შანსით ვერ ისარგებლა. სამაგიეროდ, ახლა უკვე „დინამო“ გახელდა და მატჩის ბოლო წუთებზე კიდევ ორი ჩინებული მომენტიც შექმნა: ჯერ, **ჯორჯ აკირემის** დარტყმა ოდნავ ასცდა მიზანს, სულ ბოლოს კი იმავე აკირემის პასით კოშკაძე მახვილი კუთხიდან „ლოკომოტივის“ კარის „ცხრიანს“ უმიზნებდა, მაგრამ ბურთი სტუმართა კარის ბადეს... გარედან მოხვდა! ასე და ამრიგად, „დინამოს“ პირველ მატჩში მოპოვებული ორბურთიანი უპირატესობა ეყო და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხუთწლიანი პაუზის მერე კვლავაც იასპარეზებს თასის ფინალში!

მატჩის შემდეგ

ზაზა ზამთარაძე (ლოკომოტივი): „მეტოქეს ფინალში გასვლა მინდა მივულოცო და წარმატებები ვუსურვო. რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, რომ ფინალში ჩვენ გავსულიყავით, მაგრამ ორი მატჩის ჯამში უფრო ძლიერ „დინამო“ აღმოჩნდა.

კახა კაჭარავა (დინამო): „ჩემი გუნდის ფეხბურთელებს თამაშამდე ვაფრთხილებდი, რომ მოდუნება და კონცენტრაციის დაკარგვა არაფრით შეიძლებოდა. მერე, როგორ შეიძლებოდა ამდენი მომენტის განიავება? ფეხბურთის დაუწერელი კანონია: შენ ვერ გაიტან, აქეთ გაგიტანენ! ამას გარდა, ორი იძულებული ცვლილების გაკეთებაც მოგვიწია და მატჩის ბოლო ოცი წუთიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა“.

გია ტუხაშვილი

მხოლოდ სტატისტიკისთვის

29.04. გორი. თ. ბურჯანაძე. 100 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია-ოლიმპი

0:0

პირველი მატჩი 2:4

ვიტ ჯორჯია: მიქაბერიძე - ვეკუა, მგელაძე, ადამაძე, ხურცილავა (61. იოსელიანი) - კვალინიძე, ჯანელიძე, მაისაშვილი, ვასაძე (68. კასრაძე) - როსტიაშვილი, სვანიძე (50. ზაქრაძე).

სათადარიგოები: ლურბელეიშვილი, დათუნაშვილი

ოლიმპი: ალავიძე - ჩიკვილაძე, აკუასაგა, მაჭავარიანი, ახალაია (69. გორდეზიანი) - ხუბუა, დეკანოსიძე, დობროვოლსკი, სეთურიძე - ჩხეტიანი (46. მეგრელაძე), ჭელიძე (46. ფიფია).

სათადარიგოები: სტურუა, კაკულია

გაფრთხილება: ახალაია (23), ჯანელიძე (39)

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

სანახაობის თვალსაზრისით, „ვიტ ჯორჯიასა“ და „ოლიმპის“ დაპირისპირება თასის ნახევარფინალისთვის შესაფერისი ვერ აღმოჩნდა. პირველისგან განსხვავებით, საპასუხო შეხვედრა ვერც გოლებით გამოირჩა. არადა, მცირერიცხოვანი მაყურებელი, პირველ ყოვლისა, სწორედ რომ გოლებს ელოდა, თორემ ჩემპიონატის ლიდერი თასის გათამაშებას პრიორიტეტულად რომ არ მიიჩნევს, კლუბის მესვეურებს არც დაუმალავთ.

რამაზ მუმლაძემ მთელი ძირითადი შემადგენლობა დაასვენა და ძლიერ მეტოქესთან გამოცდილების მისაღებად ახალგაზრდებს უხმო. გამოუცდელ „ვეტერინართა“ წინააღმდეგ „ოლიმპს“ მთელი ძალის დემონსტრირება არც დასჭირვებია - **ვარლამ კილასონიას** შეგირდები ისე აგორებდნენ ბურთს, როგორც მეტოქის განეიტრალებას სჭირდებოდა.

თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში „ვიტ ჯორჯია“ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, „ოლიმპი“ კი მხოლოდ ეპიზოდურად აქტიურობდა და თანაც ისე, რომ **არდალიონ მიქაბერიძის** კართან სერიოზული ხიფათი თითქმის არ შექმნილა. ვიტჯორჯიელთა შანსიც თითზე ჩამოსათვლელი იყო. ამათგან, განსაკუთრებით მწვავე იყო პირველი სახიფათო მომენტი, რომელიც დებიუტშივე შეიქმნა - **გიორგი ჯანელიძის** მიერ ძლიერად დარტყმული ჯერ რუსთაველ მცველს, შემდეგ კი ძელს მოხვდა.

მე-20 წუთზე უკვე **ირაკლი სვანიძემ** დასცხო კარისკენ, მაგრამ მეკარე **ალავიძემ** იმარჯვა. ცოტა ხანში სვანიძე კიდევ ერთხელ გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე, თუმცა „ოლიმპის“ გოლკიპერი კვლავ უშეცდომოდ გაისარჯა.

შესვენების შემდეგ ვარლამ კილასონიამ ორი გამოცდილი თავდამსხმელი - **გიორგი მეგრელაძე** და **გოგი ფიფია** შეუშვა მოედანზე, თუმცა მათ თავი ვერაფრით დაგვამახსოვრეს. საერთოდაც, მეორე ტაიმი პირველზე გაცილებით უარესი გამოდგა. ორივე კარის მიმართულებით მწვავე იერიშები მეტისმეტად ნაკლები იყო, მოთამაშეები ხშირად აგორებდნენ ბურთს მოედნის სიგანეზე და შესაბამისად, როგორც მიქაბერიძეს, ისე ალავიძეს, საქმე თითქმის არ ჰქონიათ.

მეორე ტაიმიდან აღსანიშნავი მხოლოდ 49-ე წუთზე, **მიხეილ როსტიაშვილის** დაახლოებით 30-მეტრიანი ინდივიდუალური რეიდის შემდგომ შესრულებული დარტყმა იყო, ხოლო ამის პასუხად - **გელა ხუბუას** სწრაფი გარღვევა 65-ე წუთზე, როცა მის დარტყმულს მცველი ბოლოსღა გადაეღობა.

ისე გამოვიდა, რომ ყველაზე აქტიური - მასპინძელთა ფანკლუბის წევრი სიმპათიური გოგონა იყო, რომელიც თავისი გუნდის ფეხბურთელებს მუდმივად ბრძოლისკენ მოუწოდებდა. და კიდევ ერთი - ამ მოედანზე მოთამაშე ფეხბურთელებსა თუ მწვრთნელებს არაერთხელ გამოუთქვამთ უკმაყოფილება უხარისხო გაზონის გამო. გაზაფხულის დადგომასთან ერთად, მწვანე საფარი სულ უფრო „ფორმაში შედის“, მაგრამ რად გინდა - ახლა უკვე საფეხბურთო სეზონი მიდის დასასრულისკენ...

ვასილ ბალახაძე
გორიდან

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზქდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ინტერვიუს გამო...

პრეზიდენტის საოცარი განცხადება

...რის გამოც, ვიტ ჯორჯიას გენერალური დირექტორი პროფლიგის გამგეობის დატოვებას აპირებს

ვაჰ,ჩემი კუჭი ვჭამე, თუ მე მაგის კაცობაში ეჭვი მეპარებოდეს, - დაახლოებით ასეა საქმე იმ ორომტრიალში, რასაც საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების ჩატარება ჰქვია. კონკრეტიკისთვის, გთავაზობთ ფრაგმენტს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ **დიმიტრი რამიშვილის** ინტერვიუდან, რომელიც „ლელოს" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა. მოკლედ, რამიშვილი ამბობს:

„ლოკომოტივი"-„გაგრას" მატჩის მონაწილეებს გარიგება თუ დაუმტკიცდათ, დარწმუნებული ვარ, კლუბების პრეზიდენტები - ბესიკ ჩიხრაძე და ლექსო თოფურია ამასთან კავშირში არ იქნებოდნენ. ისინი თავად არიან დაინტერესებულნი იმაში, რომ გამოძიებამ სიმართლე დაადგინოს"

...

მანამდე, იმავე ინტერვიუში, პროფლიგის პრეზიდენტი ამას გვეუბნება:

„რაკი გაჩნდა ეჭვი „ოლიმპი"-„ვიტ ჯორჯიას", „სპარტაკი"-„სიონისა" და „ლოკომოტივი"-„გაგრას" მატჩების გამო, ამ კლუბებზე საპრიზო ფონდის თანხები დროებით არ გაიცემა. შესაძლოა, გამოძიება დროში გაიწელოს, მაგრამ ამ საქმეს მაინც ბოლომდე მივიყვანთ"

...

და რა გამოდის ამით? - პროფლიგის პრეზიდენტი დარწმუნებულია „ლოკომოტივისა" და „გაგრას" პრეზიდენტების წესიერებაში, ხოლო „ვიტ ჯორჯიას", „ოლიმპის", „სპარტაკისა" და „სიონის" მესვეურთა კაიკაცობაში ეჭვი ეპარება? ამას ამბობს პიროვნება, რომელიც ხელმძღვანელობს სწორედ ამ და სხვა კლუბთა გაერთიანებას, რომელსაც „პროფესიული ფეხბურთის ლიგა" ჰქვია.

ინტერვიუში რამიშვილი იმასაც ამბობს - გამოძიების გარეშე ვერდიქტის გამოტანა შეუძლებელია და ამიტომაც მივმართეთ პროკურატურას, რათა გამოძიებაში ჩაებასო. მოკლედ, საქმე ეხება იმ საეჭვო თამაშებს, როცა არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება, რომ ეს შეხვედრები მაიმუნობა იყო, მაგრამ არსებობს ლოგიკა და კულუარული ინფორმაცია, რომ მატჩები გარიგებული გახლდათ.

ყოველივე ამის ფონზე, რა ინტერპრეტაცია უნდა მიეცეს რამიშვილის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ერთნი პატიოსანი პრეზიდენტები არიან, სხვათა რეპუტაცია კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას? ეს არის პროტექცია პროფლიგის პრეზიდენტის მხრიდან **ლექსო თოფურიასა და ბესიკ ჩიხრაძეზე**. ეს არის თავისებური გზავნილი გამოძიებისთვის (თუ ის მართლა ჩატარდება), რომ თოფურიასა და ჩიხრაძეს თავი დაანებეთ, სხვა პრეზიდენტების საქმეებს ჩაეძიეთო.

ეს არის ელემენტარული ეთიკის დარღვევაც, როცა შენი ორგანიზაციის ზოგიერთ წევრში ეჭვი გეპარება, ზოგში კი - არა, და ამას ამბობ მასმედიის საშუალებით და თანაც, გამოძიების დაწყებამდე. ეს არის არასერიოზული განცხადება, რამეთუ არ არის განმარტებული, რა კრიტერიუმით მიაჩნია რამიშვილს თოფურია და ჩიხრაძე, ასე ვთქვათ, უფრთო ანგელოზებად. სერიოზულ საქმეში ასეთი კრიტერიუმი არ არსებობს, ასეთი კრიტერიუმი არსებობს ქუჩური გარჩევის დროს. განმარტება, რომ თოფურია და ჩიხრაძე დაინტერესებულნი არიან გამოძიებით, კრიტერიუმად ვერ ჩაითვლება მანამდე, სანამ სხვა კლუბის პრეზიდენტები არ იტყვიან, რომ მათ ხელს არ აძლევთ გამოძიების ჩატარება.

რამიშვილის განცხადება შეეხო უმაღლესი ლიგის მხოლოდ 6 კლუბის მესვეურს, საინტერესოა, როგორ დაახარისხებს პროფლიგის პრეზიდენტი და ამავე დროს ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი თბილისის „დინამოს", „ზესტაფონის", მესხეთის", „მგლებისა" და „ბორჯომის" პატრონ-დამფინანსებლებს...

მოკლედ, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას. მანამდე კი შევიტყვეთ, რომ „ვიტ ჯორჯიას" გენერალური დირექტორი **მალხაზ კაკაურიძე** პროფლიგის გამგეობის დატოვებას აპირებს სწორედ რამიშვილის ზემოთ ხსენებული განცხადებების გამო...

დავით თავართქილაძე

ინტერვიუ

ვასილ გიგიაძე

ჩემი ბრალია, რაც ხდება...

50 ათასი დოლარის გამო, გიგიაძეს ბომბარდიროზა წაართვეს



ვასილ გიგიაძე დღემდე უკრაინის ჩემპიონატების ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. ყოველთვის ვნანობდით, რომ საქართველოს ნაკრებში მას არ იყენებდნენ ისე, როგორც შეეძლო თავის გამოჩენა. სამწუხაროდ, ბოლო სამი წელია გიგიაძე ფორმიდან ამოვარდა, მაგრამ თავად როგორც ამტკიცებს, მას ამაში უკრაინელებმა ხელი შეუწყვეს. ამჟამად, გიგიაძე სიმფეროპოლის „ტავრიაშია", მაგრამ კარგა ხანია, ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდეს, რაც მისი კარიერის გათვალისწინებით, საკმაოდ უცნაურია...

- ვასილ, რა არის თქვენი უთამაშებლობის მიზეზი?

- „ტავრიას" მწვრთნელი სერგეი პუჩკოვი „დნიპროს" ყოფილი ფეხბურთელია და რატომღაც, ცუდი თვალით მიყურებს. საერთოდ, „ დნიპროს" ყოფილ ფეხბურთელებში არ მიმართლებს - კრივოი როგის „კრივბასიდან" ოლეგ ტარანის გამო წამოვედი. ეს ის ტარანია, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატისას ამ კლუბის ფორვარდი რომ იყო. ახტირკის „ნეფტიანიკში" ვიყავი და იქაც ყოფილი დნიპროელი, ტარანის თანაშემწე სერგეი გოროდოვი დამინიშნეს. ეტყობა, ისიც „კრივბასიდან" წამოყოლილი ბოლმის თუ რაღაც მიზეზის გამო არ მათამაშებდა... ახლა არის და პუჩკოვი გადამეკიდა... სამივე ერთსა და იმავე დროს თამაშობდა მაშინდელ „დნეპრში", საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ და არ ვიცი, რა ჰგონიათ თავი. ისე ამაყად და გაჭიმულები დადიან, გეგონება, მათზე მაღლა არავინ დგას.

- პუჩკოვი რაღას გერჩით?

- საერთოდ ვერ იტანს ლეგიონერებს და ამის გამო ამითვალწუნა. საერთოდ, ბოლო წლებში იმდენი ლეგიონერი ჩამოიყვანეს, ბევრი ადგილობრივი მწვრთნელი აგრესიულიც გახდა ამის გამო. პუჩკოვს უცხოელების გაგონებაც არ სურს. თუმცა სეზონის დასრულებამდე ცოტა დრო დარჩა და „ტავრიას" ხელმძღვანელობა მამშვიდებს - პუჩკოვს მალე გავუშვებთ და წასვლას ნუ იჩქარებო. კონტრაქტი უმთავრდება, ახალს კი არ უფორმებენ.

- ...მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ კარიერაში დაღმასვლა „კრივბასიდან" დაგეწყოთ. ოლეგ ტარანი რატომ გადაგეკიდათ?

- 50 ათასი დოლარი გამო!

- როგორ?!

- დიახ, მისი დამსახურებაა, რომ კარიერაში ბომბარდირობის ყველაზე რეალური შანსის გამოყენების საშუალება რომ არ მომეცა. კრივოიროგელებთან კონტრაქტში მეწერა - თუ ჩემპიონატში 15 გოლს გავიტანდი, სეზონის ბოლოს 50 ათასი დოლარი უნდა მოეცათ. 21-ე ტურში მე-12 გოლი გავიტანე და დარჩენილ 9 ტურში 3 ბურთის გატანას როგორ ვერ მოვახერხებდი?! დარწმუნებული ვიყავი, რომ ტიტულს მოვიპოვებდი, მაგრამ 21-ე ტურის შემდეგ აღარ მათამაშებდა - ჯერ ძირითადიდან ამომაგდო და მხოლოდ უკანასკნელ წუთებზე მიშვებდა მოედანზე, ბოლოს კი საერთოდ აღარ მათამაშებდა და შანსი შეგნებულად დამაკარგვინა, არადა, ბოლოსწინა ტურამდე ვერავინ მოახერხა ჩემი გადასწრება.

- ეს ალბათ იმიტომ მოხდა, რომ „კრივბასს" უჭირდა და ზედმეტი 50 ათასის გადახდა არ აწყობდათ...

- არ ვიცი... ამის მერე ნამდვილად აღარ მსურდა ტარანთან მუშაობა, მაგრამ არც ერთ დაინტერესებულ კლუბში არ გამიშვეს და კიევის „არსენალი", ლუგანსკის „ზარია" და ბუქარესტის „დინამო" უარით გაისტუმრეს. ამ დროს უმაღლესი ლიგის დებიუტანტში, უსუსტეს ახტირკის „ნეფტიანიკში" გამიშვეს. კარგი, ამასაც დავანებოთ თავი. იმედი გამიჩნდა, რომ აქ მაინც ვითამაშებდი, მაგრამ ბედი არ გინდა? - „ნეფტიანიკში" დანიშნეს სერგეი გოროდოვი, რომელიც „კრივბასში" ტარანის ასისტენტი გახლდათ და იქიდან წამოსვლისას მასაც ვეჩხუბე. აბა, ეს კაცი მე მათამაშებდა? ამირია ყველაფერი... ბოლოს განაცხადშიც აღარ შევყავდი. მერე კი დავბრუნდი სიმფეროპოლის „ტავრიაში", სადაც უკრაინული კარიერა დავიწყე და რომელიც ჩემთვის ლამის მშობლიური კლუბია. ინტერტოტოს თასის 5 მატჩში 3 გოლი გავიტანე - 2 მოლდოვურ კლუბთან და ერთიც ფრანგულ „რენთან", მაგრამ ამ გუნდის მცველმა ფეხი მომტეხა და ამის მერე კარგა ხანს დავისვენე... მერე პუჩკოვმაც გადამისვა ხაზი. „ტავრიასთან" კონტრაქტში კიდევ ერთი წელი მაქვს და ამიტომაც ვრჩები. თანაც, პუჩკოვს თუ უშვებენ, იმედია, ახალი სეზონიდან მაინც ვითამაშებ.

- გამოდის, რომ ლადო ბურდულის უთამაშებლობის მიზეზიც იგივეა? რაკი პუჩკოვს ლეგიონერების მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულება აქვს...

- რა თქმა უნდა, მაგრამ რა არის იცით გასაკვირი? თავდასხმაში მე მყავს კონკურენტები და დავუშვათ, მწვრთნელი სხვას ანიჭებს უპირატესობას. ბურდულს რომ მარჯვენა ფლანგზე არავინ ჰყავს კონკურენტი? მისი უთამაშებლობის მიზეზი რაღა უნდა იყოს, არ მესმის.

- მაინც რატომ ხდება ასე?

- ჩემი ბრალია, რაც ხდება. როცა კარგი წინადადებები გამომიჩნდა, ბევრზე თავი იმიტომ შევიკავე, რომ ფინანსურად მომხიბლავი წინადადებები არ ყოფილა. შეიძლება, არ დაიჯეროთ და, „ტავრიაში" უფრო უკეთესი პირობები მქონდა, ვიდრე მასზე ბევრად ძლიერი კლუბები მთავაზობდნენ. ნამდვილად სჯობდა, წავსულიყავი... მაგრამ ახლა გვიანია ამაზე ფიქრი.

- კლაუს ტოპმიოლერთან რატომ ვერ აგეწყო ურთიერთობა? თავის დროზე, ხმები გავრცელდა, თითქოს ტოპმიოლერმა იმიტომ აგითვალწუნათ, რომ უარით თქვით, გამხდარიყავით „მისი ფეხბურთელი". მართალია, რომ ის თქვენში სატრანსფერო ინტერესს ხედავდა?

- აღარ მინდა ამის გახსენება, რაც იყო, იყო. უბრალოდ, სირცხვილია, რა დღეშიც დღეს ქართული ფეხბურთია. ყველაფერს თავი დავანებოთ, გადახედეთ სტატისტიკას - ბოლო დროს უკრაინაში ქართველები აღარ აჰყავთ, არადა, იყო დრო, როცა ლამის ყველა კლუბში ჩვენიანი თამაშობდა და თითქმის ყველგან ლიდერები ვიყავით. ახლა კი ორი-სამი კაციც აღარ თამაშობს. მართალია, უკრაინელები ბოლო დროს ლეგიონერებს ნაკლებად სწყალობენ, მაგრამ მათი დონის ფეხბურთელებსაც რომ ვერ ვზრდით, ესეც ფაქტია. ნაკრებში რამდენჯერმე მიმიწვიეს და მხოლოდ ერთხელ, ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში და პენალტი ავიკიდე. მერე ასეთი შანსი არ მქონია - ან ბოლო სამ წუთს მათამაშებდნენ, ან ნახევარდაცვაში, ხან საყრდენ ნახევარმცველად და ხან კიდევ ფლანგზე... უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირს საყრდენად რატომ მაყენებდნენ, დღემდე ვერ გამიგია. მერე ვფიქრობდი, ეტყობა, იძულებით მიწვევდნენ, მაგრამ... რა გითხრათ... ეს გულით არ სურდათ და ვითომ ამიტომ მაყენებდნენ უცხო პოზიციაზე?

- აშკარაა, რომ საქართველოს ნაკრებში შეუმდგარი კარიერა დღემდე ტკივილად გრჩებათ...

- საწყენია, რა თქმა უნდა, რადგან დარწმუნებული ვარ, ნაკრებისთვის სარგებლობის მოტანა შემეძლო. უკრაინის ჩემპიონატების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირთა შორის დღემდე მერვე-მეცხრე ადგილზე ვარ, სულ 55 გოლი გავიტანე იმ პირველობაზე, სადაც ბომბარდირები 13-14 გოლით ხდებიან, ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი კი არ მქონია. დამწყდება გული, აბა, რა იქნება?!

- სიმფეროპოლის „ტავრიას" დუბლებში ჩვენთვის უცნობი ფეხბურთელი დავით სახეიშვილი აღმოვაჩინეთ...

- სიმართლე გითხრათ, მეც არ ვიცი, ვინ არის. ბოლო ტურში დუბლების თამაშზე ვიყავი და გვარების გამოცხადებისას გავიგე, რომ „ტავრიაში" კიდევ ერთი ქართველი იყო...

მერაბ მამულაშვილი

პროტესტი

ქომაგთა ლიგა ხალხს ელის

დღეს საფეხბურთო ოპოზიცია ფედერაციასთან აქციას გეგმავს. ხვალ 17 საათზე საქართველოს ნაკრების გულშემატკივართა კავშირი „შევარდენი" მრავალრიცხოვან თანამოაზრეთა შეკრებას იმედოვნებს. აქციას უერთდება „ქომაგთა ლიგა", რომლის პრეზიდენტმა **ჯონი აბაიშვილმა** „ლელოსთან" კომენტარში ასეთი რამ თქვა:

„ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა" 8 აპრილს გამართული აქციის შემდეგ, აქციის სხვა მონაწილეებთან ერთად, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას შეხვდა. შეხვედრაზე ფედერაციის გენერალური მდივანი რევაზ არველაძე და ვიცე-პრეზიდენტები - დიმიტრი რამიშვილი და უჩა უგულავა მოვიდნენ. ქართულ ფეხბურთში არსებული მძიმე მდგომარეობის გამო, გულშემატკივრებმა, „ჩვენი ფეხბურთის" ლიდერებმა და „ქომაგთა ლიგის" წარმომადგენლებმა დასვეს საკითხი, ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების გამართვის თაობაზე. „ქომაგთა ლიგა" მოუწოდებს ყველა იმ ადამიანს, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ფეხბურთის ბედი და მომავალი, შეუერთდეს იმ საპროტესტო აქციას, რომელიც 30 აპრილს ფეხბურთის ფედერაციასთან 17 საათზე გაიმართება", - ამბობს ბატონი ჯონი.

ის ეხმაურება წინა აქციის შემდეგ გაკეთებულ კომენტარსაც: *„თვალებს ვერ ვუჯერებდი, როცა ერთ-ერთ გაზეთში ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძის ცინიკურ კომენტარს ვკითხულობდი - ორიოდე გულშემატკივრის დაძახებულზე ფედერაციის ხელმძღვანელობა და ნოდარ ახალკაცი არ გადადგებაო. მიკვირს, რომ ამხელა უკმაყოფილების შემდეგ, ფედერაციაში გამოჩნდა ადამიანი, რომელიც თავს უფლებას აძლევს, ასე აგდებულად მოეკიდოს გულშემატკივართა სატკივარს. აქციის ორგანიზატორი სტუდენტები, კავშირი „შევარდენი", ჩვენ და „ჩვენი ფეხბურთის" დამფუძნებლები ხალხში ვმუშაობთ და დარწმუნებული ვარ, 30 აპრილს ფედერაციასთან მისული ადამიანების რაოდენობა ბევრად გადააჭარბებს დასახელებულ ციფრს და ქავთარაძე ნახავს, რომ ფედერაციის მუშაობით უკმაყოფილო ორზე გაცილებით მეტი ადამიანია".*

მერაბ მამულაშვილი

ნოდარ ახალკაცი:
ფედერაციის კარი ყველასთვის ღიაა

დღევანდელ აქციასთან დაკავშირებით, გუშინ **ნოდარ ახალკაცს** კომენტარი ვთხოვეთ. ფედერაციის პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ ფედერაცია მზად არის, ყველასთან ითანამშრომლოს:

„იქიდან მოყოლებული, რაც ქართული ფეხბურთის გაძღოლა დაგვეკისრა, ყოველთვის მზად ვიყავით და ვართ თანამშრომლობისთვის. თუ ვინმეს რაიმე იდეა და პროგრამა აქვს, რომელიც ქართული ფეხბურთის განვითარებას წაადგება, ყველას დაველაპარაკებით. უფრო მეტიც, ეს ფედერაციის ვალდებულებაცაა. უკვე არა ერთი პროექტი გვაქვს განხორციელებული, მათ შორის, სახელმწიფოსთან ერთად. კვლავაც მზად ვართ, ნებისმიერ ადამიანთან ან ორგანიზაციასთან ვითანამშრომლოთ. მოკლედ, ფედერაციის კარი ყველასათვის ღიაა. დღემდე, ჩვენი საქმიანობა სწორედ ამას ადასტურებს. ჩვენ ვმართავთ ფეხბურთს, ფეხბურთი ჩვენ არ გვეკუთვნის, ჩვენ მხოლოდ ვემსახურებით ქართულ ფეხბურთს... ამ სულისკვეთებით ვმუშაობთ ფედერაციის სათავეში მოსვლიდან დღემდე და ასე იქნება მომავალშიც", - გვითხრა ახალკაცმა.

დავით ცაბაძე

ინტერვიუ

დავით ებრალიძე

ელიტური ლიგა, ახალი იდეა სნეული ჩემპიონატისთვის

მონოპოლიზაცია და რესურსის კონცენტრაცია. სხვა გზა ჩვენ არ გვაქვს...

დავით ებრალიძე

ამასწინათ, „ლელოში" გამოქვეყნდა ინტერვიუ „ზესტაფონის" მენეჯერ დავით ებრალიძესთან, რომელმაც ისეთ იურიდიულ საკითხებზე ისაუბრა, საფეხბურთო მეურნეობას რომ ეხება. რესპონდენტი ერთობ საყურადღებო ასპექტებს შეეხო. ახლა კი ის გამოდის ძალიან საინტერესო იდეით, რომელიც საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატის და საერთოდ ქართულ ფეხბურთის განვითარებას ეხება. ებრალიძის კონცეპტუალური ხედვა ძალიან მიმზიდველად გამოიყურება და ვფიქრობთ, ღირს ამ იდეაზე დაფიქრება. ფაქტია, რაც იყო და გვაქვს, ამით წინ ვერ მივდივართ და იქნებ, ებრალიძის მიერ შემოთავაზებული გზა მართლაც ოპტიმალური იყოს. ეს არ არის „ზესტაფონის" პოზიცია, ეს მისი პირადი შეხედულებაა...

- ძირითადად რას მოიცავს თქვენი იდეა?

- შეიქმნას ისეთი ელიტური ლიგა, რომელშიც მხოლოდ რამდენიმე გუნდი იქნება, მაგალითად, 10. სხვა გუნდებს კი არ ექნებათ ამ ლიგაში შესვლის უფლება. ფეხბურთის ფედერაციაც მხოლოდ ამ კლუბებზე გასცემს ლიცენზიას, სხვა არანაირი ლიცენზია არ იარსებებს.

- და რას მოიტანს ეს ყველაფერი, რაზეა გათვლილი ასეთი ლიგის შექმნის იდეა? რატომ უნდა იყოს საქართველოში მხოლოდ 10 თუ 12 საფეხბურთო კლუბი?

- ქართული ფეხბურთის წინაშე დგას მეტისმეტად მწვავე პრობლემა - ამ სფეროში ძალიან ცოტა ფული ტრიალებს, ძალიან მწირი რესურსი გააჩნია ქართულ ფეხბურთს. შეადარეთ, წელიწადში რა თანხას ხარჯავს ასე თუ ისე ნორმალური ქართული საფეხბურთო კლუბი და რუსეთის პირველი ლიგის რომელიც მოწესრიგებული კლუბი - კოლოსალურ სხვაობას მიიღებთ. წარმოუდგენელია, ასეთი რესურსით ქართულ ფეხბურთს მნიშვნელოვანი წინსვლა ჰქონდეს. თანაც, ეს მწირი რესურსიც ერთობ არარაციონალურად იხარჯება. საქართველოში არის კლუბები, სადაც ფულია ჩადებული, მაგრამ ამ საქმიდან მაინც არ არის ეფექტი. ქართულ კლუბებში ფული მცირე ხნით გამოჩნდება ხოლმე და მერე საქმე დალმა მისდით. ამიტომ, ინვესტორისთვის უინტერესოა ფულის ჩადება ასეთ საქმეში. მიზეზი კი არასწორი მენეჯმენტია, არ არის სათანადო გარემო გრძელვადიანი გეგმებისთვის. სწორედ გრძელვადიანი პროექტებია კლუბისა და გუნდის წარმატების საწინდარი და სწორედ ამიტომ უნდა შეიქმნას ოპტიმალური სისტემა.

- და რატომ არის მიზანშეწონილი ლიცენზირებული კლუბების შემცირება? რას მოგვიტანს ასეთი ოპტიმიზაცია?

- არის ბავშვთა საფეხბურთო სკოლები და არის გუნდები ქვედა ლიგებში, მაგრამ არ არის საფეხბურთო ბაზარი, ყოველ შემთხვევაში ისეთი ბაზარი, ამდენი სკოლა და გუნდი რომ დაიტიოს. ქართულ საფეხბურთო ბაზარზე, ასე ვთქვათ, ცოტა მოთამაშე უნდა დარჩეს, მაქსიმალურად მონოპოლისტური სისტემა უნდა შეიქმნას. სხვანაირად, ჩვენი რესურსები დაიქსაქსება.

- დეტალურად როგორ წარმოგიდგენიათ ასეთი სისტემის შექმნა და მუშაობა?

- რადგან მხოლოდ ელიტური ლიგის კლუბებზე გაიცემა ლიცენზია და სხვა არანაირი ლიცენზია არ იარსებებს. ბავშვთა სკოლები დამოუკიდებლად ვერ იფუნქციონირებენ, იქნება მხოლოდ ელიტური ლიგის კლუბების სტრუქტურაში შემავალი ბავშვთა საფეხბურთო სკოლები. ყველა რესურსი ძლიერ კლუბებში იქნება თავმოყრილი. რადგან ლიგაში კლუბების რაოდენობა შეზღუდული იქნება, ინვესტორი ან იყიდის ამ ლიგის რომელიმე კლუბს, ან თანამეპატრონე გახდება. ველარავინ შეძლებს, ჯერ იყოლიოს გუნდი პირველ თუ მეორე ლიგაში, ხოლო მერე ეცადოს უმაღლეს ლიგაში გადასვლა - პირდაპირ ელიტურ ლიგაში ჩადებს ფულს. ბაზარი შეზღუდული რომ იქნება, მთელი რესურსის კონცენტრაცია ელიტურ ლიგაში მოხვდება. ეს გამოიწვევს კლუბის ღირებულების ხელოვნურად გაზრდას და უფრო ღირებული გახდება გრძელვადიანი ინვესტიცია, რაც წინსვლისთვის ძალიან მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ნახეთ, რა ვითარებაა დღეს საფეხბურთო ბაზარზე - მთავარი მოთამაშეები აგენტები და მწვრთნელები არიან, ნიჭიერ ბავშვს მწვრთნელი და არაფორმალური პატრონი ეჭიდება, მერე აგენტი და ასეთი კომბინაცია უფრო ძლიერია, ვიდრე საფეხბურთო სკოლა, რითიც ბევრი ნიჭიერი ბავშვი იკარგება, არასწორ გზას ადგება...

- ერთი სიტყვით, დიდი იმედი გაქვთ, რომ ასეთი სისტემა ოპტიმალური იქნება საქართველოსთვის...

- ეს სისტემა საქართველოში გაამართლებს. რატომ არ დებენ ჩვენი წარმატებული ლეგიონერები ფულს ქართულ ფეხბურთში? იმიტომ, რომ არ არის უკუგება, მაგრამ თუ შევქმნით ასეთ სისტემას, მაგალითად, კახა კალაძეს სხვა ბიზნესში კი არა, ქართულ ფეხბურთში მოუნდება ფულის ჩადება.

- და საიდან გაჩნდება შემოსავლები?

- ევროტურნირები და ფეხბურთელების ექსპორტი - ეს იქნება ქართული კლუბების ძირითადი შემოსავლები, ყოველ შემთხვევაში, პირველ ეტაპზე. ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელის დაკარგვით შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო იკარგება. ამ სისტემის შემთხვევაში ახალგაზრდები სკოლებიდან კი არა, კლუბებიდან წავლენ უცხოეთში, თანაც მეტი პერსპექტივა გაჩნდება, რომ უკეთეს უცხოურ კლუბებში მოხვდნენ. გაჩნდება რეალური პერსპექტივა უცხოური კაპიტალისთვისაც ქართულ ფეხბურთში. სად უფრო ძვირი დაუჯდება ინვესტორს კლუბის ევროსარბიელზე დამკვიდრდება - საქართველოში თუ, მაგალითად, საფრანგეთში? რა თქმა უნდა, საქართველოში. ანუ, გაცილებით მცირე დანახარჯებით შესაძლებელი იქნება მიზნის მიღწევა.

- თქვენ მიერ ჩამოყალიბებული კონცეფცია ელიტურ ლიგაზე, ფაქტობრივად, იმასაც ითვალისწინებს, რომ ამ ლიგიდან არავინ არ გავარდება...

- გავარდნა არ არის წამქეზებელი ფაქტორი, პირიქით, გავარდნა ანგრევს ქართულ ფეხბურთს, რადგან როცა გუნდი ვარდება, მისი მეპატრონე ხელს ჩაიქნევს ხოლმე ფეხბურთზე. ინვესტორისთვის მაპროვოცირებელი ფაქტორი ელიტური ლიგა და ევროტურნირებზე გასვლა იქნება.

- ფეხბურთის ფედერაციას თუ გააცანით თქვენი კონცეფცია?

- ვესაუბრე ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს და ახლა, ალბათ, ყველა კუთხით აანალიზებენ ფედერაციაში ამ იდეას. მსურს, რომ ამ იდეის თაობაზე მთელმა ჩვენმა საფეხბურთო საზოგადოებამ გაიგოს და იმსჯელოს. რაც შეეხება ფიფა-უეფას, ამ ორგანიზაციათა წესდებები არ კრძალავს ასეთი ლიგის შექმნას წევრ ასოციაციებში.

- ასეთი სისტემის შექმნის შემთხვევაში რას ეტყვით იმ კლუბებს, რომლებიც ვერ მოხვდებიან ელიტურ ლიგაში?

- ისინი გაქრებიან ან შეერწყმებიან სხვა კლუბებს. ბუნებრივია, რალაც დანაკარგებზე მოგვიწევს წასვლა, მაგრამ... სხვა გზა არ არის. ეს არ მოიტანს სიცარიელეებს, თავისუფალ ტერიტორიებს ელიტური ლიგის კლუბები აითვისებენ.

- დარწმუნებული ხართ, რომ საქართველოში მოიძებნება 10 გუნდი ელიტური ლიგისთვის? დავუშვათ, მოიძებნა და კიდევ ისეთი კლუბიც გამოჩნდეს, ამ ლიგაში შესვლა რომ მოისურვოს...

- არ მოიძებნება 10? იქნება 5! მთავარია, ახალი ლიგა ზემოთ ხსენებული პრინციპით შეიქმნას. თუ მას დაემატება ახალი კლუბი, ეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა მოხდეს.

- სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კლუბების ადგილს თუ ხედავთ ასეთ ლიგაში?

- ასეთი კლუბები უნდა გაქრნენ, რადგან ეს მახინჯი ფორმაა საფეხბურთო მეურნეობაში, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი კლუბების მესვეურები ვერ იქნებიან დაინტერესებულნი გრძელვადიანი პროექტებით, ხელისუფლებაში ყოფნა ხომ მუდმივი არ არის. ასეთ კლუბებს უცბად სურთ შედეგის მიღწევა და არ გააჩნიათ განვითარების თანმიმდევრული პოლიტიკა. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვერ გახდება ელიტური ლიგის პარტნიორი - გამოინახება ფორმა, რითიც სახელმწიფოს ფული შევა კერძო კლუბებში...

დავით თავართქილაძე

გაგრა

ვიცე-პრეზიდენტის სენსაციური აღიარება: შეგვეძლო, მაგრამ უმაღლესის საგზური ფულით არ გვიყიდია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაწყობილი თამაშები და მის წინააღმდეგ ბრძოლა, სამართლანი თუ უსამართლო ბრალდებები - ბოლო დღეებია, ეს ქართული ფეხბურთის ყველაზე აქტუალური თემაა. როგორც იცით, გადაცემა „გოლში" ალმასკომის ბოლო სხდომაზე სამსჯელოდ გატანილი რამდენიმე, ზოგიერთის აზრით, საეჭვო შეხვედრა დაასახელეს - „ოლიმპი"-"ვიტ ჯორჯია", „სპარტაკი"-"სიონი" და „ლოკომოტივი"-"გაგრა". ხსენებული გუნდების წარმომადგენლები გალიზიანებულები არიან. „ლელოს" „გაგრას" ვიცე-პრეზიდენტი გოდერძი ჩიხრაძე დაუკავშირდა:

- „გაგრა" ქართული ფეხბურთის სიყვარულით შეიქმნა და ამ ბრალდებებით აღშფოთებული ვარ. ჩვენ ამას არ ვიმსახურებთ, თამაში არ ჩაგვიწყვია და ისევ ჩვენ მოგვცხეს ჩირქი. იქნებ, ვინმემ გამახსენოს, როდის აქეთ ვართ გარიგებულ მატჩებში შემჩნეულნი? რა, მთელმა ქვეყანამ არ იცის, რომ იყო შემთხვევა, როცა უმაღლეს ლიგაში გადასვლის საფასურად თანხა მოგვთხოვეს და ამაზე უარი ვთქვით?!

- ეს როდის მოხდა?

- აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი, რადგან ის ხალხი ფეხბურთში აღარ არის. „გაგრას" ფული კი არ უჭირდა, მაგრამ ამ სიბინძურეში გარევა არ გვინდოდა და დღემდე ასე მოვდივართ. ამის შემდეგ, ასეთ რამეს რომ დაგვაბრალებენ, გული არ გაგისკდება კაცს? ეს ჩვენთვის მიულებელია და ამიტომაც მთელი აქცენტი ნიჭიერი ახალგაზრდების აღზრდაზე გადავიტანეთ. ისინი ისევ ქართულ ფეხბურთს გამოადგებიან. აქამდე თავს ვიკავდებდით მსაჯების მიმართ პრეტენზიებისგან და ეტყობა, ვცდებოდით, უნდა მეთქვა და მერე მიხვდებოდნენ, რამხელა ტკივილი დაგვიგროვდა.

- ჩაწყობილი თამაშების გამოძიებას როგორ უყურებთ?

- შესაძლოა, დაგვიანებულიც არის! საჭიროა ნათელი მოეფინოს, თუ რა ხდება ქართული ფეხბურთის კულისებში. თუმცა არც ვიცი, რა გითხრათ... ერთ მაგალითს მოგიყვანთ და თავად განსაჯეთ, ამის გამკეთებელ კლუბში სამართლიანობა და წესიერება რა დონეზეა დაყენებული: ამასწინათ, 1991 წელს დაბადებულ ჭაბუკთა ლიგაში ჩვენი გუნდი მამუკა ფანცულაიას გაწვრთნილ „ოლიმპს" შეხვდა. ეს ბიჭები ერთად არიან გაზრდილები, მაგრამ ფეხბურთია და ერთმანეთში მაგრად იჩხუბეს. ჩვენები დამნაშავენი იყვნენ და მათთვის თავზე ხელი არ გადაგვისვამს, პირიქით, კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე დავდეთ ვიდეოჩანაწერი, სადაც ჩანს, რომ ჩვენმა ბიჭებმა გადაამეტეს. ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ „გაგრაში" არსებობს, ასე ვთქვათ, შიდა კონსტიტუცია, რომელიც ხელშეუხებელია და მისი გადაბიჯების უფლება არც ერთ მოთამაშეს არ აქვს. ჩვენ რომ ვმაფიოზობდეთ, საკუთარ ვებგვერდზე ამ ვიდეომასალას არ გამოვაქვეყნებდით. ამ ყველაფერს ისტორია აღრიცხავს და არანაირი სურვილი არ გვაქვს, ჩვენი რეპუტაცია ვილაცის უძვლო ენის გამო შეიბღალოს. ვინც პირველად ჩამწყობთა შორის გვახსენა, პირი გამოირეცხოს და საკუთარ თავს მიხედოს.

- ვიცით, რომ „ლოკომოტივი"-"გაგრას" თემა ალმასკომზე ერთ-ერთი კლუბის ხელმძღვანელმა წამოჭრა, მაგრამ ვინ - ეს არ ვიცით...

- ჩვენ ამას დავადგენთ და პასუხსაც გავცემთ, რადგან ცილისწამება მიულებელია. გამოძიება ახლა კი არა, ბევრად ადრე უნდა დაეწყოთ, პროკურატურას მუდმივად ტონუსში უნდა ჰყავდეს საფეხბურთო სამყარო.

მერაბ მამულაშვილი

პრესკონფერენცია

ისტორიული მემორანდუმი

გუშინ ფეხბურთის ფედერაციამ კიდევ ერთი მემორანდუმი გააფორმა. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სპეციალურ ოლიმპიურ კომიტეტს, რომელიც მენტალური ნაკლის მქონეთა შორის ატარებს შეჯიბრებებს, სოლიდურ პარტნიორად ფეხბურთის ფედერაცია გამოუჩნდა. გუშინ მხარეთა შორის მემორანდუმი გაფორმდა და პრესკონფერენციაც გაიმართა. მას ევროპელი სტუმრებიც ესწრებოდნენ. მასმედიის წინაშე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, მასობრივი ფეხბურთის კომიტეტის თავკაცი დიმიტრი ბოკერია, საქართველოს სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის ეროვნული დირექტორი ჟანა გოცირელი, თავმჯდომარე თეიმურაზ მიქიაშვილი და ევროპის სპეციალური ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, პოლონელი კრშიშტოფ კრაკოვსკი წარდგნენ...

ნოდარ ახალკაცი:

- კარგა ხანია, რაც ფეხბურთის ფედერაცია აქტიურად თანამშრომლობს სპეციალურ ოლიმპიურ კომიტეტთან. ჩვენი დღევანდელი შეხვედრა კი განსაკუთრებულია. ჯერ ერთი, რომ ამ თანამშრომლობას მემორანდუმით გავაღრმავებთ, და მეორეც - ევროპის ანალოგიური პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციიდან სტუმრები გვეწვივნენ. 25 აპრილს დაიწყო და 3 მაისის ჩათვლით გაგრძელდება მენტალური ნაკლის მქონე ბავშვთა სპეციალური კვირეული. ჩვენი თანამშრომლობა გრძელვადიანი იქნება. მსგავს კვირეულებს ტრადიციად ვაქცევთ, ისევე, როგორც ტრადიციად ვაქციეთ სკოლბურთის ტურნირი.

დიმიტრი ბოკერია:

- წელს ჩვენს პარტნიორებს ფინანსურადაც დავეხმარეთ. მასობრივი ფეხბურთის დევიზია - ფეხბურთი ყველასათვის! ბუნებრივია, ეს მენტალური ნაკლის მქონეთაც ეხებათ. მემორანდუმი, რომელსაც ახლა გავაფორმებთ, 2013 წლამდე იქნება ძალაში და გვინდა, ეს თანამშრომლობა შემდგომშიც გაგრძელდეს. ქალბატონი ჟანა გოცირელი თავის საქმეს ჩინებულად უძღვება და მჯერა, მომავალშიც ასე გააგრძელებს.

ჟანა გოცირელი:

- ამ მემორანდუმით ჩვენი თანამშრომლობა ახალ ფაზაში შევა. ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ახლა უფრო მეტ და მასშტაბურ საქმეს გავაკეთებთ. იმასაც გამცნობთ, რომ ჩვენი მოძრაობის კეთილი ნების ელჩი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი არჩილ არველაძეა. ის აქამდეც მხარში გვედგა. მისიც და ფეხბურთის ფედერაციისაც მადლიერები ვართ.

კრშიშტოფ კრაკოვსკი:

- ჩვენ ევროპაში ვუწევთ კურირებას მენტალური ნაკლის მქონეთათვის სპეციალურ ღონისძიებებს. პარტნიორული ურთიერთობა გვაქვს იტალიის, ესპანეთის, გერმანიისა და სხვა წამყვანი საფეხბურთო ლიგების ცნობილ კლუბებთან... გვინდა, საქართველოშიც აქტიური იყოს ამ პროფილის აქციები. თბილისში ბაქოდან ჩამოვედი. მსგავსი ტიპის ღონისძიება აზერბაიჯანშიც გაიმართა, სადაც 28 გუნდი მონაწილეობდა.

თეიმურაზ მიქიაშვილი:

- ეს ისტორიული დღეა. ფეხბურთის ფედერაცია პირველია, რომელთანაც მემორანდუმი გავაფორმეთ. მადლობელი ვართ ფედერაციისა და მისი ხელმძღვანელების, მათ მენტალური ნაკლის მქონეთა მიმართ დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს. სხვა ფედერაციებსა და ასოციაციებს მოვუწოდებ, მიბაძონ ფეხბურთის ფედერაციას.

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ ნოდარ ახალკაცმა და ჟანა გოცირელმა მემორანდუმზე ხელი მოაწერეს. სპეციალური ოლიმპიური მოძრაობის ეგიდით მიმდინარე კვირეულში საფეხბურთო ტურნირი (რომელშიც 12 გუნდი იასპარეზებს) 35-ე საფეხბურთო სკოლაში 30 აპრილს 13 საათზე გაიხსნება და 1 მაისს დასრულდება.

დავით ცაბაძე

ინტერვიუ

კობა ყორღანაშვილი



კობა ყორღანაშვილი

...ამის გამო კი ვილებთ იმ შედეგს, რაც დღეს გვაქვს

სანაკრებოდ სანახავი ფეხბურთელები: ხოჯავა და გვაზავა

ასაკობრივი ნაკრებები და ბავშვთა ფეხბურთი - კობა ყორღანაშვილს ამ სფეროში ჭიაი აქვს მოქცეული. რა თქმა უნდა, საქართველოს ეროვნული ნაკრების საფუძველს სწორედ ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთი წარმოადგენს და ამ თემაზე სასაუბროდ ყორღანაშვილს ამჯერად მიემართეთ. ის ახლა მწვრთნელთა მომზადებალიცენზიარების საქმეში ერთ-ერთი ინსტრუქტორი ანუ ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომელია, თუმცა არ გვგონია, მისთვის ეს დაბრკოლებას წარმოადგენდეს, რათა ჩვენ დასმულ კითხვებს გულახდილად უპასუხოს...

- როგორ შეაფასებდით იმ სიტუაციას, რაც არის ახლა საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში? ხედავთ იმას, რომ სისტემური მუშაობა მიმდინარეობს?

- გვიჭირს იმიტომ, რომ საქართველოში ფეხბურთელის განვითარება არ ხდება 16 წელს ზემოთ, თუმცა ჩვენს ჭაბუკებში თავიდანვე არასწორადაა ჩაყრილი საფუძველი. რაც შეეხება სისტემურობას, დავუშვათ, რომ ჩვენი ყველა ასაკობრივი ნაკრება იმ სისტემაზე გადაეწყო, რითიც ევროპის ტექნიკურ კუთხით ათობამდეს ეროვნულ ნაკრებს, მაგრამ მოხდა ისე, რომ ეროვნულ გუნდში მწვრთნელი შეიცვალა და ახალმა მწვრთნელმა ახალ განლაგებაზე გადაასწყო გუნდი - რა უნდა ვქნათ ასეთ დროს?

- გასაგებია, მაგრამ რაღაც სისტემაში ხომ უნდა იყოს მოქცეული ჩვენი ყველა ნაკრები...

- შედეგის გარდა, ასაკობრივი ნაკრებების დანიშნულებაა, ნიჭიერი ფეხბურთელებიც რომ აღმოაჩინოს და სწორ გზაზე დააყენოს. თუ მე ვარ რომელიმე ასაკობრივი ნაკრების ხელმძღვანელი და მყავს სამი ნიჭიერი ფორვარდი, ვითამაშებ 4-3-3 სქემით, რათა სამივეს ჰქონდეს თამაშის საშუალება. თუ არ მყავს ასეთი ფეხბურთელები და მყავს ბევრი ნიჭიერი ნახევარმცველი, მაშინ ავირჩევ სხვა განლაგებას... ჩემი აზრით, ყველა ნაკრების მწვრთნელს შორის შეთანხმებული მუშაობა უნდა იყოს, მაგრამ გინდა თუ არა, ყველა ნაკრებმა ერთი ტაქტიკური სქემით ითამაშოს - ამაზე მსჯელობა და კამათი მართლაც შეიძლება. ყველაფერი უნდა იყოს მოქცეული ერთ სისტემაში, ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე ფეხბურთელები ასაკობრივ ნაკრებებში მოხვდებიან.

- კონკრეტულად რას გულისხმობთ?

- ყველა საფეხბურთო სკოლაში განვითარების ერთი გეზი უნდა იყოს არჩეული - კონკრეტულ ასაკში კონკრეტული პროგრამით უნდა მიმდინარეობდეს ბავშვებთან მუშაობა. ამას წინათ, ქართველი მწვრთნელები ბელგიაში ვიყავით. იქაური ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურმა დეპარტამენტმა შეიმუშავა განვითარების სისტემა და ბავშვთა ყველა სკოლა ბელგიაში სწორედ ამ სისტემით ხელმძღვანელობს. ამ სისტემის ეფექტურობაში ბელგია-პოლანდიის 18-ნაბიჯმეტრთა მატჩშიც დავგარწმუნე. ეს თამაში ბელგიელებმა 3:0 მოიგეს.

- საქართველოში რატომ არ კეთდებოდა ან რატომ არ კეთდება ასეთი რამ?

- ალბათ, ამისთვის სიტუაცია უნდა მომწიფებულიყო. ახლა უკვე აღარავისთვისაა სადავო, რომ საქართველოში კარგი ფეხბურთელების დეფიციტია. ნიჭიერი ბავშვები ისევ არიან, მაგრამ სწორი მიმართულებასა საჭიროა. მაისის შუა რიცხვებში ამსტერდამში 1997 წელს დაბადებულთა შორის საერთაშორისო ტურნირზე მიდის ქართული გუნდიც, რომლის მწვრთნელი ნოდარ აკობიანია. ეს გუნდი მართლაც ნიჭიერი ბავშვებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ თუ სწორი განვითარება არ ექნება, ეს თამაზეც უკვალოდ ჩაიელს.

- ეროვნულ ნაკრებზეც ვთქვათ. როგორ ფიქრობთ, ამ შესარჩევში ცუდი შედეგი იმითაა განპირობებული, რომ კუპერს არასრული ან არასწორი ინფორმაცია აქვს ქართველ ლეგიონერებზე, თუ ყველაფერი მწვრთნელის გემოვნებასთანაა დაკავშირებული?

- არ ვიცი, ამ საკითხზე ვერაფერს გეტყვით.

- 2002 წელს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები თქვენი ხელმძღვანელობით ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვდა და იქაც რიგიანად ითამაშა. იმ გუნდში იყო გარჩ ხოჯავაც. როგორ ფიქრობთ, ის ახლა არ იმსახურებს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის ყურადღებას?

- მას მართლაც დიდი პოტენციალი აქვს. „ანგიში" მისი თამაში არ მრნახავს, მაგრამ ფაქტია, რომ რუსული პრესაც და ობარ თეთრაძეც მას აქებენ და ეს ძალიან სასიხარულოა. გარჩ ხოჯავა და ლევან გვაზავა - ეს ორი ფეხბურთელი სანაკრებოდ სანახავია.

- ისევ ბავშვთა ფეხბურთის დავუბრუნდეთ. ასაკის მიხედვით პროგრამის შედგენა რომ ახსენეთ, ხომ არ დაგეკონკრეტებდით, ეს როგორ უნდა მოხდეს?

- ექვსიდან რვა წლამდე მხიარულების ფაზა უნდა იყოს, რვიდან თორმეტ წლამდე წინა პლანზე საბაზისო ტექნიკა გადმოდის, რომლის დროსაც ბავშვებმა არა უშავტყს შეიდი-შვიდზე უნდა ითამაშონ ერთმანეთთან, რამეთუ ბურთთან ხშირი კონტაქტი აუცილებელია. ამ პერიოდში უნდა წარიმართოს მუშაობა სისწრაფესა და კოორდინაციაზე. 12-დან 16 წლამდე აქცენტი კეთდება ინდივიდუალურ ტექნიკაზე და კიდევ იმაზე, თუ რა უნდა აკეთოს ბავშვმა, როცა ბურთი აქვს და როცა უბურთოდ რჩება. 16 წლის მერე კი მიდის მუშაობა ძალასა და გამძლეობაზე. ამ ყველაფრის არქონის გამო კი ვილებთ ისეთ შედეგს, რაც დღეს გვაქვს.

დავით თავართქილაძე

ლეგიონი

გერმანია

ლევან კოგიაშვილი

ახლა საუცხოო ფორმაში ვართ

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა **ლევან კობიაშვილმა** „შალკეს" ოფიციალურ ვებგვერდს მცირე ინტერვიუ მისცა. „ბაიერნთან" გასვლითმა მოგებამ **„ბუმარებში"** არნახული ენთუზიაზმი გამოინვია. მოდი, კობიაშვილის კომენტარებს გავეცნოთ:

„რადგან ძალიან კარგ ფორმაში ვართ, სულაც არ ნიშნავს, რომ მატჩის დანყებამდე სამი კუთხე ჩვენად ვიგულოთ. მომავალ მეტოქეს, „ლევერკუზენს" ძალიან კარგი შემტევი გუნდი ჰყავს და არაფერს ნიშნავს, რომ ბოლო ათი მატჩიდან ამ გუნდმა მხოლოდ ერთი მოიგო. ერთს ვპირდებით გულმოდგინედ ვიმუშაოთ - თავს დავდებთ, რათა ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოვიპოვოთ".

შემდეგ მას „ლევერკუზენის" უმტივაციობაც შეახსენეს: „გეთანხმებით, რომ ამ გუნდს მოტივაცია აღარ შერჩა, მაგრამ რაკი მხოლოდ თასის მოგებით შეძლებს ევროთასებზე მოხვედრას, ეს ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენთან ნახევარი ძალით ითამაშებს. არ მგონია, „ლევერკუზენს" სათამაშო რიტმის დაკარგვა სურდეს. მე ახლა მომაწინა, რომ „ლევერკუზენი" ბუნდესლიგის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია".

ბოლოს კობიაშვილს იმ მიზეზზეც ჰკითხეს, თუ რამ გამოინვია ბოლო ხანს „შალკეს" ესოდენ შთამბეჭდავი თამაში: „ჩვენ ახლა მართლაც საუცხოო ფორმაში ვართ. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. მთავარი კი „ფეხბურთნარენა" და ჩვენი გულშემატკივარია, მათგან საოცარ მხარდაჭერას ყოველ წუთს ვგრძნობთ და ჩვენც თავებს არ ვზოგავთ".

ნიკოლოზ ნებერიძე

ლევან კობიაშვილი

უნგრეთი

რაჭის ბოლო პირველი

რატი ალექსიძე

რაც ქართველები, დავით ოდიკაძე და რატი ალექსიძე „ფიორი ეტოს" რიგებში გადავიდნენ, უნგრული ფეხბურთის ერთ-ერთ ტატულოვან გუნდს არ ნაუცია ჩემპიონატი, რომელსაც მოპრონილება ეწოდება. 8 თამაშიდან „ეტომ" 5 მოიგო და 3 ფრედ დაასრულა, შედეგად, ცხრილის ფსკერის ქვედა მეოთხე კლუბი ახლა მე-6 ადგილზეა 36 ქულით, თანაც წინსულის კარგი პერსპექტივაც აქვს, რადგან კონკურენტებზე მაგრით ნაკლები აქვს გამართული. მოპრონილების მორიგ, 24-ე ტურში „ეტომ" საკუთარ ინიციტივა, სტუმრად მესამეად გალოსან „ზალაეგერშეგის" 7:2 მოუგო! ამ შეხვედრის ბოლო გოლი საქართველოს ნაკრების ფორვარდმა რატი ალექსიძემ გაიტანა, ვისთვისაც ეს პირველი გოლია მოპრონილიგაში. თუმცა ქართველებში წლევანდელ სეზონში პირველობას რატი ვერ შესწვდა, მარტში გოლების ანგარიში ნიდერიპაზას „სპარტაკუსის" ნახევარმცველმა **დავით იმერდაშვილმა** გახსნა.

„ეგერშეგის ვატერლოო" - ასეთი სათაური ამშვენებს შოპრონილიგის ოფიციალურ საიტს. ამ რბეგაში კი თავისი წვლილი რატიმაც შეიტანა, რომელმაც გოლი და საგოლე პასი მოითვალა. რატი თამაშში ინერტულად მოთამაშეს **კიშის** ნაცვლად 39-ე წუთზე ჩაერთო, იმ დროისთვის „ზალაეგერშეგი" 2:1-ს იგებდა, შემდეგ კი 6 უპასუხო გოლი გაუშვა, ყველა - მეორე ტაიმში. 47-ე წუთზე ალექსიძემ მარცხნიდან ცენტრისკენ შეინია და ბურთი თავზე **პეტერ ბაიაგს** დაასვა, ასე გათანაბრდა ანგარიში. 79-ე წუთზე მატჩის ბოლო გოლი ქართველმა სწორედ ბაიაგის პასით შეაგდო, რატიმ მასპინძელთა კარი 7 მეტრიდან დალაშქრა. nb1.hu-მ ალექსიძის თამაში 7 ბალით შეაფასა, რაც ერთ-ერთი საუკეთესო შეფასებაა (პეთორგის და ორი საგოლე პასის აგებრ პეტერ ბაიაგს 10-იანი დაუწერეს). დავით ოდიკაძე კვლავ არ ყოფილა მატჩის განაცხადში, ის ტრავმირებულია. „წელმა გუნდმა დაუვერეხლად საოცარი თამაში აჩვენა, ზალაეგერშეგში ყველამ უდიდესი მონაწილეობით ითამაშა, მეორე ტაიმში 6 გოლი გაუუტანეთ და სუ ხონი პირველი მარცხი ვიგემეთ ძლიერ კლუბს, თანაც საკუთარ მოედანზე. ახლა ეკლარფერი შეგვაჩერებს", - წერს „ფიორი ეტოს" ოფიციალური ვებგვერდი.

ამავე ტურში იმედაშვილის „სპარტაკუსი" სტუმრად „დიოშდიორთან" დამარცხდა - 0:1. ქართველი ნახევარმცველი 55-ე წუთზე შეცვალეს, მას დებალი შეუსვეს - 4 დაუწერეს. „სპარტაკუსი" 27 ქულით მე-13 ადგილზეა.

ნიკოლოზ ნებერიძე

სომხეთი

ქართველებს შუშაკი კონსულტანტად დაუტოვეს

აპრილს წინათ სომხურ ნყაროებზე დაყრდნობით ვწერდით, რომ საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" ყოფილი თავკაცი, ხორვატი **იგო შუშაკი** სომხეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის კონსულტანტი იქნება. „არმფუტბოლის" ცნობით, შუშაკს „მიკაში" **სამყაღ დარბინიანი**, სომხეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი შეცვლის, რომელსაც „პოენიკსა" და სხვა სომხურ კლუბებში უმოღვანია. შუშაკის გათავისუფლების უმთავრეს მიზეზად მაინც თასზე წარუმატებელ თამაშს მიიჩნევენ, რადგან ამით „მიკამ" წლევანდელ ევროთასებზე თამაშის შანსი დაკარგა. იმავე წყაროს ცნობით, აპრილის დასაწყისში შუშაკის კანდიდატურა ავტორიტეტებდაც ეროვნული ნაკრების თაკკაცის პოსტზე, მაგრამ ფედერაციის აღმასკომმა შუშაკის კანდიდატურა კენჭისყრით დაიწუნა.

სომხეთის ჩემპიონატის მე-5 ტურში „მიკა" „ულისეს"-ს 0:0 დაუზადდა. „მიკა" 10 ქულით მესამე ადგილზეა და ლიდერ „პიუნიკს" 5 ქულით ჩამორჩება. „ულისეს-თან" შეხვედრის პირველივე წუთზე გაფორთხილეს „მიკას" გოლკიპერი **სოსო გრიშინაშვილი**. „მიკას" მეორე ქარვეული **ირკალო ცანავა** სათადარიგო იყო, შუშკა ის არ შეუყვანია. „ულისეს" რიგებში შეუცვლილად ითამაშეს **ლევან აკობიამ, თენგიზ უგრუხელიძემ** და **გაგა თიბილაშვილმა.** „ულისე" ასევე 10 ქულით მეოთხეა ჩემპიონობაში. ათუსაოდერი „განძასარის" მეკარე **ლევან ბუბუტეიშვილმა** „პიუნიკისგან" 4 გოლი გაუშვა, **დავით ხანიშვილს** არ უთამაშია. „განძასარს" ჯერ ქულა არ აქვს, ისევე, როგორც „არარატს". სომხური ფეხბურთის ფლაგმანი „ბანანცს" ეწყობა და 0:1 დამარცხდა. არარატელი **ბიძინა ცინცაძე** 65-ე წუთზე შეცვალეს, **გიორგი კრასოვსკიმ** კი შეუცვლელად ითამაშა.

ნიკოლოზ ნებერიძე



იგო შუშაკი

უცხოური ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა

ნახევარფინალი. პირველი მატჩი

ჰიდინკის თამაში

ჰოლანდიელმა ახალგაზრდა კოლეგა განაიარაღა

ლეო მესი ლონდონელთა ალყაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა-ჩელსი 0:0

ბარსელონა: ვიქტორ ვალდესი - დანიელ ალვეში, მარკესი (52. პუიოლი), პიკე, აბიდალი - ჩავი, ტურე, ინიესტა - მესი, ეტო'ო (82. კრკიჩი), ანრი (87. გლები).

ჩელსი: ჩეხი - ივანოვიჩი, ტერი, ალექსი, ბოსინგვა - მიკელი, ბალაკი (90. ანელკა) - ესიენი, ლემპარდი (71. ბელეტი), მალუდა - დროგბა.

მაყურებელი: 93 000

არბიტრი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

რა დასკვნა შეიძლება გამოიტანოს ადამიანმა სანახაობრივი თვალსაზრისით ასეთი უსახური თამაშის დასრულების შემდეგ? ძნელია ერთმნიშვნელოვნად იმსჯელო, მაგრამ მოდი, ვეცადოთ მაინც. მაშ ასე, დავიწყოთ: რა უნდოდა **გუუს ჰიდინკს** და რას მიაღწია? აშკარაა, მისი გათვლა „ბარსელონასთვის" თავისუფალი სივრცეების შეზღუდვა იყო - გუნდმა მიზანს მეტ-ნაკლებად მიაღწია; ფაქტია, „ჩელსი" უხეშობის ზღვარზე ასპარეზობდა, საკმარისი იყო, ერთი-ორი ტექნიკური ილეთი და მასპინძელი ფეხბურთელები უმალ „ფეხებში გრძნობდნენ მთელ სიმძიმეს". ასეთი ხერხით ჰოლანდიელმა მწვრთნელმა კატალონიელთა ლიდერები თამაშიდან გამოთიშა - **ლეო მესი** მთელი თამაშის განმავლობაში „მშრალ ულუფაზე" იყო დასმული, მეორე ნახევრიდან თითქმის აღარ ჩანდა **ანდრეს ინიესტაც**. შედეგად ფრე და „სტემფორდ ბრიჯზე" გასამართავი თამაშის მოლოდინი. ბუნებრივია, „ჩელსი" შინ სულ სხვა ტემპში წარმართავს თამაშს, აბსოლუტურად განსხვავებულ სტილს დაუპირისპირებს მეტოქეს. მით უფრო, „ბარსას" შაბათს „სანტიაგო ბერნაბეუზე" სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ელის. არ გვგონია, ისინი ჯანლონით სავსენი შეხვდნენ ლონდონურ პაექრობას. რაც შეეხება **ხოსეპ გვარდიოლას**... მისი მიზანი გასაგები იყო: მოგება და არაფერი მოგების გარდა, მაგრამ ახალგაზრდა დამრიგებელს მიზნის მიღწევა მრავალგზის გატკეპნილი გზით სურდა. მისი კოზირები უკვე დიდი ხანია ცნობილია. ჰიდინკმა ჯერჯერობით შეძლო მათი განეიტრალება. შეიძლება სუბიექტური მიდგომა იყოს, მაგრამ მაინც მოგვეჩვენა, რომ „ბარსას" შეცდომის დაშვების ეშინოდა. მათ ასეთი რამ წელს მართლაც არ გაწუცდიათ იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ესპანეთში „ჩელსის" დონის გუნდი არ თამაშობს.

პირველ ტაიმში ესპანეთის ჩემპიონატში 94 გოლის გამტანი „ბარსელონა" უტევდა და უტევდა, თუმცა ერთადერთი, რასაც კატალონიელებმა მიაღწიეს, იყო ის, რომ ბურთს იდეალურად აკონტროლებდნენ. მათ ასპროცენტიანი საგოლე შანსები პრაქტიკულად არც შეუქმნიათ. სამაგიეროდ, 39-ე წუთზე რეალური მომენტი გააფუჭა **დიდიე დროგბამ**. მან **რაფაელ მარკესი** შეაწუხა. მექსიკელმა რატომღაც ბურთი მეკარეს დაუბრუნა, მაგრამ ისე, რომ მრგვალ სფეროსთან **ვიქტორ ვალდესზე** ადრე სწორედ ივუარელი ფორვარდი გაჩნდა. მისი უძლიერესი დარტყმა მეკარემ მოიგერია, დამატებაზე ისევ შემტევმა იყოჩაღა. რომ არა იმავე ვალდესის თავგანწირული თამაში, ანგარიში გაიხსნებოდა. მეორე ნახევარიც იმავე სცენარით წარიმართა. მასპინძლები უტევდნენ, სტუმრები თავს იცავდნენ. 69-ე წუთზე ანგარიშის გახსნა შეეძლო **სამუელ ეტოოს**, თუმცა ფანტასტიკურად ითამაშა **პეტრ ჩეხმა**. აღსანიშნავია, რომ „არისტოკრატების" კარის დარაჯმა ისევ დაუშვა რამდენიმე შეცდომა, თუმცა ლონდონელთათვის საბედნიეროდ, „ბარსამ" ამით სარგებლობა ვერ მოახერხა.

იყო საეჭვო ეპიზოდი, როცა **ჯონ ტერიმ ტიერი ანრი** საჯარიმოში დასცა. ჰიდინკის გეგმას კინაღამ ცივი წყალი გადაესხა. ვერ დავიჩემებთ, რომ ჭეშმარიტებას ვღაღადებთ, მაგრამ მაინც გვგონია, რომ თერთმეტმეტრიანი არ იყო. ეს ნათლად გამოჩნდა ერთ-ერთ ვიდეოგამეორებაზე. თამაშის მიწურულს ჰოლანდიელი „გენერლის" გეგმა კინაღამ კიდევ ერთხელ დადგა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ. **დანი ალვეშის** ჩაწოდების შემდეგ შეცვლაზე შესული **ბოიან კრკიჩი** ურტყამდა, მაგრამ თავური ოდნავ მაღლა მოუვიდა. თავის გამოჩენა შეეძლო **ალექსანდრ გლებსაც**, მაგრამ ისევ შესანიშნავად გაისარჯა ჩეხი. ამრიგად, „ბარსამ" ზედიზედ მეხუთე საშინაო თამაში ვერ მოიგო ინგლისურ კლუბებთან. მეტსაც გეტყვით, შარშან (მანჩესტერ იუნაიტედმა) და შარშანწინ (ლივერპულმა) „ბარსელონა" სწორედ ინგლისურმა კლუბებმა გამოაგდეს ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფიდან. „ბარსას" პრობლემები დამძიმდა. მათგან განსხვავებით განმეორებით შეხვედრაში „ჩელსი" სრული საბრძოლო შემადგენლობით გამოვა. „ბლაუგრანას" ორი წამყვანი ცენტრალური მცველი **კარლეს პუიოლი** (დისკვალიფიკაცია) და რაფაელ მარკესი (ტრავმა) არ ეყოლება. ახლა კი ტრადიციულად გთავაზობთ მატჩის შემდგომ კომენტარებს.

პეტრ ჩეხი: *„ვფიქრობ, ჩვენს გუნდში ყველაზე მეტ ქებას ჟოზე ბოსინგვა იმსახურებს. მან კარიერაში მეორედ ითამაშა მარცხენა მცველის პოზიციაზე და ასეთ დროს მას ლეო მესის წინააღმდეგ მოუხდა დაპირისპირება. ხომ ხედავთ, არგენტინელი მინდორზე საერთოდ არ ჩანდა. ფანტასტიკურად ითამაშა ჯონ ტერიმაც. ის დაცვის ნამდვილი ლიდერი იყო. იმავეს თქმა შემიძლია ყველა სხვა ფეხბურთელზეც, რადგან „ბარსას" შეტევების ასე განეიტრალება წარმოუდგენელი მეგონა. „კამპ ნოუზე" პირველად გავიტანეთ და პირველად არ გავუშვით. ჩვენ შორის გამარჯვებულის დასახელება არ შემიძლია, რადგან განმეორებითი შეხვედრა ჯერ კიდევ წინ გვაქვს. გარწმუნებთ, კატალონიელებს მსოფლიოში საუკეთესო თავდასხმა ჰყავთ და ამიტომ გამორიცხული არაფერია. ვფიქრობ, შინ ცოტა უკეთესად გარჯას შევძლებთ. შანსებს 50X50 შევაფასებდი".*

ფრენკ ლემპარდი: *„ვფიქრობ, ფინალში გასვლა ორივე გუნდს ერთნაირად შეუძლია. ჩვენთვის 0:0 კარგი ანგარიშია, თუმცა დიდად მიუღებელი არც მეტოქისთვის უნდა იყოს. ლონდონში მათი ერთი გოლიც კი უმძიმეს მდგომარეობაში ჩაგვაგდებს. ახლა საჭიროა, საკუთარი ძალების რწმენა შევინარჩუნოთ. „სტემფორდ ბრიჯზე" სულ სხვა თამაში წავა, რადგან ჩვენ შეტევაში წასვლა მოგვიწევს. ისეთი მძლავრი გუნდის სრულად განეიტრალება, როგორიც „ბარსელონაა", ძალიან ძნელია. დღეს ჩაკეტილი ფეხბურთი იმიტომ ვითამაშეთ, რომ სხვაგვარად სასურველი შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა".*

გუუს ჰიდინკი: *„თუკი თვალს გადაავლებთ სტატისტიკას, ნახავთ, რომ „ბარსელონამ" წელს პირველ საშინაო შეხვედრაში ვერ გაიტანა გოლი. მან დღესაც დაამტკიცა, რომ ფეხბურთის თამაში ფანტასტიკურად შეუძლია. ფრე ასეთი კალიბრის გუნდთან დიდი მიღწევაა. დაცვაში საოცრად მაღალ დონეზე ვითამაშეთ. უკმაყოფილო დავრჩი ერთადერთი მომენტით: ხანდახან ჩემი ფეხბურთელები ბურთს უმისამართოდ იგერიებდნენ, რაც მეტოქეს ხელ-ფეხს უხსნიდა ახალი შეტევების წამოსაწყებად. ამ მხრივ მეორე ტაიმში მდგომარეობა გამოვასწორეთ. ბურთიც შედარებით დიდი ხანი გვეჭირა. შინ, რა თქმა უნდა, სულ სხვა ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ - ბევრად უფრო მაღალ დონეზე.*

მადლობა პეტრ ჩეხს, რომელმაც რამდენიმე ეპიზოდში აშკარა გოლისგან გვიხსნა. ბრწყინვალე იყო ბოსინგვა მესის წინააღმდეგ. არგენტინელის განეიტრალებაში დიდი როლი ითამაშა მალუდამაც. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რამხელა პოტენციალის გუნდი მყავს. ისინი ფეხზე მყარად დგანან და ბრძოლის გამართვა ნებისმიერ მეტოქესთან შეუძლიათ".

ხოსეპ გვარდიოლა: *„დღეს შეტევაში თამაშს მხოლოდ ერთი გუნდი ცდილობდა. ჩვენ არ ვგეგმავდით მეტოქესთან ისეთი ბინძური მეთოდებით გამკლავებას, როგორითაც ინგლისელები კადრულობდნენ. ვფიქრობ, მსაჯებს ეს უნდა გაეთვალისწინებინათ. გულწრფელად გეტყვით, ბალაკი აშკარად გასაგდები იყო, რადგან მთელი თამაშის განმავლობაში ძალზე აგრესიულად უსწორდებოდა ჩემს ბიჭებს. ერთი სიტყვით, არბიტრმა თავისი მოვალეობები უმაღლეს დონეზე ვერ შეასრულა, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ასე მსაჯობა კი არ შეიძლება. 90 წუთის განმავლობაში ჩვენ თამაშის წესები შვიდჯერ დავარღვიეთ, სტუმრებმა 20-ჯერ. შტარკმა კი ჩვენც და მათაც ორ-ორი ყვითელი ბარათი გვიჩვენა. შედეგი შედეგია და მის გაპროტესტებას აზრი არ აქვს. ეს ფეხბურთია და საფინალო სასტვენის შემდეგ იმის მტკიცება, რომ რომელიმე მხარე მეტს იმსახურებდა, უბრალოდ, აბსურდია. როგორც ჩანს, გუუს ჰიდინკმა ჩვენი თამაში მშვენივრად შეისწავლა. ლონდონელებმა დაამტკიცეს, რომ ფიზიკური თვალსაზრისით არანორმალურად არიან მომზადებულნი. სწორედ ამის წყალობა იყო, რომ ლეო მესიმ თავისუფალი სივრცე ერთხელაც ვერ გამონახა".*

შალვა ბიბილაშვილი

ჩავი ერნანდესი

გამოხმაურება

ჩავი: ჩელსიმ ფეხბურთს შეურაცხყოფა მიაყენა

კატალონიური გრანდის ვარკსვლავი ლონდონელთა უხეშობამ და მსაჯის უსამართლობამ აღაშფოთა

„ბარსელონასა" და „ჩელსის" პირველი ნახევარფინალური შეხვედრა კატალონიელებისთვის ფრიად უსიამოვნო შედეგით დასრულდა. ნულოვანი ფრე განმეორებით დაპირისპირებაში რა თქმა უნდა, ლონდონელებს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს, თუმცა ეს უპირატესობა არანაირი წარმატების გარანტია არ არის. „სტემფორდ ბრიჯზე" ორივე გუნდი ყველაფერს თავიდან დაიწყებს. კატალონიელები და ინგლისელები პირველ ნახევარფინალში დაშვებულ შეცდომებს გაანალიზებენ და უკეთ თამაშს შეეცდებიან.

აღსანიშნავია, რომ კატალონიური გრანდის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი, **ჩავი ერნანდესი** „ჩელსის" თამაშით ძალიან უკმაყოფილო დარჩა. „რადიო კატალუნიისთვის" მიცემულ ინტერვიუში მან ისეთი რამ განაცხადა, რასაც ფეხბურთელები ჩვეულებისამებრ არ ლაპარაკობენ ხოლმე: *„ჩვენი გულშემატკივრები და ზოგადად ფეხბურთის მოყვარულები ნახევარფინალს მოუთმენლად ელოდნენ. ვიცი, საზოგადოების მოლოდინი ვერ გავამართლეთ. ბუნებრივია, ეს პირველ რიგში ჩვენი ბრალია, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ უსახურობაში მთავარი როლი „ჩელსის" მესვეურების არჩევანმა შეასრულა. ყველამ დაინახა, რომ „კამპ ნოუზე" ერთ გუნდს თამაში უნდოდა, მეორეს კი არა. ძალიან ვწუხვარ, რომ ლონდონელები ამ გზას დაადგნენ. შეიძლება, ვინმემ გამაკრიტიკოს, მაგრამ იმას, რაც „ჩელსიმ" გააკეთა, ანტიფეხბურთი ჰქვია და სხვა არაფერი. გასაგებია, რომ შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჩემი აზრით, ასეთი ტაქტიკა ფეხბურთის შეურაცხყოფაა. დიახ, „ჩელსიმ" ფეხბურთს შეურაცხყოფა მიაყენა.*

ჩავიმ მთავარი არბიტრის, **ვოლფგანგ შტარკის** მიერ დაშვებულ შეცდომებზეც გაამახვილა ყურადღება: *„კიდევ ერთხელ გავიმეორებ, პირველ რიგში ჩვენი ბრალია, გოლის გატანა რომ ვერ შევძელით, მაგრამ ხელის შემშლელმა პირობებმაც სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა. მაგალითად, მთავარი არბიტრის სრულიად გაუგებარმა მუშაობამ. ლონდონელებმა მრავალ ეპიზოდში ისე იუხეშეს, ყვითელ ბარათს იმსახურებდნენ, მაგრამ მსაჯმა ჯარიმაც კი არ დანიშნა. ერთ-ერთ ეპიზოდში ტიერი ანრი საჯარიმოში წესების დარღვევით შეაჩერეს. მას მოქაჩეს და წააქციეს, მაგრამ არბიტრმა კვლავ თვალი დაიბრმავა. სამაგიეროდ, უსამართლობით განაწყენებულ იაია ტურეს ყვითელი ბარათი ამოუღო. რაც თავი მახსოვს, უეფა და ფიფა გაუთავებლად ფეარ პლეიზე საუბრობენ, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში შტარკმა ყველა პრინციპი დაარღვია. მისი დიდი დამსახურებაა, რომ „ჩელსიმ" ანტიფეხბურთი ითამაშა. არბიტრს ობიექტურად რომ ემსაჯა, ლონდონელები ამდენ უხეშობას ვერ გაბედავდნენ და გულშემატკივრები ლამაზ სანახაობას იხილავდნენ."*

აქვე გეტყვით, რომ „ჩელსისთან" შეხვედრაში ტრავმირებულ **რაფა მარკესს** ექიმებმა მენისკის ტრავმა დაუდგინეს. მექსიკელ მცველს უახლოეს დღეებში ოპერაციას გაუკეთებენ. სპეციალისტების ვარაუდით, მარკესის რეაბილიტაციას სულ მცირე სამი თვე დასჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ბარსელონას" ცენტრალური მცველისთვის სეზონი დასრულებულია. კატალონიელებს მომდევნო პრინციპულ შეხვედრებში ის ძალიან დააკლდება. **პეპ გვარდიოლას** განსაკუთრებით „ჩელსისთან" საპასუხო დაპირისპირებაში დააკლდება. საქმე ის არის პირველ მატჩში **კარლეს პუილმა** მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიკაციის გამო „სტემფორდ ბრიჯზე" ვერ ითამაშებს.

ილია ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუვენტუსი

კონტეს ბებერი ქალბატონი უხმობს?

ტრეზეგეც მიდისო...

„იუვენტუსის“ გარშემო უამრავი ჭორ-მართალი ვრცელდება. „ვეკია სენიორა“ ყოველთვის სარგებლობდა მასმედიის განსაკუთრებული ინტერესით და ასეა ახლაც. გუნდის ბოლოდროინდელი წარუმატებელი ასპარეზობის ფონზე, გასაკვირი არაა, რომ მთავარი სასაუბრო თემა **კლაუდიო რანიერი** და მისი სკამია. უმეტესობის აზრით, სენიორ კლაუდიო სეზონის ბოლოს პოსტს დატოვებს და ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს. ეს ამბავი, პრესასთან საუბარში თავად რანიერიმ უარყო, მაგრამ ჟურნალისტების მტკიცებით, კლუბის მესვეურებს მწვრთნელის შეცვლა გადაწყვეტილი აქვთ.

რანიერის შესაძლო მემკვიდრედ აქამდე მხოლოდ ერთი კანდიდატურა სახელდებოდა. საუბარი „რომას“ თავკაც **ლუჩანო სპალეტიზე** გახლავთ. „ჯალოროსის“ დამრიგებელი სეზონის ბოლოს ალბათ დატოვებს დედაქალაქს და ახალ შეთავაზებებს დაელოდება. შესაბამისად, მისი ვარიანტი მართლაც რეალური ჩანს, მაგრამ არის მეორე კანდიდატურაც. „ტუტო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დიდია შანსი, გუნდს **ანტონიო კონტე** ჩაუდგეს სათავეში. შეხსენება არ უნდა გჭირდებოდეთ, რომ კონტე თავის დროზე „იუვენტუსში“ თამაშობდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც გახლდათ. ტურინულ გრანდში მთელი თორმეტი წელი იასპარეზა, 285 შეხვედრა გამართა და 29 გოლი მიითვალა აქტივში.


დავიდ ტრეზეგე

ანტონიომ სამწვრთნელო კარიერა „იუვეს“ ასაკობრივ გუნდებში დაიწყო, შემდეგ კი სერია B-ს ბინადარ „ბარის“ ჩაუდგა სათავეში. „ბარიში“ კონტე დღემდე მუშაობს და ერთობ წარმატებითაც. მისი თავკაცობით, გუნდი სატურნირო ცხრილს სათავეში უდგას და ფაქტობრივად განაღდებული აქვს სერია A-ს საგზური. იტალიელი ჟურნალისტები აღნიშნავენ, რომ კონტეს დამოძღვრილი „ბარი“, თანამედროვე, ორგანიზებულ და გამართულ ფეხბურთს თამაშობს, რაც შედეგებიდანაც კარგად ჩანს. „ტუტო სპორტის“ ინფორმაციით, კონტეს უმთავრესი ლობისტი, „იუვეს“ მმართველი დირექტორი **ჟან კლოდ ბლანი** ყოფილა. ავტორიტეტულ გამოცემაში მისი კომენტარიც გამოქვეყნდა:

„ანტონიოს დიდი ხანია ვაკვირდები და ზუსტად ვიცი, რომ მისგან დიდი მწვრთნელი დადგება. შეხედეთ „ბარის“ - გუნდს, რომელიც არ არის დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური ფეხბურთელებით. კონტემ შეძლო და მის ხელთ არსებული რესურსი ბოლომდე გამოიყენა. ისე არ გაიგოთ, ანტონიოსთან მოლაპარაკება გვქონდეს გაჩაღებული და მისი დანიშვნა გადაწყვეტილი იყოს, მე უბრალოდ ჩემი მოსაზრება დავაფიქსირე ამ მართლაც ნიჭიერ სპეციალისტზე. რაც შეეხება „იუვეს“ სამწვრთნელო სკამს, ის ვაკანტური არ გახლავთ და ამ ეტაპზე, ასეთ საუბრებს უმჯობესია, შევეშვათ. კლაუდიო რანიერი აგრძელებს მუშაობას და ხელის შეშლას, ჯობია ყველანი გვერდში დავუდგეთ. რა იქნება სეზონის ბოლოს, ძნელი სათქმელია და ახლა ამაზე ლაპარაკი ნაადრევი მგონია“.

პრესაში გავრცელებულ ინფორმაციას კონტეც გამოეხმაურა და შემდეგი განაცხადა: „რა დასამალია და „იუვეს“ გაწვრთნა ჩემი ერთ-ერთი ოცნებაა. თუ ასეთი შემოთავაზება მექნება, აუცილებლად დავფიქრდები და განვიხილავ. უარვყოფ იმას, რომ მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია, ჩემთან ტურინიდან არავის დაურეკავს. ამჟამად, „ვეკია სენიორას“ კლაუდიო რანიერი უდგას სათავეში და უმჯობესია, ამ ადამიანს მეტი პატივისცემით მოვეპყროთ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ „იუვენტუსში“ მუშაობა დიდი პასუხისმგებლობაა და ამას ასე იოლად ვერ დავთანხმდები. უნდა ვიგრძნო, რომ საამისოდ მზად ვარ. იქამდე კი „ბარიში“ თავს შესანიშნავად ვგრძნობ და მთლიანად ამ გუნდზე ვარ ორიენტირებული. გეგმები ამბიციური გვაქვს და წინ ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ. ჩვენი მიზანი სერია A-ში გადასვლა და მომავალ სეზონში, ელიტურ გუნდებს შორის თავის გამოჩენაა“.

ანტონიო კონტე

„იუვენტუსს“ ეხება კიდევ ერთი მეტად საინტერესო ინფორმაცია. თუ პრესაში რანიერის თაობაზე აზრები ორად არის გაყოფილი, ტრეზეგეს შემთხვევაში სრული ერთსულოვნებაა. ჟურნალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ფრანგი თავდამსხმელი მომავალ სეზონს ახალ კლუბში დაიწყებს. სახელდება ვარიანტებიც, რომელთა შორის ერთი ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს. „კორიერეში“ გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით, დავიდი შესაძლოა მილანში გადაბარგდეს და კარიერა „იუვეს“ მოსისხლე მტერ „ინტერში“ გააგრძელოს. ამას არც ფეხბურთელის პირადი აგენტი **ანტონიო კალიენდო** უარყოფს:

„ჯერჯერობით გადაწყვეტილი არაა, თუ სად გააგრძელებს კარიერას ჩემი კლიენტი. შესაძლოა, ტურინის „იუვენტუსთან“ გაფორმდეს ახალი ხელშეკრულება. არის შანსი, რომ კლუბი გამოიცვალოს. საქმეს ის ართულებს, რომ „ბიანკონერის“ მესვეურებს დავიდთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოზიცია არ აქვთ. ჯერ ვერ გარკვეულან, საერთოდ სჭირდებათ თუ არა ტრეზეგე. ჩემი კლიენტი 20 წლის აღარ არის, რომ სათადარიგო სკამზე იჯდეს და თავის შანსს ელოდოს. დავიდს თამაში სურს და კარიერას იქ გააგრძელებს, სადაც მას მეტი ნდობა ექნება. „ინტერი“? გამორიცხული არაფერია. მით უმეტეს, მილანელები ზლატან იბრაჰიმოვიჩის გასხვისების ვარიანტს განიხილავენ. ტრეზეგე მაღალი დონის ფორვარდია და მისი გადაბირება არაერთ გრანდს სურს. დარწმუნებული ვარ, კარგ პირობებსაც შემოგვთავაზებენ. ასე რომ, კარგი იქნება, თუ ტურინელები გადაწყვეტილებას სწრაფად მიიღებენ“.

ლაშა ნიკლაური

მილანი

კაკას სკუდეტო მოუნდა

ბექჰემი წავა და... დაბრუნდება

სკუდეტო, მაგრამ არა ასე...

რამდენიმე დღის წინ, **კარლო ანჩელოტიმ** საჯაროდ განაცხადა, რომ მის გუნდს სკუდეტოს მოპოვების რეალური შანსი არ გააჩნია. კარლეტომ პირდაპირ თქვა, რომ იტალიის ჩემპიონი „ინტერი“ გახდება და დასძინა, მათ ეს ალალად დაიმსახურესო. განსხვავებული მოსაზრება აქვს „როსონერის“ ერთ-ერთ გამოკვეთილ ლიდერ კაკას, ვინაც „გაძეტასთან“ საუბარში გაცილებით ოპტიმისტური განცხადებები გააკეთა:

„ჩემპიონატის დასრულებამდე მთელი ხუთი ტურია დარჩენილი და ამ დროში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. არ მესმის, რატომ უნდა ჩამოვყაროთ ყურები და სკუდეტოზე ხელი ავიღოთ. გუნდმა იქამდე უნდა იბრძოლოს მიზნის მისაღწევად, სანამ ამის თეორიული შანსი მაინც არსებობს. თანაც, ჩემი ღრმა რწმენით, „მილანს“ რეალურად შეუძლია „ინტერის“ გადასწრება. მთავარია, მოვინდომოთ, ქულათა მაქსიმუმი ავიღოთ - რატომღაც მჯერა, რომ „ნერაძური“ კიდევ არაერთხელ წაიფორხილებს. მიმდინარე სეზონს არცთუ სტაბილურად ვატარებთ, რაშიც მთავარი დამნაშავე საკადრო პრობლემებია. თითქმის ყველა ფეხბურთელი გახლდათ დაშავებული, უმეტესობას კი მძიმე ტრავმა ჰქონდა. რომ არა ასეთი დანაკლისი, დამერწმუნეთ, დღეს იტალიის ჩემპიონატის ლიდერები ვიქნებოდით. „ინტერს“ დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მგონია, რომ თუ „მილანი“ ფორმაშია, იტალიაში მას ბადალი არ ჰყავს. თუმცა, არა მხოლოდ იტალიაში, ევროპაშიც“.

ჟურნალისტი რიკის სამომავლო გეგმებზეც დაეკითხა: „მომავალ სეზონში, ჩემპიონთა ლიგაში ვბრუნდებით, რაც გუნდში დარჩენისთვის დამატებითი სტიმულია. „მილანიდან“ ჩემი წასვლის საკითხი ნამდვილად არ დგას დღის წესრიგში და ძალიან გთხოვთ, უსაფუძვლო ჭორებს ნუ გაავრცელებთ. „რეალი“ ჩემი გადაბირებით დაინტერესებულია, მაგრამ მათ არაერთხელ განვუცხადე, რომ „როსონერიდან“ არსად წასვლას არ ვაპირებ“.

„მილანის“ გულშემატკივრებისთვის კიდევ ერთი მეტად საინტერესო ინფორმაცია გვაქვს. „სქაი იტალიას“ ცნობით, **დევიდ ბექჰემი** სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით საბოლოოდ ჩამოყალიბდა და ეს ყველაფერი „მილანის“ მესვეურებთან შეათანხმა. როგორც იცით, ინგლისელი იანვარში შეურთდა „როსონერის“ და პირველი ხელშეკრულების თანხმად, იტალიაში მარტამდე უნდა დარჩენილიყო. შემდეგ, კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გახანგრძლივდა და საუბარი ხანგრძლივვადიან თანამშრომლობაზეც ჩამოვარდა. ბექჰემი მილანში თავს შესანიშნავად რომ გრძნობს, არაერთხელ განაცხადა და ისიც მრავალჯერ აღნიშნა, რომ კარიერის გაგრძელება სწორედ ლომბარდიულ გრანდში სწადია.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ინგლისელის საკითხი შემდეგნაირად გადაწყდა: დევიდი სეზონის დასრულებისთანავე ლოს ანჯელესში გაემგზავრება და „გალაქსის“ შეუერთდება. ამერიკულ ლიგაში ნოემბრის თვემდე ითამაშებს და შემდეგ ხელშეკრულებას თავისივე ნებით გაწყვეტს. დიახ, ხუთწლიან კონტრაქტში არის პუნქტი, რომელიც თანამშრომლობის ვადამდე გაწყვეტას ითვალისწინებს. ამ პუნქტის ამოქმედება დევიდს მხოლოდ ნოემბრიდან შეუძლია და როგორც ჩანს, ასეც მოიქცევა. „სქაი იტალიას“ ჟურნალისტი, ამ საკითხზე სასაუბროდ **კარლო ანჩელოტის** შეეხმიანა - სულ ბოლოს, სწორედ კარლეტოს პასუხს გავეცნოთ:

„ბექჰემის მაგივრად ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ რასაც თქვენ ამბობთ, რეალობასთან ახლოს არის. დევიდს მართლაც სურს კარიერის „მილანში“ გაგრძელება, რისი საწინააღმდეგო არც ჩვენ გვაქვს რამე. ინგლისელს საკონტრაქტო ვალდებულებები აქვს და ზაფხულში ამერიკაში უწევს დაბრუნება. როგორც ვიცი, ნოემბრიდან უფლებას მიიღებს, ხელშეკრულება გაწყვიტოს და თავისუფალი აგენტი გახდეს. თუ დევიდი კვლავ ჩვენთან მოისურვებს ასპარეზობას, მისთვის კარი აუცილებლად გაიღება. მე სიმართლე გითხრათ, მოვლენათა ასეთი განვითარებით პირადად ძალიან კმაყოფილი დავრჩები. ასეთ შემთხვევაში, ინგლისელს გრძელვადიან კონტრაქტს გავუფორმებთ. ის „მილანის“ სრულფასოვანი წევრი გახდება“.

ლაშა ნიკლაური

ამბები

ბილიჩი ჰიდინკის ნაცვლად?

"ჩელსიში" უკვე კარგა ხანია შეეჩვივნენ იმ აზრს, რომ **გუუს ჰიდინკი** სეზონის ბოლოს თანამდებობას დატოვებს. ჰოლანდიელის შემცვლელად რამდენიმე კანდიდატურა დასახელდა, მათ შორის ყველაზე ხშირად **კარლო ანჩელოტის** სახელი ჟღერდა. თუმცა გუშინწინ დადასტურდა ინფორმაცია, რომ კარლეტო "მილანში" რჩება. ასე რომ, ახალი თავკაცის შესახებ ჭორები ხელახლა აგორდა. ბრიტანული გაზეთების ცნობით, მოულოდნელად, **რომან აბრამოვიჩის** მზერა ხორვატიის ნაკრების თავკაც **სლავენ ბილიჩზე** შეჩერდა. "სანის" ინფორმაციით, მისი კანდიდატურა მოიწონა ჰიდინკმაც. როგორც ცნობილია, სატრანსფერო კამპანიასა და ახალი მწვრთნელის შერჩევის საკითხში ჰოლანდიელი ამჟამინდელ კლუბს კონსულტაციას უწევს. გარდა მაღალი სამწვრთნელო კვალიფიკაციისა, მისი კანდიდატურა მისაღებია თუნდაც იმიტომ, რომ სლავენი თავისუფლად ლაპარაკობს ინგლისურად. ის მთელი ოთხი წლის განმავლობაში თამაშობდა პრემიერლიგაში. ჯერ "ვესტ ჰემის", შემდეგ კი "ევერტონის" შემადგენლობაში.

ერთადერთი წინააღმდეგობა, რის გამოც შეიძლება გარიგება არ შედგეს, თავად მწვრთნელის კონტრაქტია. სლავენ ბილიჩს ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციასთან ხელშეკრულება 2010 წლის ივლისის ბოლომდე აქვს გაფორმებული და რამდენად დაუჯდება ჭკუაში ეროვნული გუნდის მიტოვება, ძნელად სათქმელია. ტაბლოიდის მტკიცებით, **პიტერ კენიონმა** უკვე გამართა მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი. ხორვატის მხრიდან ყოველივე ამას ოფიციალური კომენტარი ჯერ არ მოჰყოლია.

ვარსკვლავები ვესტ ჰემში

"ვესტ ჰემის" შემადგენლობაში მალე მთელი თანავარსკვლავედი ითამაშებს და ეს არ არის ზღაპარი. ლაპარაკია, რომ "ჩაქუჩების" მაისურს მოირგებენ **ფრენკ ლემპარდი, ჯონ ტერი, ჯო კოული, მაიკლ ქერიკი, რიო ფერდინანდი** და ასე შემდეგ. ისინი ყველანი სწორედ ამ კლუბის საფეხბურთო აკადემიის აღზრდილები არიან. თავადვე მიხვდებოდით, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკი არ იქნება სრულფასოვან კონტრაქტზე. ისინი მშობლიურ კლუბს საჩვენებელი შეხვედრისთვის დაუბრუნდებიან, რომელიც „ვესტ ჰემის“ დირექტორის **ტონი კარის** პატივსაცემად გაიმართება.

შალვა ბიბილაშვილი

ბაიერნი. აწმყო და მომავალი

ბებერი ქალწული და მწამებელი

რეფორმების, რევოლუციების და ექსპერიმენტების დრო წარსულს ჩაჰბარდა, რეკორდმაისტერში რეალობას უბრუნდებიან

რეფორმატორი იურგენ კლინსმანი „ბაიერნში“ უკვე ისტორიის კუთვნილებაა, ახლა მიუნხენური გუნდის მწვრთნელებად რეალისტები, იუპ ჰაინკესი და ჰერმან გერლანდი მუშაობენ, რომლებიც გერმანიის მარადმწვანე ჩემპიონს სეზონის ბოლომდე უთავკაცებენ. მათი მიზანი ჩაგდებული სეზონის გადარჩენაა. ჰაინკესისა და გერლანდის პროგრამა მინიმუმი მეორე ადგილის დაკავებაა. ეს ყველაფერი ზაფხულამდე, მერე კი, „ბაიერნს“ ახალი მწვრთნელი ეყოლება და უკვე გამოიკვეთნენ ის კანდიდატები, რომელთა შორისაც რეკორდმაისტერის შეფებმა არჩევანი უნდა გააკეთონ...

იუპ ჰაინკესი პირველ ვარჯიშზე

იუპ ჰაინკესი „ზებენერშტრასეზე“ 18 ნლის შემდეგ დაბრუნდა. ბავარიელთა გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** მას სეზონის დარჩენილ შეხვედრებში მაქსიმალური შედეგის მიღწევა დაავალა. „დონ იუპმა“ თავის პირველ პრესკონფერენციაზე თქვა, როდესაც ჰიონესმა დამირეკა და ეს თანამდებობა შემომთავაზა, არ დაგიმალავთ, ძალიან გამიკვირდაო. *„მზად ვარ, „ბაიერნს“ და პირველ რიგში ულის, მეგობრული სამსახური გავუწიო და გუნდს სეზონის ბოლომდე ვუხელმძღვანელო,“* - აღნიშნა „დონ იუპმა“ პრესკონფერენციაზე, რომლის დროსაც მომღიმარი ჰიონესი ჟურნალისტების კითხვებს ისეთი სახით პასუხობდა, თითქოს რეკორდმაისტერში ისეთი არაფერი მომხდარა, ყურადღების გამახვილება რომ ღირდეს. კითხვაზე, არის თუ არა ჰაინკესი ამ ეტაპზე „ბაიერნისთვის“ იდეალური მწვრთნელი, მიუნხენური კლუბის გენერალურმა მენეჯერმა დადებითი პასუხი ირონიული ღიმილით გასცა და ჟურნალისტი დატუქსა, ასეთი კითხვა არ უნდა დაგესვათო.

ჰაინკესი „ბაიერნს“ ერთხელ უკვე წვრთნიდა და მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელებმა ის 18 წლის წინათ, იმ დროს გაათავისუფლეს, როცა რეკორდმაისტერი მე-12 ადგილზე იყო. „დონ იუპმა“ მიუნხენში 1987-დან 1991 წლამდე იმუშავა, ორჯერ მოაგებინა გერმანიის ჩემპიონატი და ორჯერ ჩემპიონთა თასის ფინალში გაიყვანა. აღსანიშნავია, რომ პრესკონფერენციაზე ჰიონესმა თქვა, თავის დროზე ჰაინკესის „ბაიერნიდან“ გათავისუფლება დიდი შეცდომა იყოო და იუპზე თქვა, ჩემი ძველი ძმაკაციაო. *„მასზე და გერლანდზე უკეთესს ახლა ვერავის დავნიშნავდით,“* - დასძინა ულიმ.

ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის დასრულებამდე ხუთი ტურია დარჩენილი და მაქსიმუმ 4 კვირის შემდეგ უკვე გვეცოდინება, ვინ იქნება გერმანიის ჩემპიონი. იქნება თუ არა ეს მიუნხენის „ბაიერნი“, ამ კითხვაზე ჰაინკესს პასუხი არ აქვს - „დონ იუპი“ კლინსმანისგან განსხვავებით, წნეხის ქვეშ არაა მოქცეული. პრესკონფერენციაზე ხმამაღლა გაჟღერდა, რომ „ბაიერნი“ მინიმალური მიზანი მეორე ადგილის დაკავება და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზურის მოპოვებაა. *„ჩემპიონობაზე არ უნდა ვიფიქროთ,“* - განაცხადა ჰაინკესმა და მას ჰიონესიც დაეთანხმა, თუკი ჩემპიონები გავხდებით, ამაზე უარს არავინ იტყვის, მაგრამ ამ ეტაპზე „ვერცხლის სინზე“ ლაპარაკი არ შეიძლებაო.

ჰაინკესმა იცის, რომ ოთხ კვირაში ახალს ვერაფერს მოიგონებს. დიდი ხანია, იგი ფეხბურთში მოღვაწეობს, რათა ეს იცოდეს. *„ვფიქრობ, საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს იმისათვის, რომ გუნდში შექმნილი სიტუაცია რეალურად შევაფასო და დარჩენილ დროში მაქსიმუმს მივაღწიო,“* - ამბობს რეკორდმაისტერის დროებითი მწვრთნელი. უდიდესი გამოცდილება აქვს ასისტენტ **ჰერმან გერლანდსაც**, რომელიც აქამდე „ბაიერნის“ მეორე გუნდის მწვრთნელი იყო (მის ნაცვლად იქ დროებით **მეჰმეთ შოლი** იმუშავებს). გერლანდი ძალიან მკაცრი სპეციალისტის სახელითაა ცნობილი, შეგირდები მას მწამებელს ეძახიან. მან და ჰაინკესმა „ბაიერნს“ თავდაჯერება უნდა დაუბრუნონ. *„ეს ნამდვილად არ არის ის „ბაიერნი“, რომელიც მე მახსოვს. „შალკესთან“ მატჩში გამოჩნდა, რომ გუნდი პარალიზებულია,“* - თქვა ჰაინკესმა, პირველი ვარჯიშის შემდეგ და უნდა გითხრათ, რომ იუპი „ბაიერნისა“ და „შალკეს“ მატჩს ესწრებოდა. ვითომ შემთხვევით?..

სანამ კლინსმანს გააგდებდნენ, რეკორდმაისტერის ფეხბურთელები თავს დაცულად გრძნობდნენ, რადგან თუ გუნდი წარმატებას ვერ მიაღწევდა, წინდაწინვე ცნობილი იყო, რომ წარუმატებლობა მწვრთნელს დაბრალდებოდა. ახლა კი ვითარება შეიცვალა. ახლა ზეწოლა უკვე ფეხბურთელებზე გადაინაცვლებს და წარუმატებლობის შემთხვევაში მათ გასამართლებელი საბუთი აღარ ექნებათ. ასე რომ, ახლა ყველაფერი მოთამაშეებზეა დამოკიდებული.

„ზოგიერთი ფეხბურთელისთვის კლინსმანი კარგი ალიბი იყო. ახლა კი ვითარება იცვლება. ჩვენ კარგად დავაკვირდებით ფეხბურთელებს და თუ შევამჩნევთ, რომ რომელიმე მათგანი „ბაიერნისთვის“ ბოლომდე არ იხარჯება, ზაფხულში გავაგდებთ!“ - ეს განცხადება ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** ჯერ კიდევ ორშაბათს გააკეთა.

ცნობილია, რომ ჰაინკესი არც ტაქტიკის მხრივ შეცვლის ბევრ რამეს და მით უმეტეს, არც ძირითად შემადგენლობაში განახორციელებს ცვლილებებს. კითხვაზე, დააბრუნებს თუ არა იუპი **მიხაელ რენზინგს** ძირითად შემადგენლობაში, მწვრთნელმა უარყოფითი პასუხი გასცა. ასე რომ, რეკორდმაისტერის კარს დარჩენილ თამაშებშიც **ჰანს-იორგ ბუტი** დაიცავს.

ეს, რაც შეეხებოდა აწმყოს და ერთთვიან მომავალს. ზაფხულიდან კი „ბაიერნს“ ახალი, ჰიონესისა და რუმენიგეს თქმით, უმაღლესი რანგის სპეციალისტი ჩაიბარებს. ბოსებმა უკვე დაიწყეს მწვრთნელის ძებნა და გამოკვეთილია რამდენიმე საინტერესო კანდიდატი. პრესკონფერენციაზე ჰიონესმა პირდაპირ ჩამოთვალა ის ოთხი კრიტერიუმი, რომელსაც რეკორდმაისტერის ახალი დამრიგებელი უნდა აკმაყოფილებდეს. 1. ახალი მწვრთნელი უნდა იყოს კომპეტენტური, ულის თქმით, „ბაიერნს“ მხოლოდ ისეთ მწვრთნელს ჩააბარებენ, რომელიც საფეხბურთო მასწავლებელი იქნება. 2. მას საკუთარი ხედვა და ჩამოყალიბებული საფეხბურთო ფილოსოფია უნდა გააჩნდეს (ჰიონესი: *„გვჭირდება მწვრთნელი, რომელიც მინიმუმ 3-4 წელი იმუშავებს და ძლევამოსილ გუნდს ჩამოაყალიბებს“*). 3. „ბაიერნის“ ახალი თავკაცი აუცილებლად უნდა იყოს გამოცდილი და წარმატებული, ისეთი, ვისაც ყველა დიდ პატივს სცემს. 4. ის არ უნდა იყოს ძალიან ახალგაზრდა და არც ძალიან მოხუცი (ჰიონესი: *„63 წლის მწვრთნელის დანიშვნას არანაირი აზრი არ აქვს!“*).

„ბაიერნის“ პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა** უკვე აღნიშნა, რომ „ბაიერნს“ დაახლოებით **გუუს ჰიდინკის** („ჩელსი“/რუსეთის ნაკრები) დარი სპეციალისტი სჭირდება, მაგრამ ფაქტია, რომ მიუნხენელებს შეუძლიათ, ჰიდინკზე არც კი იოცნებონ. ბავარიული გრანდის პროფილში კარგად ჯდებიან **ჟოზე მოურინიო** (ინტერი), **არსენ ვენგერი** (არსენალი) და **კარლო ანჩელოტი** (მილანი). მიუნხენური კლუბის შეფებს „ვერდერის“ დამრიგებელი **თომას შააფიც** მოსწონთ, მაგრამ ამ კანდიდატების „ბაიერნში“ ხილვა თითქმის გამორიცხულია. არსებობს რამდენიმე მოდელი და საინტერესოა, რომელს აირჩევს მიუნხენური გრანდი.

მოდელი საერთაშორისო ტოპმწვრთნელი

სვენ-გორან ერიქსონი (61 წლის, უმუშევარი): სადაც იმუშავა, თითქმის ყველგან წარმატებული იყო. ერთადერთი, რაც მის წინააღმდეგ მეტყველებს, პლეიბოის იმიჯია და ის, რომ დიდ ხელფასს მოითხოვს. ვერ გაამართლა მხოლოდ მექსიკასა და „მანჩესტერ სიტიში“.

ჟერარ ულიე (61 წლის საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია): ულიე ახლა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორია. უარი თქვა „ჰამბურგსა“ და „ნიუკასლში“ მუშაობაზე. ულიეს მსუყე ლუკმა უნდა, ისეთი, როგორიც „ბაიერნია“ - გუნდი, სადაც მუშაობის ხანგრძლივი პერსპექტივა ექნება. ყველაზე დიდ წარმატებას „ლივერპულში“ მიაღწია, რომელსაც 2001 წელს ჰეთთრიკი შეასრულებინა (უეფას თასი, ლიგის თასი, ასოციაციის თასი).

რობერტო მანჩინი (44 წლის უმუშევარი): „მანჩო“ უკვე სერიოზული მწვრთნელია, რომელსაც ყველგან პატივს სცემენ. მიუხედავად იმისა, რომ „ინტერს“ სამი სკუდეტო მისი მწვრთნელობის ხელში აქვს მოპოვებული, მანჩინის არ აქვს საკუთარი სამწვრთნელო ხელწერა. იტალიელი სპეციალისტი „ბაიერნში“ სიამოვნებით იმუშავებდა.

მანუელ პელეგრინი (55 წლის ვილიარეალი): ყველაზე „უცნობი“ ტოპმწვრთნელი, რომელიც ასევე მიუნხენური გრანდის შეფების სიაშია. პელეგრინი „ვილიარეალში“ 2004 წლიდან მუშაობს და 2004 წელს ეს გუნდი უეფას თასის, ხოლო 2006-ში კი ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაიყვანა. ვრცელდება ცნობები, რომ მისით მადრიდის „რეალი“ და ლონდონის „ჩელსიც“ არიან დაინტერესებულები.

ამ მწვრთნელების გარდა, „ბაიერნის“ ბოსების სიაში **ფრანკ რიიკაარდი** (46, უმუშევარი), **ბერნდ შუსტერი** (49, უმუშევარი), **ლუიშ ფელიპე სკოლარი** (60, უმუშევარი) და **ლუის ვან გაალიც** (57, ალკმაარი) ფიგურირებენ. რიიკაარდმა „ბარსელონას“ ორჯერ მოაგებინა პრიმერადივიზიონი და 2006 წელს კი ჩემპიონთა ლიგა. რიიკაარდის სასარგებლოდ ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ის გერმანულად საუბრობს. ამასთან, ჰოლანდიელს „ჩელსიც“ უმიზნებს. შუსტერს ცოტა ხნის წინათ სერიოზულ მწვრთნელად არ აღიქვამდნენ და იმედები „რეალშიც“ ვერ გაამართლა. სამაგიეროდ, ბერნდი „ბაიერნის“ გაწვრთნაზე ოცნებობს და არაერთხელ უთქვამს, მიუნხენიდან რომ დამირეკონ, სადაც არ უნდა ვიყო და რასაც არ უნდა ვაკეთებდე, ეგრევე ბავარიისკენ ავიღებ გეზსო. რაც შეეხება ვან გაალს, „ალკმაარის“ თავკაცმა ორიოდ კვირის წინ განაცხადა, „რეალში“ ან მიუნხენის „ბაიერნში“ მუშაობას სიამოვნებით დავთანხმდებიო.

მოდელი საერთაშორისო B კატეგორიის მწვრთნელი

მეორეხარისხოვანი სპეციალისტებიდან პირველ ადგილზე **სლავენ ბილიჩია**, ხორვატიის ნაკრების 40 წლის დამრიგებელი, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ, ნიჭიერ და პერსპექტიულ მწვრთნელად მიიჩნევა. 2006 წელს „უორლდ სოკერმა“ ბილიჩი ახალი თაობის მწვრთნელებიდან საუკეთესოდ დაასახელა. სწორედ მან გაუხსნა გზა საფეხბურთო ელიტისკენ **ლუკა მოდრიჩს, ვედრან ჩორლუკას** და **ედუარდო და სილვას**. ბილიჩი გერმანულად ძალიან კარგად საუბრობს, ის ორწლი-ნახევრის განმავლობაში „კარლსრუეში“ თამაშობდა. მისი ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ კლუბში არასდროს უმუშავია.

მეორეხარისხოვანი მწვრთნელებიდან, ჰიონესისა და რუმენიგეს სიაში არიან 40 წლის **დიდიე დეშამი**, რომელიც ტაქტიკურად ძალიან განსწავლული სპეციალისტია, „მარსელის“ თავკაცი **ერიკ გერეტსი**, უმუშევარი **მიქაელ ლაუდრუპი** და ფლორენციის „ფიორენტინას“ 51 წლის დაფასებული მწვრთნელი **ჩეზარე პრანდელი**. ეს უკანასკნელი „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს **ლუკა ტონიმ** ურჩია. პრანდელის უმთავრესი პლუსი ნიჭიერი ფეხბურთელების გაზრდაა.

მოდელი მწვრთნელი ბუნდესლიგიდან

გერმანული პრესა წერს, რომ კანდიდატებს შორის უმთავრესი ფავორიტი **მათიას ზამერია**, რომელიც ამჟამად გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორის პოსტზე მუშაობს. „მოტცკი“ ბოლოს „შტუტგარტის“ დამრიგებელი იყო, ბოლო სერიოზული წარმატება კი ის გახლდათ, რომ 2001 წელს მან დორტმუნდის „ბორუსია“ გააჩემპიონა. ბუნდესლიგიდან განიხილება **ლუსიენ ფავრის** (ჰერტა) კანდიდატურაც, რომელიც რუმენიგეს ფავორიტია. 51 წლის შვეიცარიელმა მწვრთნელმა ბერლინულ კლუბს ორ წელიწადში უდიდესი პროგრესი განაცდევინა და გერმანიაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. სხვათა შორის, **ოტმარ ჰიტცფელდის** თქმით, ფავრი „ბაიერნისთვის“ იდეალური მწვრთნელი იქნებოდა. არის **იურგენ კლოპის** ვარიანტიც (დორტმუნდი). მიუნხენელები მის დანიშვნას შარშანაც აპირებდნენ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ კლინსმანი რეკორდმაისტერის გაწვრთნაზე უარს იტყოდა. აღსანიშნავია, რომ „კლოპომ“ ახლახან „ბორუსიასთან“ კონტრაქტი 2012 წლამდე გააგრძელა. განიხილება **არმინ ფეეს** (უმუშევარია), **მარტინ იოლის** (ჰამბურგი) და **კლაუს აუგენტალერის** (უმუშევარი) კანდიდატურებიც.

მოდელი მათეუსი

ლოთარ მათეუსი ცალკე იმიტომ გამოვყავით, რომ მისი „ბაიერნში“ დანიშვნის პერსპექტივა ცალკე აღნიშვნის ღირსია. ეს არის კაცი, რომელიც დიდი ხანია, რეკორდმაისტერის გაწვრთნაზე ოცნებობს. თავის დროზე მას გერმანიის ნაკრების გაწვრთნაც სურდა, მაგრამ კლინსმანი ამჯობინეს, მერე „ბაიერნს“ სთავაზობდა საკუთარ კანდიდატურას და იქაც კლინსმანს მიანიჭეს უპირატესობა. დღეს 48 წლის ლოთარი ისრაელში მუშაობს. გამორიცხული არ არის, რომ ლოთარს დიდი ხნის ოცნება ახლა აუსრულდეს.

გოტფრიდ ლენცი

ინტერვიუ ბრიუს ბაკი

სტეფორდ ბრიჯი გაიზრდება

„ჩელსის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ბრიუს ბაკი პრესასთან კლუბის ახალ გეგმებზე ალაპარაკდა. მისი თქმით, „ჩელსის" დირექტორთა საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, „სტეფორდ ბრიჯის" გაზრდის შესახებ. ამჟამად სტადიონი 42 360 ადამიანის იტევს, ხოლო „არისტოკრატები" მას 50-55 ათასამდე გაზრდიან. გთავაზობთ მცირე ინტერვიუს ბრიუს ბაკთან.

- რას ფიქრობთ „ჩელსის" მომავალზე?

- იმედი მქონდა, ეს მეორე შეკითხვა იქნებოდა. პირველ რიგში ინტერესებთ ხოლმე, ამერიკელს მესმის თუ არა ევროპული ფეხბურთი.

- რას ფიქრობთ, პიდინკი სეზონის ბოლოს მიდის...

- დირექტორთა საბჭოს ახალი მწვრთნელის ნახვა მოუწევს, თანაც ხანგრძლივი დროით. ჩვენ უკვე ვეძებთ ლორსულ კანდიდატურას.

- როდის გადადიხართ „სტეფორდ ბრიჯიდან"?

- პირველ რიგში, მინზად გვაქვს არენის 50-55 ათასამდე გაზრდა. ეს არ იქნება იოლი, რადგან სტადიონს ყოველი მხრიდან მხოლოდ თითო გამოსასვლელი აქვს, მაშინ, როცა ჩვეულებრივ, მაღალი დონის სხვა არენებს, 3-4 აქვთ. ყოველი მემთხვევისთვის სტადიონის მოდერნიზაციის გადაწყვეტილება მიღებული, იქამდე, ვიდრე ახალ არენაზე გადავალთ, საჭიროა, ის სტადიონი გავაუმჯობესოთ, რომელზეც ახლა ვთამაშობთ. ფინანსური კრიზისის პირობებში ახალი სტადიონის აშენება ნამდვილად არ არის ის, რაზეც კლუბმა პირველ რიგში უნდა იფიქროს.

- სოლიდური თანხები გამოიყოფა თუ არა ახალი ფეხბურთელების შესაძენად?

- სატრანსფერო სერიოზული გეგმები გვაქვს. ნამსვლელებზე ვერაფერს გეტყვით, რამდენი ფეხბურთელი დაგვტოვებს, 3-4 თუ 5, არ ვიცი. ახალ მოთამაშეებში სწორედ იმ ფულს დავხარჯავთ, რომელსაც სხვების გაყიდვით მივიღებთ. ვფიქრობ, ნორმალური ბიზნესია.

- შეიძლება თუ არა, მოურინიო დაბრუნდეს? მაინც, რატომ გაათავისუფლეთ თავის დროზე?

- თუკი გულწრფელად გაინტერესებთ, გეტყვით, ის დიდი მწვრთნელი და დიდი ადამიანია, მაგრამ მისი დრო „ჩელსიში" აღარასოდეს დაბრუნდება. რაც შეეხება მის გაშვებას, ფოზე ჩვენ არ გაგვიძევებია. მან კლუბი ჩვენთან შეთანხმების საფუძველზე დატოვა. ამ საკითხზე მეტი სათქმელი აღარაფერი მაქვს, ის კი, რაც გითხარით, უკვე მრავალჯერ მითქვამს.

- მართალია, რომ ტრუზეგეთი ხართ დაინტერესებული?

- ის უმაღლესი კლასის ფეხბურთელია, მაგრამ ამჟამად ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ ახლა ვინყებთ გეგმების დანყობას სამომავლო ტრანსფერებთან დაკავშირებით. ასე რომ, რაც თქვენ იკითხეთ, ჩათვალეთ, რომ სიმართლეს არ შეესაბამება, კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ არც ფეხბურთელზე მიგვიღია. იგივე ეხება რიბერისა და ტევეზის საკითხსაც. უახლოეს ხანებში ფრანკ არნესენი და გუუს ჰიდინკი ამ საკითხზე საბოლოოდ ჩამოყალიბებიან. ივნისში კი სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება და მხოლოდ ამის შემდეგ გაიგებთ, ვის გადაბირებასაც შეეცდებით. გუნდში ტოტალური ცვლილებები არ იქნება.

გვერდი მოამზადა
შალვა ბიბილაშვილმა

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის პლდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია. FOX-პროცედურები. წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ვარსკვლავი

გლენ ჯონსონმა ინგლისის ნაკრების ადგილი დაიბრუნა

შამპანური, არაყი და უნიტაზის დასაჯდომი

"პორტსმუთის" 24 წლის მარჯვენა მცველი გლენ ჯონსონი წელს, როგორც იქნა, გათავისუფლდა უკვე დიდი ხნის მობეზრებული "ახალგაზრდა და პერსპექტიული" ფეხბურთელის იარლიყისგან. მიმდინარე სეზონში მან შეძლო და ისეთ დონეზე ითამაშდა, რომ საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი როგორც კლუბის სასტარტო შემადგენლობაში, ისე ინგლისის ნაკრების ძირითადში. მისი თქმით, ის "ჩელსიდან" დაბალი რანგის კლუბში სწორედ ამიტომ გადავიდა. შედეგად ფეხბურთელი თავად მისმა კოლეგებმა აღიარეს - პროფესიონალთა ფეხბურთელთა ასოციაციამ ის წლის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელეს.

გლენ ჯონსონის კარიერის დასაწყისი სულაც არ ჰგავს ცნობილი ვარსკვლავების ბიოგრაფიას. მას სადებიუტო შეხვედრაში გოლი არ გაუტანია, არც ზოგადად დატოგვებია ფანტასტიკური შთაბეჭდილება, არც რომელიმე სახელგანთქმულ მწვრთნელს შეუნიშნავს მისი ნიჭი ხარულად შემთხვევით. პირიქით, 12 წლის გლენ "ლესტერ სიტის" აკადემიიდან გაათავისუფლეს, როგორც უპერსპექტივო ყმანვილი. სამაგიეროდ, მისი აღზრდა "ვესტ ჰემის" სკოლამ ითავა. 2001 წელს, 16 წლის ასაკში, მან პირველი პროფესიული, სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა "ჩაქუჩებთან", სადაც 2001/2003 წლები გაატარა. პირველ სეზონში მას ერთი შეხვედრაც კი არ ჩაუტარებია (ასაკის გათვალისწინებით გასაკვირი არაფერია). 2002/03-ის პირველ ნახევარში უნაყოფო ლოდინის შემდეგ კი "ვესტ ჰემმა" ის თავის "მოსისხლე მტერ" "მილუოლს" ერთთვიანი არენდით დაუთმო. დიდ ფეხბურთთან პირველი შეხვედა ფეხბურთელს "მილუოლი"-"ნორვიჩის" (1:3) შეხვედრაში ჰქონდა. ერთის მაგივრად ფეხბურთელმა ოჯახით ორი თვე ითამაშა, რის შემდეგაც "ვესტ ჰემში" დაბრუნდა და სეზონის ბოლომდე ისე ითამაშა, უმალო რამდენიმე ამბიციური კლუბის ყურადღება მიიპყრო. პრემიერლიგაში მისი დებიუტი ჩემპიონშიფსა არ იყოს, მარცხიანი აღმოჩნდა - "ჩარლტონთან" 2:4. მოუხედავად იმისა, რომ გუნდს ერთობ ძლიერი შემადგენლობა ჰყავდა, სეზონის ბოლოს "ჩაქუჩები" ელიტას დაემშვიდობნენ. მოგვიანებით პრესამ **გლენ როჟდერის** ფორმაციის "ვესტ ჰემი" ყველაზე ძლიერ გუნდად დაასახელა, რომელიც კი ოდესმე პრემიერლიგიდან გავარდნილა. 2003 წლის ივნისში 18 წლის მოთამაშე "ჩელსიმ" შეიძინა. აღსანიშნავია, რომ ის პირველი ფეხბურთელი გახდა, ვინც **რომან აბრამოვიჩმა** თავისი ახალი კლუბისთვის შეიძინა. სპორტსმენი, ვისი უმალოეს დონეზე თამაშის გამოცდილება რამდენიმე ათეულ მეხვედრასაც კი არ შეადგენდა, "არისტოკრატებმა" 6 მილიონი ფუნტი გადაიხადეს.

პირველად კარიერაში ფეხბურთელმა ახალ კლუბში სადებიუტო თამაში არ წააგო. ეს სლოვაკურ "ჟილინასთან" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის გასვლით შეხვედრაში, 2003 წლის 13 აგვისტოს მოხდა (2:0). განმეორებით დებირისპირებაში კი გლენმა პირველი გოლი გაიტანა პროფესიულ კარიერაში - "ჩელსიმ" 3:0 გაიმარჯვა. ნოემბრამდე მან პირველად ბედ რამეს გაუგო გემო: გაიტანა პირველი პრემიერლიგური გოლი, ჩაატარა სადებიუტო შეხვედრა ეროვნულ გუნდში დანიის ნაკრებთან (ტრადიცია არ დარღვეულა და მისმა გუნდმა "ოლდ ტრეფორდზე" 2:3 წააგო), მიიღო პირველი ნითელი ბარათი... ლამაზი ზღაპარივით მისი კარიერა ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. იუნიორი ფეხბურთელისთვის ორ სეზონში ჩატარებული 63 შეხვედრა ასეთი ამბიციების კლუბში ცოტა სულაც არ იყო. თუმცა მისმა ერთმა ბრიყვულმა საქციელმა „ჩელსიში" მის კარიერას წერტილი დაუსვა. ეს „ბარსელონასთან" მეოთხედფინალური შეხვედრის წინა საღამოს მოხდა. გაზეთების ინფორმაციით, რასაც თან ფოტოკოპიც ერთვოდა, ჯონსონი მთელი ღამის განმავლობაში ლონდონის ერთ-ერთ ღამის კლუბს სტუმრობდა, სადაც იმ დონემდე დათვრა, რომ საკუთარ მაგიდაზე ცეკვავდა, თანაც ერთ ხელში შანპანურის ბოთლი ეჭირა და მეორეში არყის. დილით აეროპორტში ის აშკარად მთერალი გამოცხადდა თანაც... უპასპორტოდ. ბუნებრივია, ფეხბურთელი ლონდონშივე დარჩა და მხოლოდ ორიოდე დღის შემდეგ გამოეხადდა **ჯოზე მოურინოს** კაბინეტში, რათა მომხდარზე ახსნა-განმარტება გაეკეთებინა. როგორც ჩანს, გლენის პასუხებმა პორტუგალიელი არ დააკმაყოფილა. მას შემდეგ ჯონსონს „ჩელსის" ძირითადში ადგილი აღარასოდეს დაუბრუნებია. ის **პაულო ფერეირასა** და **ჯეკომი ჯკინპაის** ჩრდილში მოექცა. ამას ნაკრებში ადგილის დაკარგვა მოჰყვა, რადგან **სვენ გორან ერიკსონმა** ის დანიასთან კოპენჰაგენში წაგებულ შეხვედრაში (1:4) მთავარ დანიშვნად დაასახელა. შვედის წასვლის შემდეგ ის ერთხელაც არ გახსენებია **სტიე მაკლარენს**.

გლენ ჯონსონზე ზრუნვა **ჰარი რედნაპმა** იკისრა, მწვრთნელმა, ვინც ყოველთვის გამოირჩეოდა თანამემამულეთა მიმართ განსაკუთრებული ყურადღებით. 2006/07 წლების სეზონში მან ფეხბურთელი „პორტსმუთში" წაიყვანა, ერთი წლის შემდეგ კი მისი სატრანსფერო უფლებები სულაც 4 მილიონ ფუნტად გამოისყიდა. სამწრეთ ინგლისში მისი კარიერა ისეც აღმავალი ხაზით წავიდა. ყველასთვის მოულოდნელად „პომპეზმა" ინგლისის თასი მოიპოვა. ამ წარმატებაში გლენის წვლილი უდიდესი იყო. 2008 წლის დასანყისში მისით **ფაბიო კაპელო** დაინტერესდა და ნაკრებშიც დაბარნა. თუმცა წვრილმან უსიამოვნებებს ფეხბურთელი მაინც ვერ გადაურჩა. რამდენიმე თვის წინ კი მას სპორტული ჩანთიდან თასის მოგებისთვის კუთვნილი ოქროს მედალი მოჰპარეს. ფეხერაციამ იზრუნა და ფეხბურთელს მისი დუბლიკატი დაუმზადა.

გარდა ამისა, ფეხბურთელმა ღამის ცხრაში ამოყო თავი. მშობლიურ ქალაქ დარტფორდში ერთერთ მაღაზიაში ის, შეიძლება ასე ვთქვათ და ეროვნული ნაკრების დასაჯდომის მოპარვისთვის დააკავეს... თუმცა შემდეგ გაირკვა, რომ ადგილი ჰქონდა ჩვეულებრივ გაუგებრობას. ან, როგორ იხსენებს ამ ფაქტს თავად ფეხბურთელი: „მე და მეგობარი საბაზნოს ვარემონტებდით. ჩვენ მაღაზიაში ერთად წავედით, რათა, რაც გვჭირდებოდა, ყველაფერი გვეყიდა. უნიტაზის დასაყენებლად მე ერთი მომტრონა და ფასი ვიკითხე, მან მეორე შემომთავაზა. დავთანხმდი. ავიღე მეორე, დამაგინდა, რომ მისი ფასი დამეზუსტებინა, გადაიხადე პირველის ღირებულება და მაღაზიიდან გასცლა დავაპირე. დაცვის წევრი წინ გადამიდგა. მან გამომიცხადა, რომ ადგილზე დავრეზერვირებულ ადგილ პლეიერად ჩამოვიდა. ვიღაცას მართლა სჯერა, რომ უნიტაზის დასაჯდომს მოვიპარავდი". ძნელია მის გულწრფელობაში ეჭვი შეიტანო, რადგან მისი კარგი გემოვნების ამბავი საყოველთაოდ ცნობილია.

ინტერვიუ

ზინედინ ზიდანი

მთელი სხეულით ვგრძნობ, რომ რეალი გაიმარჯვებს

ეროვნული ბიბლიოთეკა
ზინედინ ზიდანი და რაული

კლასიკოს მოახლოებასთან ერთად, ესპანეთში აჟიოტაჟი პიკს აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ სამშაბათს, „ბარსელონასა“ და „ჩელსის“ შორის ძალიან პრინციპული საჩემპიონთალიგო დაპირისპირება გაიმართა, ესპანურ სპორტულ მედიაში მთავარ თემად მაინც სამეფო კლუბისა და კატალონიური გრანდის მოახლოებული დაპირისპირება რჩებოდა. რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, ესპანეთში ყოველთვის ასე იქნება. ამ ულამაზეს ქვეყანაში „რეალისა“ და „ბარსელონას“ დაპირისპირება ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. წელიწადში სულ მცირე ორჯერ ხალხი მათთვის ყველაზე საყვარელ და მთავარ შეხვედრას უყურებს ხოლმე. კლასიკო ესპანელების გატაცება, სიცოცხლე და ჟანგბადია. ამ თამაშის გარეშე ცხოვრება ვერც ერთ გულშემატკივარს ვერ წარმოუდგენია. ვისაც ესპანეთში უცხოვრია, ყველა დაგვეთანხმება, რომ კლასიკომდე და კლასიკოს შემდეგ დიდ საფეხბურთო ქალაქებში განსაკუთრებული ატმოსფერო სუფევს ხოლმე. არსებობს საფეხბურთო ქალაქები სადაც ადგილობრივი გუნდი, პრაქტიკულად, მეორეხარისხოვანია, რადგან იქ ძირითად შემთხვევებში „რეალს“ უფრო მეტი გულშემატკივარი ჰყავს. მიზეზი მარტივია, სამეფო კლუბი ესპანეთის სიმბოლოა, ბევრი ადამიანი პატრიოტიზმის განხორციელების აუცილებელ პირობად სწორედ „რეალის“ სიყვარულს მიიჩნევს. კატალონია კი ყოველთვის პროტესტანტი ავტონომია იყო.

მას შემდეგ, რაც ფრანკოს დიქტატორული რეჟიმი დაემხო, იქ დამოუკიდებლობას თამამად ითხოვენ, თუმცა თავად კატალონიელების აღიარებით, ინდეპენდისტების რაოდენობა 17-18 პროცენტს არ აღემატება. ერთ რამეში კი იქაურები შეთანხმებული არიან, შეიძლება, უმეტესობა დამოუკიდებლობას არ ითხოვს, მაგრამ აბსოლუტური უმრავლესობა თავს კატალონიელი ერის ნაწილად მიიჩნევს. მათთვის „ბარსელონა“ ის არმიაა, რომელიც კატალონიის თავმოყვარეობის დაცვით არასოდეს დაიღლება. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, პოლიტიკური, ნაციონალური თუ სოციალური საკითხები კლასიკოს განსაკუთრებულობას განაპირობებს. „რეალისა“ და „ბარსელონას“ დაპირისპირება მხოლოდ საფეხბურთო მატჩი არასოდეს ყოფილა. ეს ერთ სახელმწიფოში მცხოვრები ორი ერის მხრიდან უპირატესობის დამტკიცების სურვილი, კულტურის, ცხოვრების წესისა და უნიკალური საფეხბურთო მსოფლმხედველობის წარმოჩენის მცდელობაა.

ბუნებრივია, ესპანეთისა და კატალონიის საამაყო გუნდებს ყველაზე დიდი რაოდენობით უცხოელები წარმოაჩენენ ხოლმე. მრავალთაგან თითოოროლას ისე უმართლებს, რომ ამ კლუბების განუყრელი ნაწილი ხდებიან. მათ შორისაა ზინედინ ზიდანიც. გენიალური ფრანგი ნახევარმცველი მადრიდის „რეალის“ ისტორიის უკვდავი ნაწილი დიდი ხნის წინ გახდა. გასაკვირი არ არის, რომ „რადიო ნასიონალის“ რედაქციას სტუდიაში მისი მიწვევისა და ინტერვიუს აღების სურვილი გაუჩნდა. ზიზუ კლასიკოს ისევე მოუთმენლად ელის, როგორც ყველა ფეხბურთელი და გულშემატკივარი.

- ზიზუ, დიდი მადლობა, რომ ინტერვიუზე დაგვთანხმდით. თქვენს მაგიას სამეფო კლუბის ინჩასები არასოდეს დაივიწყებენ. ჩვენი პროდიუსერები მატყობინებენ, რომ გადაცემას უამრავი ადამიანი უსმენს. რვა თვეზე მეტია ამდენი მსმენელი არ გვყოლია, არ გაგიკვირდეთ, რომ სარეკლამო ჭრაზე ძალიან ხშირად გავალთ. შეკვეთები ონლაინ რეჟიმში შემოდის. დიდი მადლობა, რომ გვამდიდრებთ...

- (იცინის) ესპანეთი და „რეალი“ იმიტომ მიყვარს, რომ აქ არასოდეს დამივიწყებენ. ძალიან მიხარია, რომ ჩემი საუბრის მოსმენის სურვილი ძალიან ბევრ ადამიანს გაუჩნდა. პირობას გაძლევთ, ყველა კითხვაზე გულწრფელად გიპასუხებთ.

- რამდენიმე დღეში კლასიკო გაიმართება. რას ელით ამ მატჩისგან?

- რა თქმა უნდა, „რეალის“ გამარჯვებას. „ბარსელონას“ დამარცხების შემთხვევაში ჩვენ ჩემპიონობის მოპოვების ფანტასტიკური შანსი გაგვიჩნდება. ბიჭებმა საკუთარ თავს უნდა აჯობონ, ყველა სახის პრობლემა დაივიწყონ და 90 წუთი თავდაუზოგავ ბრძოლაში გალიონ. „რეალს“ საზოგადოებისთვის ასეთი თავდადების მაგალითი არაერთხელ მიუცია. დარწმუნებული ვარ, ახლაც ასე იქნება.

- დარწმუნებული ვარ, „ჩვენ“ შემთხვევით არ გითქვამთ. ისევ ფეხბურთელად და მადრიდის „რეალის“ წევრად გრძნობთ თავს?

- რა თქმა უნდა, „რეალს“ ღრმა მოხუცებულობაშიც ვუქომაგებ. ბედნიერი ვარ, რომ ამ ლეგენდარული კლუბის განუყოფელი ნაწილი გავხდი. მეც იმ დიდი იმპერიის ჯარისკაცი ვარ, რომელიც ლეგენდარულმა ხალხმა შექმნა. მე და დონ ალფრედო (დი სტეფანო) სხვადასხვა დროს ერთ საქმეს ვემსახურებოდით. ამ ფაქტთან დაკავშირებული ემოციების სიტყვიერად გადმოცემა უბრალოდ შეუძლებელია.

- ზიზუ, როგორ ფიქრობთ, „რეალს“ კლასიკოში გამარჯვების რამდენად დიდი შანსი აქვს?

- ჩემი აზრით, როგორც ყოველთვის შანსები 50/50-ზეა. ჩვენ ხომ ესპანეთის ორ საუკეთესო კლუბზე ვსაუბრობთ. ამის გათვალისწინებით, ძალიან ძნელია იმის წინასწარმეტყველება კონკრეტულად რომელი კლუბი გაიმარჯვებს... თუმცა რწმენა სულ სხვა გრძნობაა. დიახ, რწმენას მე გრძნობას ვუძახი, რადგან რაღაცის რწმენა თუ არ იგრძენი, ეს ეიგი არაფრის გწამს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, მთელი სხეულით ვგრძნობ, რომ კლასიკოში „რეალი“ გაიმარჯვებს. სამეფო კლუბს სხვა გუნდებისგან ერთი ფანტასტიკური თვისება გამოარჩევს, ეს საჭირო დროს მაქსიმალური კონცენტრაციისა და შესაძლებლობების 100 პროცენტის გამომჟღავნების უნარია. ძალიან ბევრ შემთხვევას გაიხსენებთ, როცა „რეალს“ ურთულეს სიტუაციაში ურთულესი მატჩი მოუგია. ჩვენი გუნდი ფარხმალს არასოდეს ყრის, ის არასდროს არავის ნებდება. შეიძლება ესე თუ ის შეხვედრა დიდი ანგარიშითაც წავაგოთ, მაგრამ კაპიტულაცია არასოდეს ვაცხადებთ.

- თუ „რეალის“ გამარჯვებას მთელი სხეულით გრძნობთ და რწმენით ხართ აღსავსე, რატომ ამბობთ, რომ შანსები 50/50-ზეა?

- იმიტომ, რომ ეს ჩემი რწმენა და ჩემი სხეულის მიერ განცდილი გრძნობაა (იცინის). გულწრფელად რომ ვისაუბროთ, ჩემი რწმენა ან პირადი შეხედულება თუ ანალიზი, უტყუარი პროგნოზისა და ობიექტური შეფასების გაკეთების საშუალებას არ იძლევა. საღი აზროვნებიდან გამომდინარე, ვაცხადებ, რომ შანსები თანაბარია. ბოლოს და ბოლოს, „ბარსელონა“ „ბარსელონაა“. ის წელს ფანტასტიკურ სეზონს ატარებს და ვერავინ იტყვის, რომ ფავორიტი არ არის. კლასიკოში ორივე გუნდი ფავორიტია, თუმცა მე ჩემს გრძნობას ვენდობი და გულწრფელად მჯერა, რომ გავიმარჯვებთ.

- თქვენი აზრით, „ჩელსისთან“ მძიმე მატჩი „ბარსელონას“ პრობლემებს შეუქმნის? არ დაგავიწყდეთ, რომ კატალონიელებმა უმნიშვნელოვანეს ნახევარფინალში გოლი ვერ გაიტანეს. ამით ისინი ფსიქოლოგიურ წნეხში მოექცევიან?

- ჩემი აზრით, „ჩელსისთან“ მატჩში „ბარსელონამ“ ძალიან დიდი ენერგია დახარჯა. მიუხედავად იმისა, რომ კატალონიელები მაღალ ტემპში არ თამაშობდნენ, შეხვედრის მიწურულს მათ საშინელი დაღლილობა დაეტყოთ. ვფიქრობ, კლასიკოს „რეალი“ უფრო თავშემონახული და ენერგიული შეხვდება. ფსიქოლოგიურ წნეხს რაც შეეხება, მიმაჩნია, რომ კატალონიელები პრობლემებს ამ თვალსაზრისითაც წააწყდებიან. განა ცხადი არ არის, რომ „ჩელსისთან“ განმეორებითი ნახევარფინალის წინ მათ გოლის გატანა სჭირდებოდათ? კატალონიელებმა ბოლო ორი შეხვედრა ფრედ ითამაშეს და ამით მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაირთულეს. შეუძლებელია, რომ ამ გარემოებამ განწყობაზე საერთოდ არ იმოქმედოს, თუმცა მე ბარსელონელების პროფესიონალიზმს პატივს ვცემ და დარწმუნებული ვარ, რომ ისინი კლასიკოს მსვლელობისას წინა ორი თამაშის ტყვეობაში არ მოექცევიან.

- დავუშვათ, „რეალისა“ და „ბარსას“ დაპირისპირება ფრედ დასრულდა...

- მე მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია, თუ „რეალს“ ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება სურს, „ბარსელონა“ ნებისმიერ ფასად უნდა დაამარცხოს. ჩემი აზრით, კლასიკოში ფრე სამეფო კლუბისთვის წაგების ტოლფასი იქნება. არ მინდა, რომ გამარჯვების გარდა სხვა რამეზე ვიფიქრო. მიდით, ბიჭებო, ამ უქმეებზე თქვენ სამეფო კლუბის დიდი ოჯახის პრესტიჟი უნდა დაიცვათ. მშვენივრად ვიცი, ფეხბურთელებს ჩემი გამხნევება არ სჭირდებათ. ისინი ისედაც მოტივირებული და ანთებული არიან, მაგრამ თავს უფლება მივეცი, რომ ეს მოწოდება გამეკეთებინა და საერთო საქმეში ჩემი პატარა წვლილი შემეტანა (იცინის).

- მართალია, ფლორენტინო პერესი რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებზე ოფიციალურ კანდიდატად ჯერ არ დარეგისტრირებულა, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ის ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტი იქნება. თქვენს ბანაკში როგორი განწყობაა, გჯერათ გამარჯვების?

- ცხადია! მჯერა, რომ სოსიოები წარსულისა და აწმყოს სწორ შეფასებას გააკეთებენ და მიხვდებიან, ვის რა შეუძლია. ფლორენტინოს სახელი სამეფო კლუბის სასახელო ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე საამაყო ფურცელს უკავშირდება. საბედნიეროდ, ის ჯანმრთელი და მოტივირებულია. თუ თანამდებობაზე კიდევ ერთი ვადით აირჩევენ, დარწმუნებული ვარ, „რეალს“ იმ დიდებას დაუბრუნებს, რომელიც ყველას თანაბრად გვეამაყება.

ლეო მესი

ახალგაზრდა გმირი

მესი გენიოსებს გაუთანაბრდა

ლეო მესიმ ლეგენდარულ სპორტსმენთა შორის დაიდო ბინა. „ჩელსისთან“ მატჩის შემდეგ გენიალური არგენტინელ ფორვარდს „დიარიო მარკას“ რედაქციამ, 12 წლის წინ გაზეთის მიერ დაწესებული ჯილდო „მარკას ლეიენდა“ გადასცა. მესიმ ეს ჯილდო მადრიდული გამოცემის დირექტორის, სენიორ **ედუარდო ინდას** ხელიდან მიიღო. ეს აღიარება იმითაა მნიშვნელოვანი, რომ „დიარიო მარკა“ ყველაზე მაღალტირაჟიანი ესპანური გამოცემაა და სპორტულ საზოგადოებაში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. სხვათა შორის, ის ერთადერთი ესპანური გაზეთია, რომელსაც მსოფლიოში გამეფებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა ვერანაირი პრობლემა ვერ შეუქმნა. „დიარიო მარკა“ ისევ მყარად დგას და კლიენტებს არა თუ არ კარგავს, პირიქით, ტირაჟს დღითი-დღე უფრო ზრდის.

მესის დასაჯილდოებლად გამოცემის მესვეურები ბარსელონაში ჩაფრინდნენ და ღონისძიებისთვის კატალონიის დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ფეშენებელური სასტუმროს დარბაზი დაიქირავეს. დაჯილდოების ცერემონიას 300 ადამიანი დაესწრო. მათ რიცხვში მოვლენის გასაშუქებლად მისული ჟურნალისტების დიდი არმია არ შედის. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „მარკას ლეიენდა“ ძალიან პრესტიჟული ჯილდოა და ლეო მის მისაღებად დიდი სიამოვნებით მივიდა. პრიზის გადაცემის შემდეგ გაზეთის დირექტორმა სენიორ ინდამ სიტყვა წარმოთქვა:

„ძალიან ბევრს ლაპარაკობენ, რომ მე „რეალის“ თავგადაკლული ფანი ვარ და ჩვენი გაზეთის მეშვეობით სამეფო კლუბის ინტერესებს ვემსახურები, თუმცა იმედია, ახლა მაინც დამანებებენ თავს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელი „ბარსელონაში“ თამაშობს და მას ლეო მესი ჰქვია. ამ ბიჭს უდიდესი მომავალი აქვს. არ არის გამორიცხული, მან „მარკას ლეიენდა“ კიდევ არაერთხელ მოიპოვოს. მესის წინ წალიან ბევრი წარმატება და ტიტული ელის. ვფიქრობ, წელს ჩვენი გაზეთის აღიარებას სწორედ ის იმსახურებდა“.

ბუნებრივია, განცხადება ლეო მესიმაც წარმოთქვა: *„პირველ რიგში დაფასებისთვის ძალიან დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ. მოგეხსენებათ, ახლა ჩემი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია და შემადგენლობა მზადების განსაკუთრებულ რეჟიმზე ვართ გადასული. ფეხბურთელებს ისედაც ბევრ რამეზე გვიწევს უარის თქმა, მაგრამ ამ დღეებში კიდევ უფრო შეზღუდული ვართ. მიუხედავად ამისა, ამ ღონისძიებაზე დიდი სიამოვნებით მოვედი, იმიტომ რომ „მარკას ლეიენდა“ ჯილდო ჩემთვის ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია. მიხარია, რომ ლეგენდარულ სპორტსმენთა სიაში ჩამწერეთ. ეს დიდი დაფასება და კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობაა. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ არასოდეს თქვათ, შევცდით, 2009 წელს მესის ჯილდო რომ მივეცითო“.*

აღსანიშნავია, რომ 1997 წლის შემდეგ ამ მართლაც პრესტიჟულ ჯილდოს ისეთი ლეგენდარული სპორტსმენებისთვის იმეტებდნენ, როგორებიც **პელე, მარადონა, მაიკლ ჯორდანი, მიგელ ინდურაინი, როჯერ ფედერერი, მიხაელ შუმახერი, გარი კასპაროვი, ალფრედო დი სტეფანო, ნიკი ლაუდა** და სხვები არიან. სხვათა შორის, გამონაკლისის სახით „მარკას ლეიენდა“ ესპანეთის მეფეს, **ხუან კარლოსსაც** მისცეს. მონარქი სპორტის დიდი მოყვარულია და არც ერთ იმ ტურნირს არ ტოვებს, რომელშიც ესპანელები წარმატებით ასპარეზობენ. „მარკას ლეიენდა“ ღირებულებაზე სრული შთაბეჭდილება რომ შეგექმნათ, გეტყვით, რომ პრიზის გადაცემისას მეფეს ცრემლები წამოუვიდა და დაფასებისთვის დაახლოებით 7-8 წუთის განმავლობაში მადლობებს იხდიდა.

გვერდი მოამზადა
ილია ნიკოლაიშვილმა

ჭიდაობა

თავისუფლების მედალთცვენა

ანტიკოსების კვალდაკვალ ბაქოში დამთავრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში. საქართველოს ნაკრები (მწვრთნელები — **ნუგზარ სხირელი** და **თამაზ ბენდიანიშვილი**) შეჯიბრებაზე 25 სპორტსმენით ჩავიდა. ჩვენმა ბიჭებმა შესანიშნავად იჭიდავეს — სხვადასხვა სინჯის ოცი მედალი მოიხვეჭეს, მათ შორის — რვა ოქროსი.

ჭაბუკებში ყველა შეხვედრა მოიგეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ **ბექა ბუჯიაშვილი** (42 კგ), **ლაშა ტალახაძე** (46), **აკაკი მოწონელიძე** (50), **ლევან ქელეხსაშვილი** (58), **სანდრო ამინაშვილი** (76) და **ომარ გუსოშვილი** (76). მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა **ბექა გოგრიჭიანი** (63), **ხვთისო იორამაშვილსა** (42) და **ზურაბ იაკობაშვილს** კი ბრინჯაოს მედლები ხვდათ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში მასპინძლებმა იმარჯვეს, მეორე ადგილზე საქართველოს ნაკრები გავიდა. მესამეზე თურქები აღმოჩნდნენ.

ასევე წარმატებით იასპარეზეს ახალგაზრდებმა. პირად ჩათვლაში ყველას აჯობეს **დავით მარსაგიშვილმა** (84) და **გიორგი საკანდელიძემ** (120). ვერცხლის მედლები **ვლადიმერ ხინჩაგიშვილმა** (55), **დავით ხუციშვილმა** (74) და **ელიზბარ ოდიკაძემ** (96) დაიმსახურეს. **ლაშა ლომთაძე** (50), **გიორგი მაყიშვილი** (60), **მურთაზ კვესაძე** (60), **ზაურ აბრამიშვილი** (66), **ოთარ უროტაძე** (74) და **ბექა ჭელიძე** (84) მესამე ადგილებზე გავიდნენ.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი საქართველოს ნაკრებმა დაიკავა, მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, ირანელებმა და აზერბაიჯანელებმა გაიყვეს.

გამარჯვებულები და პრიზიორები დიპლომებთან და მედლებთან ერთად ფულადი პრიზებითაც დააჯილდოეს.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

გურამიშვილმა ნანალაშვილს ლიდერობა ჩამოართვა, ვაჟებში კი გაოთხდა

საქართველოს ჩემპიონატმა თვრამეტწლამდელთა შორის შუაწელს მიაღწია - დღეს უკვე მეხუთე ტურია. გუშინ განსაკუთრებით საინტერესო დაპირისპირება იყო გოგონათა შორის, სადაც ერთპიროვნული ლიდერი **ქეთი ნანალაშვილი** თეთრებით **სოფიკო გურამიშვილს** ხვდებოდა. სოფო ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა ქეთის და თუ ჩემპიონობა სურდა, აუცილებლად უნდა გამოეყენებინა ეს შანსი. აღსანიშნავია, რომ ნანალაშვილი და გურამიშვილი მეგობრები არიან, მაგრამ მათი შეხვედრები ყოველთვის უკომპრომისობით გამოირჩევა, ანუ სპორტული პრინციპებისა და ეთიკის ნორმებისთვის არასდროს უღალატიათ. მაგალითისთვის წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატი გამოდგება, სადაც ბოლო ტურში შეხვდნენ მეგობრები ერთმანეთს. სოფიკოს რომ გაემარჯვა, შეიძლებოდა ჩემპიონიც კი გამხდარიყო, მინიმუმ ტაიბრეიკში მოუწევდა ტიტულისთვის ბრძოლა. ქეთის კი ბევრს არაფერს მატებდა გამარჯვება - საპრიზოზეც ვერ გადიოდა. თამაშმა ჩვეული ხასიათი მიიღო და ყაიმით დასრულდა. გურამიშვილმა, გარდა ჩემპიონობისა და საპრიზო სამეულში მოხვედრისა, საქართველოს ნაკრებში თამაშის შანსიც დაკარგა. ცხადი იყო, რომ სხვაგვარ ხასიათს არც ამჯერად მიიღებდა ფავორიტების შეხვედრა. მოგება კი სურდა სოფოს, მაგრამ შავებით რომ რთულია, მისთვის კარგად არის ცნობილი, თუმცა ყველაფერს ეცადა და ბოლოს მცდელობამ სასურველი შედეგი გამოიღო: თითქმის თანაბარ ენდშპილში, სადაც მხარეებს ოთხ-ოთხი პაიკი ჰყავდათ, ოღონდ თეთრებს მხედარი, შავებს კი - კუ, გურამიშვილმა მცირედი უპირატესობა დაიბევა და შემდეგ შესანიშნავად მოახერხა რეალიზება. შესაძლოა, პოზიცია ობიექტურად საყაიმო იყო, მაგრამ ნანალაშვილმა ზუსტად ვერ შეაფასა საკუთარი შესაძლებლობები და შეცდომაც ამიტომ დაუშვა...

სოფიკომ ადგილი გაუცვალა ქეთის და 3,5 ქულით ახლა ის უდგას ცხრილს ეულად სათავეში. ლიდერს დღესაც შავები ერგო. მისი მეტოქე 13 წლის ქუთაისელი **ანა შამათავაა**, რომელიც შესანიშნავად ასპარეზობს და შეიძლება ითქვას, რომ უკვე არის ამ ტურნირის მთავარი აღმოჩენა - მას ლიდერებში არავინ ელოდა, მაგრამ სტარტზე განცდილი მარცხის შემდეგ ყველა მეტოქე დაჯაბნა. გუშინ მეექვსე ნომრად განთესილ **ნათია ჯალაბაძეს** მოუგო და ისიც - შავებით. ანას სამი ქულა აქვს. ამდენივე მოეძევება, **ლელა უგულავას** და **ქეთი ნანალაშვილს**. ესენი დღეს ერთმანეთს შეხვდებიან - თეთრებით უგულავა ითამაშებს.

ვაჟებში პირველ დაფაზე **ლევან ბრეგაძე** თეთრებით ცდილობდა **ლუკა პაიჭაძის** დამარცხებას, მაგრამ ვერ შეძლო და დაზავდნენ. შედეგიანი აღმოჩნდა მეორე დაფაზე გამართული პარტია, სადაც ტურნირის უმთავრესი ფავორიტი **დავით ბენიძე** შავებით ხვდებოდა **ანდრო ერვანდიანს**. გამარჯვება ფავორიტს დარჩა. მესამე დაფაზე **დავით ლომსაძე ზურაბ ჯავახაძეს** ხვდებოდა თეთრებით. საკმაოდ ლამაზი პარტია გათამაშდა - ორმხრივი შანსებით, მაგრამ თეთრებს შეტევისთვის მეტი პოტენციალი აღმოაჩნდა და დავითმაც ბრწყინვალედ გამოიყენა ეს შანსი - ზუსტი და ლამაზი მანევრით შავების მეფე დააშამათა. ბევრს ეცადა **გიორგი ნიკლაშვილი** თეთრებით **ირაკლი ჯანიაშვილის** დამარცხებას - შეტევაზეც გადავიდა, მაგრამ ზუსტად ვერ გათვალა, რის გამოც ფიგურა მოისაკლისა და როცა არანაირი კომპენსაცია აღარ შერჩა, დანებების ნიშნად საათი გააჩერა.

მეოთხე ტურამდე ერთპიროვნულად პაიჭაძე ლიდერობდა, მაგრამ დღეისთვის უკვე ცხრილს სათავეში კვარტეტი უდგას - ლევან ბრეგაძეს, ლუკა პაიჭაძეს, დავით ბენიძეს და ირაკლი ჯანიაშვილს 3,5-3,5 ქულა აქვთ. 3-3 ქულა ხუთს დაუგროვდა, რომელთა შორის 13 წლის **ირაკლი ბერაძე** და 14 წლის **ნიკა ვოლკოვი** არიან; სხვათა შორის, ნიკა ხვალ გახდება 15 წლის.

თქვენს ყურადღებას შევაჩერებ **მერი არაბიძისა** და **ლიზი ტრაპაიძის** თამაშზეც, რომლებმაც ვაჟებთან გაჯიბრება გადაწყვიტეს და ჯერჯერობით არცთუ წარუმატებლად - მერიმ გუშინ **გუგა ბურდული** დაამარცხა და 2,5 ქულით ლიდერთა ჯგუფს დაუახლოვდა; ლიზიმ კი მეოთხე ტურში მარცხი იწვნია და ორი ქულით ცხრილის მეორე ნახევარშია.

დღევანდელ ტურში ტრადიციულად პირველ დაფებზე მსხდომების შეხვედრებია ყველაზე საინტერესო და ჩვენც მათზე მოგახსენებთ: გოგონები: **ანა შამათავა (3) - სოფიკო გურამიშვილი (3,5); ლელა უგულავა (3) - ქეთი ნანალაშვილი (30; მარიამ დანელია (2,5) - მარიამ თევზაძე (2,5); თინათინ ბერიძე (2,5) - თეკლა ფარჯიანი (2,5); ლიკა კობეშავიძე (2,5) - ნინო კეკელიძე (2).**

ვაჟები: **დავით ბენიძე (3,5) - ირაკლი ჯანიაშვილი (3,5); ლუკა პაიჭაძე (3,5) - დავით ლომსაძე (3,5); ირაკლი ბერაძე (3) - ლევან ბრეგაძე (3); კახაბერ წერეთელი (3) - ნიკა ვოლკოვი (3); ზურაბ ჯავახაძე (2,5) - თორნიკე ხურციძე (3); შალვა ნადირაშვილი (2,5) - მერი არაბიძე (2,5).**

ზვიად შათირიშვილი

რაგბი

პრესკონფერენცია

ფრანგულ-კორსიკული ტრიუმფის დეტალები

საქართველოს თხუთმეტწლამდელთა ნაკრები, რომელიც რაგბის კავშირის გადაწყვეტილებით წლეულს პირველად შეიქმნა, ახლახან ფრანგული ტურნედან ტრიუმფით დაბრუნდა. თავად განსაჯეთ, ნორჩმა ბორჯღალოსნებმა 18 შეხვედრა გამართეს, აქედან 17 მოიგეს და მხოლოდ ერთ შეხვედრაში დასჯერდნენ ფრეს. ამასთან, საერთო ჯამში მხოლოდ ერთი ლელო მიიღეს.

ჩვენმა მორაგბეებმა ჯერ ლიონის მახლობლად, ქალაქ ვიენაში იასპარეზეს. ამ ტურნირს არაოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონატს უწოდებენ. ოფიციალურად კი, „მსოფლიოს ჩემპიონატისკენ მიმავალი პირველი ნაბიჯი" ჰქვია. ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა ყველა შეხვედრა მოიგო და მთავარი პრიზის ღირსეული მფლობელი გახდა. ამის მერე, გუნდი კორსიკაზე გაემგზავრა და 11 შეხვედრიდან ათში, მშრალი ანგარიშით გაიმარჯვა.

თხუთმეტწლამდელთა ნაკრების ფრანგულ ვოიაჟთან დაკავშირებით, კაფე „დისქავერში" რაგბის კავშირის წარმომადგენლებმა და ნაკრების მწვრთნელებმა პრესკონფერენცია გამართეს.

გიორგი მამარდაშვილი, საქართველოს რაგბის კავშირის პრესსამსახურის ხელმძღვანელი: *"ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი გუნდის გამგზავრება საფრანგეთში, სათუო იყო. დახმარება სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა გაგვიწია. როგორც მგზავრობის, ისე საქართველოში გუნდის საწვრთნელი შეკრების ხარჯები სპორტის დეპარტამენტმა გაიღო. გვაქვს, კიდევ ერთი სიახლე. გუნდი მთლიანად შპს „ქართული რაგბის" პროდუქციით იყო შემოსილი. ეს ორგანიზაცია ჩვენმა მეგობრებმა ჩამოაყალიბეს და უკვე ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებსაც მოსავს".*

ნონო ანდღულაძე, საქართველოს რაგბის კავშირის ბავშვთა რაგბის განვითარების მენეჯერი: *„ამ პატარა ბიჭებმა უდიდესი საქმე გააკეთეს. ამასთან, ფასდაუდებელი გამოცდილებაც მიიღეს. სამჯერ დაუდგნენ ზელანდიურ ჰაკას და დაამარცხეს კიდეც. რაც ყველაზე მთავარია, შეხვედრებს ჩვენი გუნდი არა ძალისმიერი თამაშით, არამედ ლამაზი რაგბობით იგებდა. ყველა მოდიოდა და გვეუბნებოდა, რა კარგი უკანა ხაზი გყავთო. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ ზელანდიელებს ორ თამაშში ოთხი ლელო გავუტანეთ და ოთხივე გარემარბების ანგარიშზეა. თანაც ეს ლელოები მრავალფაზიანი, საკმაოდ ლამაზი კომბინაციური თამაშის შედეგი იყო.*

ვიენაში ერთი კურიოზული ამბავიც შეგვემთხვა. შეჯიბრების დასაწყისში ყველას აუტსაიდერად მივაჩნდით. ტურნირის პირველი დღის შემდეგ კი ყველას თვალში უკვე ჩვენ მართ შიშს, პატივისცემას ვხედავდით. ნახევარფინალის წინ ოთხჯერ ჩავუტარეთ გუნდს მოთელვა და ოთხჯერვე ამაოდ. ჩვენთან თამაში არავის უნდოდა. მერე ისევ ზელანდიელებმა გამოიდეს თავი. ვეთამაშეთ და ისინიც დავამარცხეთ".

ილია მაისურაძე, დელეგაციის ხელმძღვანელი: *„მიღწეული განვლილ ორ წელიწადში ჩატარებული დიდი სამუშაოს შედეგია. შარშან თითქმის ყველა შაბათ-კვირას ბავშვთა სარაგბო ფესტივალები იმართებოდა, იქ გამოვლინდნენ და ჩამოყალიბდნენ ეს ბიჭები ნამდვილ მორაგბეებად.*

ამასთან, უკვე სერიოზული საქმიანობაა გაჩაღებული მწვრთნელთა კონტინგენტის რაოდენობისა და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. რეგულარულად ტარდება სემინარები, სადაც ისინი ცოდნას ხვეწენ. შესაბამისი დონის სერტიფიკატებსაც იღებენ.

ვიენაში ტურნირი ორ წელიწადში ერთხელ ტარდება. ასპარეზობაში ორი ასაკის მორაგბეები მონაწილეობენ - თხუთმეტ და ჩვიდმეტწლამდელები. მომდევნო ტურნირზე, რომელიც 2011 წელს გაიმართება, გვინდა ორივე ასაკში გავიყვანოთ გუნდი. მოწვევა, ცხადია, უკვე გვაქვს. ამ გუნდის მოთამაშეები, რომლებმაც ამჯერად იასპარეზეს, ორ წელიწადში ჩვიდმეტწლამდელები იქნებიან. ჩვენი სურვილია, მათი ძირითადი ბირთვი შევინარჩუნოთ, არ დაიშალოს.

მახსოვს, მე და ნონო ახალგაზრდულ ნაკრებებში რომ ვასპარეზობდით, ბობოლა სარაგბო ქვეყნების გუნდებთან ვაგებდით და შინ წაგებულის ფსიქოლოგიით ვბრუნდებოდით. ესენი მოგებულის ფსიქოლოგიით ჩამოვიდნენ. ეს ძალზედ მნიშვნელოვანია მათი მომავალი კარიერისთვის და აღარასდროს ექნებათ ბობოლების კრძალავა, რიდი, გნებავთ, კომპლექსი."

ნონო ანდღულაძე: *„ვიენაშიც და კორსიკაზეც ძალიან კარგი კონტაქტები დავამყარეთ ზელანდიელებთან, ფრანგებთან, კორსიკელებთან. შესაძლებელია, ისინი საქართველოში ჩამოვიყვანოთ და პირველი საერთაშორისო სარაგბო ფესტივალიც გავმართოთ."*

ზვიად ცუხიშვილი, თხუთმეტწლამდელთა ნაკრების მწვრთნელი: *„როგორც მორაგბეებმა, ისე ჩვენ - მწვრთნელებმა ძალიან დიდი გამოცდილება მივიღეთ. თავიდან ბიჭები ცოტა დაძაბულები იყვნენ. რაც, ცხადია, საკვირველი სულაც არ არის, ისინი ხომ პირველად იყვნენ ასეთ გარემოში. მერე ნელ-ნელა გადალახეს ეს ფსიქოლოგიური ბარიერი, რაც გუნდის თამაშსაც აშკარად დაეტყო. მორაგბეები ბევრად უფრო ლაღად და თავდაჯერებულად ირჯებოდნენ. იმედი გვაქვს, ასეთი განწყობილება მომავალშიც გაჰყვებათ."*

საქართველოს ნაკრები: **უჩა უნაფქოშვილი, მრთაზ გიორგაძე, ნოდარ კოტორაშვილი** (ყველა ვეფხვები), **ლაშა ლაშხია** (ლელო), **ნიკოლოზ გამყრელიძე, უჩა გურგენიძე, არჩილ რევაზიშვილი, დავით თავართქილაძე, ბაჩანა კიკნაველიძე, გიორგი გოგლიძე, რამაზ მაზმიაშვილი, ილია მელაძე, გური თოფურიძე** (ყველა აკადემია), **გიორგი ტალახაძე** (ხულიგანა), **რევაზ ჯინჭველაშვილი, გიორგი ფრუიძე, იოსებ კიკვიძე** (ყველა აია), **ზაურ ხარებავა** (აიეტი), **გიორგი ნათელაშვილი** (ხარები), **ბექა ფირიაშვილი** (ყოჩები), **შოთა თევზაძე** (ჯიქები), **რევაზ ბროძელი, ზურაბ ცუცქირიძე** (ორივე არმაზი), **ირაკლი ჩალაძე, გიორგი აფციაური** (ორივე უნივერსიტეტი), **თემურ ბებია** (ივერია), **ონისე მოგელაშვილი** (შევარდენი).

მწვრთნელები: **ლევან ობოლაძე, ზვიად ცუხიშვილი.**

ბესიკ ჯანგავაძე

ველოსპორტი

ასკურავა ტრეკზე პირველია

თბილისის ველოტრეკზე სეზონი გაიხსნა. გაიმართა ასპარეზობა როგორც უფროსი, ისე უმცროსი ასაკის მრბოლებისთვის. უფროსებში საუკეთესო **დავით ასკურავა** (მწვრთნელები **ალბერტ თავაძე** და **როდიკო მეიშვილი**) იყო, უმცროსებში კი ყველას **გიორგი ნარეკლიშვილმა** (მწვრთნელი **თამაზ კიკნაძე**) აჯობა.

კვარცხლბეკი

უფროსები.

გიტი, 200 მეტრი, გაქანებით

1. დავით ასკურავა-11.97(თბილისი, "ივერია")
2. გიორგი ჩიტაშვილი-13.10 (თბილისი, "ივერია",)
3. ნოდარ ყვავაძე-13.15(ქუთაისი)

გიტი

1000 მეტრი, ადგილიდან

1. დავით ასკურავა-1.12.95
2. ვიტალი ერიოხინი-1.18.23(ქუთაისი)
3. ნოდარ ყვავაძე-1.18.53

სპრინტი

1. დავით ასკურავა
2. ნოდარ ყვავაძე
3. ამირან სვანიძე (თბილისი, "ივერია")

ინდივიდუალური რბოლა

3 კილომეტრზე, გამოდევნებით

1. დავით ასკურავა-3.54.84
2. ვიტალი ერიოხინი-4.09.78
3. ნოდარ ყვავაძე-4.14.28

ჯგუფური რბოლა. 50 წრე

1. დავით ასკურავა
2. ნოდარ ყვავაძე
3. ვიტალი ერიოხინი

5 დისციპლინის ჯამი

1. დავით ასკურავა
2. ნოდარ ყვავაძე
3. ვიტალი ერიოხინი

უმცროსები

გიტი, 200 მეტრი, გაქანებით

1. გიორგი ნარეკლიშვილი-14.28(თბილისი)
2. ნიკა სუხიშვილი-15.16(თბილისი)
3. ირაკლი ბაბლიძე-15.35(თბილისი)

გიტი

500 მეტრი, ადგილიდან

1. გიორგი ნარეკლიშვილი-40.62
2. ნიკა სუხიშვილი-41.53
3. ირაკლი ბაბლიძე-41.85

ინდივიდუალური რბოლა

2 კილომეტრზე, გამოდევნებით

1. გიორგი ნარეკლიშვილი
2. ირაკლი ბაბლიძე
3. გიორგი ბაზაიძე(თბილისი)

3 დისციპლინის ჯამი

1. გიორგი ნარეკლიშვილი
2. ირაკლი ბაბლიძე
3. ნიკა სუხიშვილი

ლევან ჯანეზაშვილი

ჩოგბურთი

სამივემ მოიგო

25-ათასიანი ტურნირის მეოთხედფინალში ერთდროულად სამი ქართველი გასულიყო, მხოლოდ ქართული ტურნირებიდან თუ გვახსოვს - საზღვარგარეთ კი მსგავსი, მგონი, პირველად მოხდა, უზბეკეთის ქალაქ ნამანგანის საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში რვა შემორჩენილი ჩოგბურთელიდან სამი ჩვენებურია.

მერვედფინალში მე-2 ნომრად განთესილმა **სოფო შაფათავამ** (253) უკრაინელ **იანა პივენს** (538) აჯობა - 3:6, 7:5, 7:5. მე-5 ნომრად განთესილმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** (350) „უაილდ ქარდით" მიწვეულ უზბეკ **ალბინა ხაბიბულინას** (613) მოუგო - 7:6 (5), 7:5. **სოფიო ქვაცაბაიამ** (666), რომელმაც საკვალიფიკაციო ბადიდან მოაღწია, თავისსავე მეწყვილე, რუსი **ავგუსტა ციბიშევა** გააგდო - 7:5, 6:1.

ქვაცაბაია მეოთხედფინალში უკრაინელ **ტეტიანა არეფიევას** (461) ხვდება, რომელთანაც ახლახან, ალმათიში სასტიკად წააგო. უკრაინელია კალაშნიკოვას მეტოქეც, მე-3 ნომრად განთესილი **კრისტინა ანტონიჩუკი** (297). შაფათავა კი „უაილდ ქარდით" მიწვეულ უზბეკ **საბინა შარიპოვას** დაუპირისპირდება. შარიპოვა 14 წლის ბავშვია, რომელმაც, ამ ტურნირზე მოულოდნელად, ორი მეტოქის დამარცხება შეძლო. ჩვენებურებმა რეიტინგისთვის 14-14 ქულა უკვე გაინაღდეს, რაც სამივე მათგანს წინ წასწევს მსოფლიო კლასიფიკაციაში.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქართული სპორტი

კალათბურთი

საქართველოს XVIII ჩემპიონატი. ნახევარფინალები

ნახევარმოკლებული ნახევარფინალი

29 აპრილი

რუსთავი. ქიმიკოსების დარბაზი

ენერჯი–ავიამშენი 93:90

28:22, 25:22, 22:20, 18:26

ენერჯი: გამყრელიძე (24ქ, 7პ, 5მ), ტულუში (22ქ, 3პ), ლეჟავა (8ქ, 3პ, 3ჩ), ბაბიაშვილი (3ქ, 6მ), უგრეხელიძე (13ქ, 5მ), დიდია (4ქ), არწივიძე (7ქ), ტუჯანი (9ქ, 9მ), ჭოჭუა (3ქ).

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (11ქ, 6პ), ბოისა (2ქ, 5ფ), პირველაშვილი (8ქ, 5პ, 5მ), შერმადინი (13ქ), ნაცვლიშვილი (25ქ, 8მ, 2დ), ი. ბერიშვილი (11ქ), ნიკოლაძე (5ქ), კვიმსაძე (5ქ), მათიაშვილი (8ქ, 5მ, 3დ), ნინიაშვილი (2ქ).

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე


ავტორის ფოტო

2007 წლის საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ სერიაში „ენერჯიმ" „ავიამშენი" 3:0 დაამარცხა, 2008 წლის ფინალში პირველი რუსთავული მატჩი **კოტე ტულუშის** სამქულიანებით „ავიამ" მოიგო, მაგრამ შემდეგ 1:3 დათმო...

...2009 წელს საქმე ისე დაიწყო, როგორც ერთი წლის წინათ, მაგრამ დასრულდა ისე, როგორც 2007-ში. უფრო გარკვევით: „ავიამშენმა" რუსთავში ბოლომდე იბრძოლა და დაგვანახვა რომ არათუ ღირსეული მეტოქეა „ენერჯისთვის", არამედ მისი ძლევაც ხელეწიფება. გუშინ „ენერჯიმ" თითო პერიოდში თითოჯერ მიაღწია 8-10 ქულიან უპირატესობას, მაგრამ „მფრინავებმა" ოთხჯერვე გაუბათილეს.

მეტსაც გეტყვით, რუსთაველებმა ყველაზე დიდი ფორა მესამე პერიოდის ბოლოს დაიბევეს - ტულუშის საჯარიმოების შემდეგ 75:64 დაწინაურდნენ. თუმცა გუშინ თბილისელები მასპინძლებზე არანაკლებ ენერგიულად გამოიყურებოდნენ - მეოთხე რაუნდის დასაწყისში 33 წლის **ვახტანგ ნაცვლიშვილის** მიერ ჩაგდებული 8 ქულის შემდეგ სხვაობა 2 ქულამდე დავიდა. გამოცდილ მეფარეს მხარი ახალგაზრდა **გიორგი პირველაშვილმაც** აუბა და სირენამდე 5:39 წუთით ადრე „ავია" 78:77-ზე „ააფრინა".

ამის შემდეგ სიტუაცია დაიძაბა და თამაში ქულა-ქულაში წავიდა. მასპინძელი **ლაშა გამყრელიძე** სწრაფ იერიშებს ახორციელებდა, რომლებსაც ან თავად აგვირგვინებდა, ან კოტე ტულუში, უმეტესად - საჯარიმოებით. საპასუხოდ, „ენერჯის" კალათისთვის გასაღების მორგება გაუჭირდათ სტუმრებს და ორწუთიანი მონაკვეთი **დავით უსტიაშვილის** გუნდმა 8:0 მოიგო. მოკლედ, მატჩის დასრულებამდე 1:20 წუთით ადრე „ენერჯი" 91:83 იგებდა. „ავიას" გულშემატკივრები წამოდგნენ და დარბაზის დატოვება განიზრახეს... მაგრამ ისინი **ირაკლი ბერიშვილმა** შეაკავა, ჯერ ორქულიანი ჩააგდო, შემდეგ ჩაჭრა და ისევ ფარქვეშიდან მიითვალა 2 ქულა, ხოლო საფინალო სირენამდე 17 წამით ადრე იმავე ბერიშვილმა **გიორგი ნიკოლაძეს** ზუსტი პასი გადააწოდა და „ავიამ" სამქულიანით სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. ამას მოჰყვა სტუმრების მიერ განზრახ ჯარიმის აღება და ტულუშის ორი ზუსტი საჯარიმო - 93:90.

მატჩის ბოლო იერიშის უფლება **ლევან მოსეშვილის** შეგირდებმა მოიპოვეს, რომლებმაც გადამწყვეტი სამქულიანის ტყორცნა ირაკლი ბერიშვილს მიანდეს. მისმა ნასროლმა ფარიდან ასხლეტით კალათს კი მიაღწია, მაგრამ შიგ ჩაშვება არ „ინება" და გამარჯვება რუსთავში დატოვა.

ქვემოქართლელთაგან 10-ქულიან ბარიერს სამი კალათბურთელი გადაახტა - ლაშა გამყრელიძემ 24 ქულა და 7 პასი მოაგროვა, კოტე ტულუშმა 22 ქულა (6-დან 4 სამქულიანი), ხოლო **დავით უგრეხელიძემ** 16 წუთში 13 ქულა და 5 მოხსნა გააკეთა. ეს ციფრები ნათლად მიგვითითებენ, რომ შეტევაში რუსთაველები ძირითადად ამ სამი კალათბურთელის იმედად იყვნენ, დაცვაში კი ყველამ თანაბრად იბრძოლა.

თუკი ბრძოლას ვახსენებთ, არ უნდა გამოგვრჩეს მწვრთნელთან უთანხმოების გამო შარშან „ენერჯიდან" „ავიაში" წასული **ანატოლი ბოისა**, რომელსაც ძალიან სურდა ყოფილი კლუბის დამარცხება. იგი სხვებზე ორჯერ მეტს მოძრაობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ზედმეტად მოინდომა და მატჩი 5 ფოლით დაასრულა. მას კიდევ აქვს თავის გამოჩენის შანსი, ფინალური სერია ხომ სამ მოგებამდეა...

ოო, აქ უნდა შევჩერდეთ. შევასწორებთ - „ენერჯი" და „ავიამშენი" ერთმანეთს არა ფინალში, არამედ ნახევარფინალში ხვდებიან. შესავალში ფინალებზე საუბარმა შეიძლება თქვენც შეცდომაში შეგიყვანათ, მაგრამ მიმოხილვის ავტორიც ისე ადევნებდა თვალს გუშინდელ თამაშს, თითქოს ფინალი ყოფილიყოს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან საერთო აღიარებით, საფინალო წყვილი სწორედ „ენერჯი"-„ავიაა"...

ვაჟა სიმონიშვილი

გიორგი მარკოიშვილმა ორმაგი დუბლი გააკეთა
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

აგრარების პირველი ნაბიჯი დიდი გამოცდისკენ

29 აპრილი

თბილისი, სპორტის სასახლე

საუ–თსუ 83:79

17:28, 20:17, 22:21, 24:13

საუ: **გულისაბედაშვილი (15ქ, 8მ, 3ჩ), მარხვაშვილი (16ქ, 4პ), ტყეშელაშვილი (5ქ), ნივნივაძე (13ქ, 8პ), ათანელიშვილი (22ქ, 12მ, 4პ), ჩაჩიბაია, ყველაშვილი, გ. ბარბაქაძე (12ქ, 5მ)**

თსუ: **გაფრინდაშვილი (8ქ, 6პ, 7მ), კოხრეიძე (3ქ, 6მ), ანიძე (14ქ, 9მ), ლოსაბერიძე (2ქ), მარკოიშვილი (19ქ, 11მ, 4პ), ხეცურიანი (27ქ, 9მ, 4პ), ახალკაცი (6ქ)**

მსაჯები: **დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა**

საერთო აღიარებით, საფინალო წყვილი "ენერჯი"-"ავიაა", - ასე დავასრულეთ რუსთავული მატჩის მიმოხილვა. ამ ფრაზამ შეიძლება საუ-სა და თსუ-ს კალათბურთელები გაანაწყენოს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ "ავიამ" და "ენერჯიმ" ბოლო წლებში არაერთხელ დაამტკიცეს, რომ საჩემპიონო გუნდები არიან. საუ-ს კი ფინალი აქვს სათამაშო და სწორედ იქ უნდა დაამტკიცოს საჩემპიონო ამბიციები.

შეიძლება ვინმემ გაიკვირვოს: ჯერ ერთი, რა იცით, რომ ფინალში საუ ითამაშებს და არა თსუ? ...და მეორე – რას ნიშნავს აბრევიატურა საუ?

სწორი შენიშვნა იქნება, რადგან მიმდინარე სეზონში პირველად ვიყენებთ ამ დასახელებას. როგორც შევიტყვეთ სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტს სახელი შეცვლია და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი დარქმევია. საუ-ც ამ ცვლილების შედეგია.

ახლა მეორე შენიშვნას ვუპასუხოთ. იანვარში თსუ-დან ორი კალათბურთელი (**გიგი ბარბაქაძე** და **გიორგი ყველაშვილი**) თსუ-დან საუ-ში გადავიდა. ამის მიზეზი თსუ-ს "გაკოტრება" გახლდათ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის შემადგენლობას ზამთარში კიდევ ორი წამყვანი კალათბურთელი გამოაკლდა და სადღეისოდ დარჩა 6 გამოცდილი კალათბურთელი, რომლებზეც საუ-სთან გუშინდელი მატჩის სიმძიმემ გადაიარა. **ნუგზარ ჭეიშვილის** შეგირდებმა მატჩი კარგად დაიწყეს და მეორე პერიოდში 16-ქულიან უპირატესობასაც მიაღწიეს...

...მაგრამ თსუ ანგარიშში 41:25 რომ დაწინაურდა, მაშინ ვთქვით – ამ უპირატესობის შენარჩუნება გაუჭირდებაო. ეს ვანგასეული წინასწარმეტყველება კი არა, რეალობის სწორად შეფასება იყო – თითქმის შეუცვლელად მოთამაშე თსუ-ელები არ შეიძლება ბოლოს არ დაღლილიყვნენ.

მიუხედავად იმისა, რომ გუშინ საუ-მ თავისი თამაში ვერ უჩვენა (**რეზო ათანელიშვილის** გამოკლებით), **მიხეილ კობეშავიძის** შეგირდებმა მაინც მოახერხეს მეტოქის გადასწრება: სირენამდე 3 წუთით ადრე **გულისაბედაშვილის** მიერ ჩაგდებული სამქულიანის შემდეგ საუ 77:71 დაწინაურდა. წაგებას არ ეგუებოდა თსუ-ს კაპიტანი **შიო ხეცურიანი**, რომელმაც ორი ზუსტი გარღვევის შემდეგ ანგარიში გაათანაბრა – 77:77. მატჩის დასრულებას 26 წამი უკლდა, როცა საუ-ელმა რეზო ათანელიშვილმა ორი ზუსტი საჯარიმოთი თანაგუნდელები 80:79 დააწინაურა. სირენამდე 3 წამით ადრე **გიორგი გაფრინდაშვილს** თსუ-სთვის გამარჯვების მოტანა შეეძლო, მაგრამ ფარქვეშიდან ორქულიანი ააცილა...

ასე და ამგვარად, გრძელი სკამისა და გულშემატკივრების (აგრარული უნივერსიტეტის ქომაგი სუპარლიგას მართლაც ალამაზებს) ხარჯზე საუ-მ თსუ დაამარცხა. ძნელი სავარაუდოა, მომდევნო შეხვედრებში თსუ-მ სიტუაციის გამოსწორება შეძლოს, რადგან მას არც ქომაგი მოემატება და არც სკამი დაგრძელდება...

არადა, რა საინტერესო სანახავი იქნებოდა აქეთ საუ-ს აქტიური ქომაგის, იქით – თსუ-ს გულშემატკივრის ხილვა. გუშინ კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ აგრარულ უნივერსიტეტში კალათბურთი სხვა სასწავლებლებზე მეტად უყვართ. სიყვარული კი აუცილებლად დაფასდება – საუ-ს ფინალამდე 2 მოგებაღა აშორებს.

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი. U 20

რუსთავი ფინალშია

ნახევარფინალი

28 აპრილი

რუსთავი–მაქაბი 97:93

17:22, 27:24, 30:14, 23:33

რუსთავი: მაჭავარიანი (26ქ, 5პ, 5მ), სიხარულიძე (19ქ), თვარაძე (10ქ), ბერუაშვილი (5ქ, 3ჩ), ჩაჩანიძე, დვალიშვილი (16ქ, 12მ, 3დ), ხმელიძე (21ქ, 12მ, 4ჩ), გუგავა

მაქაბი: კილაძე, პატარაია (5ქ), ჯიქია, სუდაძე, ლონდარიძე (27ქ, 11მ), იოსელიანი (18ქ, 5მ), აშმედიანი (8ქ, 5პ), ჯანგველაძე (23ქ, 11მ), ჩლაიძე (12ქ)

რუსთავში გაიმართა 20-წლამდელთა ჩემპიონატის ნახევარფინალური სერიის მესამე, გადამწყვეტი მატჩი. "მაქაბისა" და "რუსთავს" მანამდე ერთმანეთისთვის თითოჯერ მოეგოთ და სერიაში ანგარიში 1:1 იყო.

ფინალისტის ბედი მესამე მატჩს უნდა გამოერკვია. შეხვედრა საინტერესო გამოდგა, **ჯამლეტ ხუხაშვილის** შეგირდები თამაშს მობილიზებულნი შეხვდნენ და პირველ პერიოდში 10-ქულიანი უპირატესობაც მოიპოვეს. თუმცა, მასპინძლები მეორე პერიოდიდან დაიქოქნენ, უკანახაზელების, **ხმელიძისა** და **მაჭავარიანის** შედეგიანი თამაშის წყალობით მესამე პერიოდში ანგარიში არათუ გაათანაბრეს. სოლიდურ უპირატესობასაც მიაღწიეს – 30:14.

მეოთხე რაუნდში მაქაბელებმა შორეული ტყორცნებით სხვაობის შემცირება კი მოახერხეს, მაგრამ გამარჯვებამდე 5 ქულა დააკლდათ.

მატჩის სნაიპერი ზურაბ მაჭავარიანი გახდა, რომელმაც 26 ქულა მიითვალა. საინტერესოა ისიც, რომ რუსთავში ოთხი ორმაგი დუბლი შესრულდა: **აკაკი დვალიშვილი** – 16 ქულა, 12 მოხსნა; **ლევან ხმელიძე** – 21 ქულა, 12 მოხსნა; **ილია ლონდარიძე** – 27 ქულა, 11 მოხსნა; **გიორგი ჯანგველაძე** – 23 ქულა, 11 მოხსნა.

ფინალში "რუსთავი" "აკადემიას" გაეჯიბრება.

საქართველოს ჩემპიონატი. U 18

გაქცეული მსაჯის დაბრუნება და ხელჩართული ჩხუბი

ნახევარფინალი

28 აპრილი

აკადემია–ენერჯი 97:104

21:28, 18:24, 27:29, 31:23

აკადემია: სანაია (3ქ), ბოქოლიშვილი (31ქ, 4პ), მუმლაძე, თენიეშვილი (8ქ), ჯავახიშვილი (3ქ), ელიაძე (30ქ, 9მ), ლობჟანიძე, თავართქილაძე (18ქ, 9მ, 9პ), ნადირაძე (4ქ), გიგუაშვილი

ენერჯი: მაღრაძე (18ქ, 8მ), გურაბანიძე (7ქ, 5პ, 8მ), ჩერქეზიშვილი (4ქ), სანაძე (29ქ, 6მ), მაჩალაძე (5ქ, 6მ), აფაქიძე (3ქ), მირიანაშვილი (2ქ), ელანიძე (36ქ, 11მ)

სასოფლო ინსტიტუტის დარბაზში გაიმართა ჩაშლილი შეხვედრის გადათამაშება. ეს იყო "აკადემიასა" და "ენერჯის" პირველი მატჩი, რომელიც 3 დღის წინ მსაჯის პროტესტის გამო ჩაიშალა. სანამ დღევანდელ შეხვედრაზე მოვყვებოდეთ, იმ გაუქმებულ მატჩზეც ვიტყვით ორიოდე სიტყვას. შეხვედრა "აკადემიის" უპირატესობით წარიმართა, თუმცა წინ გაჭრილი გუნდის მწვრთნელებისგან მსაჯების მიმართ მაინც იყო პრეტენზიები. მესამე მეოთხედის ბოლოს, არბიტრმა, **მაკა კუპატაძემ** პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვა. კუპატაძე აღშფოთდა იმ დამოკიდებულებით, რასაც მისი მისამართით იჩენდნენ მოთამაშე გუნდების, განსაკუთრებით კი "აკადემიის" მწვრთნელები და იქაურობას გაეცალა.

გადადებული შეხვედრაც არ ჩატარებულა მშვიდად. მოედანზე გაჩაღებული ჩხუბის გამო არბიტრმა მოედნიდან **მაჩალაძე** და **ჯავახიშვილი** გააძევა. იყო ეპიზოდი, როცა ტრიბუნებიდან და მოედნიდან ნასროლი უცენზურო სიტყვების გამო მატჩის დროებით შეჩერება გახდა საჭირო.

ასეა თუ ისე, მატჩი ბოლომდე მივიდა და **ელანიძის** ზუსტი თამაშის წყალობით (36 ქულა) გაიმარჯვა "ენერჯიმ" – 104:97. ამ გუნდების მესამე მატჩი 30 აპრილს სპორტის სასახლეში გაიმართება.

ვაჟა სიმონიშვილი

ხელბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

თბილისი უდანაკარგოა

დღეს თბილისში არმიის სპორტკლუბის დარბაზში საქართველოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი დასრულდება. მოულოდნელი არაფერი მომხდარა. ერთპიროვნულმა ლიდერმა "თბილისმა" სამივე მატჩში გაიმარჯვა. მას სათანადო წინააღმდეგობა მხოლოდ "ქარიშხალამ" გაუწია, რომელიც დიდწილად ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის, სტუ-"შევარდენის" ხელბურთელებითაა დაკომპლექტებული. დღეისათვის "თბილისი" ოქროს მედლების უკონკურენტო ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ.

აღსანიშნავია "ქუთაისის" პროგრესი, რომელმაც პირველი ეტაპი უიმედო აუტსაიდერის რანგში დაასრულა, ახლა კი სამი შეხვედრიდან ორში გაიმარჯვა. სტაბილურობით გამოირჩევიან სამტრედიელებიც. "სპარტაკისა" და "ქარიშხალას" მატჩში მეორეადგილოსანი უნდა გამოკვეთილიყო, მაგრამ დაძაბული დაპირისპირება ფრედ დასრულდა. შეგახსენებთ, ცხინვალის "სპარტაკის" სახელით გორის გუნდი გამოდის.

27 აპრილი: **თბილისი-რუსთავი 41:14; სპარტაკი-ქარიშხალა 28:28; ქუთაისი-მამული 36:29**

28 აპრილი: **მამული-სამტრედია 14:33; ქუთაისი-რუსთავი 26:22; ქარიშხალა-თბილისი 23:29**

29 აპრილი: **ქარიშხალა-ქუთაისი 28:21; მამული-სპარტაკი 17:28; სამტრედია-რუსთავი 34:27**

	თ	მ	ფ	წ	ქ
1. თბილისი	5	5	0	0	15
2. ქარიშხალა	5	3	1	1	10
3. სპარტაკი	5	3	1	1	10
4. სამტრედია	5	3	0	2	9
5. ქუთაისი	6	2	0	4	6
6. რუსთავი	5	1	0	4	3
7. მამული	5	0	0	5	0

დღეს: სამტრედია-ქარიშხალა; სპარტაკი-რუსთავი; თბილისი-მამული

ლევან ჯანეზაშვილი

ქართული სპორტის ბიბლიოთეკა

ქართული სპორტის მატიანე

გაგრძელება, დასაწყისი ლელო №52 (12731)

მსოფლიო ჩემპიონები

51. კედელაშვილი ზაზა – ძიუდო (2006)
52. კვირკველია მანუჩარ – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (2003)
53. კიკილაშვილი ნანა – აკრობატიკა (1980)
54. კოკორევი ბორის — ტყვიის სროლა (1985, 1986, 1987, 1990, 1991)
55. კოსტავა გურამ – ფარიკაობა (19961,1963)
56. კოლუაშვილი გიორგი – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (1993, 1994, 1997, 1998, 1999)
57. კუზანაშვილი უშანგი – სამბო (2007)
58. კურდღელაშვილი მამუკა – სამბო (1997,1999)
59. კურტანიძე ლუკა – თავისუფალი ჭიდაობა (2002,2003)
60. კურტანიძე კობა – ძიუდო (1989)
61. ლიპარტაშვილი თემურ – მკლავჭიდი (1996)
62. ლომიძე შოთა – თავისუფალი ჭიდაობა (1969,1971)
63. ლომიძე შოთა – კიკბოქსინგი (2000)
64. ლოსაბერიძე ქეთევან – მშვილდოსნობა (1973,1981)
65. მაკარიჩევა სვეტლანა – აკრობატიკა (1988)
66. მამრიკიშვილი გრიგოლ – ძიუდო (2006)
67. მალალაშვილი იოსებ – სამბო (1974)
68. მერაბიშვილი ჯიმი – მკლავჭიდი (1994)
69. მეკოკიშვილი არსენ – თავისუფალი ჭიდაობა (1954)
70. მინდორაშვილი რევაზ – თავისუფალი ჭიდაობა (2005)
71. მკრტჩიან-ფეიქრიშვილი სვეტლანა – აკრობატიკა (1982)
72. მნათობიშვილი მანანა – აკრობატიკა (1980)
73. მოდოსიანი ვლადიმერ — თავისუფალი ჭიდაობა (1986)
74. მუზაშვილი ჯონდო – სამბო (1995,1996,1997)
75. მჭედლიშვილი ჯემალ – სამბო (1987,1989)
76. ნოზაძე რამაზ — ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (2007)
77. პავლიაშვილი მირიან —სამბო (2007)
78. პარუნაშვილი ვალერი – სამბო (1991)
79. ჟღენტი ტარიელ – სასტენდო სროლა (1971,1973,1974)
80. რუბაშვილი ვლადიმერ – თავისუფალი ჭიდაობა (1961)
81. რურუა რომან – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (1966,1967,1969,1970)
82. საკანდელიძე ზურაბ – კალათბურთი (1967)
83. სალაძე მიხეილ – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (1981)
84. სალუქვაძე ნინო – ტყვიის სროლა (1986,1987,1989,1990 – 7 ოქრო პირადსა და გუნდურში)
85. სამხარაძე ვეფხია — მკლავჭიდი (1994, 1995, 1997)
86. სალარაძე გურამ – თავისუფალი ჭიდაობა (1963,1965)
87. სისაური გივი – თავისუფალი ჭიდაობა (2001)
88. სიხარულიძე რუსუდან – სპ. ტანვარჯიში (1974)
89. სხირტლაძე გიორგი – თავისუფალი ჭიდაობა (1959)
90. ტერნოვიხი სერგეი – სამბო (1984,1985)
91. ტოტიკაშვილი ამირან – ძიუდო (1989)
92. ფალიანი რამაზ – კრივი (2001)
93. ფაჯიშვილი მამუკა – მკლავჭიდი (2000 -2)
94. ფეტვიაშვილი მინდია — მკლავჭიდი (1996)
95. ფხაკაძე ომარ – ველოსპორტი (1965)
96. ქევხიშვილი დავით – ძიუდო (2006)
97. ქორიძე ავთანდილ – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (1961)
98. ცირეკიძე ირაკლი – ძიუდო (2006, 2007)
99. ციციაშვილი გოჩა — ბერძნულ—რომაული ჭიდაობა (2003)
100. ცხადაძე ზაურ — მკლავჭიდი (1991, 1993, 1994, 1995, 1997)
101. ჭელიძე დავით — მკლავჭიდი (1994, 1995, 1996, 1997)
102. ყაზარაშვილი თემურ – ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (1982)
103. ყიზილაშვილი გიორგი – ძიუდო (2006)
104. შანიძე დიტო – ძალოსნობა (1973)
105. შარაბიძე გალინა – სპ.ტანვარჯიში (1954)
106. შიკალაძე მაია – აკრობატიკა (1980)
107. ჩაკვეტაძე გიორგი – ტაილანდური კრივი (1999), კიკბოქსინგი (2000)
108. ჩიბურდანიძე მაია – ჭადრაკი (1978,1981,1984,1986,1988)
109. ჩიმიშკიანი რაფაელ – ძალოსნობა (1954,1955)
110. ჩოხელი არჩილ – სამბო (1993)
111. ჩუტკერაშვილი თამაზ - მკლავჭიდი (1996, 1997)
112. ხაბელოვი ლერი – თავისუფალი ჭიდაობა (1985,1987,1990,1991,1993)
113. ხანიშვილი აკაკი – სამბო (2002)
114. ხახალეიშვილი დავით – სამბო (1996, 1997)
115. ხანჯალიაშვილი ზვიად – ძიუდო (2006)
116. ხაჩიძე გია — მკლავჭიდი (1994 – 2, 1996 - 2)
117. ხერგიანი ნესტორ – ძიუდო (2005)
118. ხოსიტაშვილი ვახტანგ – ძიუდო (2006)
119. ხოფერია რუსუდან – ბატუტი (1988 – ინდივიდ, სინქრ., გუნდური)
120. ხუბულური თემურ – ძიუდო (1979,1981)
121. ჯავახაძე ვახტანგ — მკლავჭიდი (1998-2, 2000)
122. ჯაიანი სერგო – სპ.ტანვარჯიში (1954)
123. ჯანიაშვილი ბადრი – სამბო (1997)
124. ჯაჭვლიანი სოსო – მკლავჭიდი (1997)

(გაგრძელება იქნება)

გურამ ძაგანია
პროფესორი

ოლიმპიური კონფერენცია იმერეთში

სეოკ-ის იმერეთის ორგანიზაციამ (თავმჯდომარე **რევაზ რობაქიძე**) საინტერესო საგანმანათლებლო-შემოქმედებითი თემატური კონფერენცია მოაწყო თემაზე: „ანტიკური ოლიმპიური თამაშების როლი თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში", რომელიც საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის 20 წლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა. 100-მდე ნამუშევრიდან შეირჩა 10 საუკეთესო. მოსწავლეთა ყურადღების ცენტრში მოექცა **ირაკლი ცირეკიძის, გიორგი ასანიძის, მაია ჩიბურდანიძის, ომარ ფხაკაძის, ზურაბ ზვიადაურისა** და სხვათა სპორტული მიღწევები და ამ მიღწევების მნიშვნელობა მომავალი თაობების სპორტულ სტიმულირებაში.

ოლიმპიური დევიზის პრინციპით „მთავარია მონაწილეობა", კონფერენციის ყველა მონაწილე სამახსოვრო პრიზებითა და საჩუქრებით დააჯილდოვა.

რევაზ რობაქიძე გამარჯვებულებთან

საქართველოში ჭადრაკს მამაკაცებზე მეტად და უკეთესად ქალები თამაშობენო - წერდა იტალიელი მისიონერი **არქანჯელო ლამბერტი.**

პირველი სპარტაკიადა საქართველოში ჩატარდა 1927 წელს, რომელშიც 650 სპორტსმენი მონაწილეობდა. ეს ასპარეზობა წინ უსწრებდა 1928 წლის პირველ საკავშირო სპარტაკიადას, რომელიც მოსკოვში გაიმართა.

პირველმა სინქრონულ ცურვაში საქართველოდან ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი თბილისელმა ქრისტინა ფალასანიდიმ 1987 წელს მოიპოვა, 1988 წელს „ვერცხლს" დაეუფლა და იმავე წელს სეულის ოლიმპიურ თამაშებში ისპარეზა, სადაც VII ადგილს დასჯერდა ერთეულთა თანრიგში.

პირველად სოფტბოლის თამაში საქართველოში დაიწყეს, 1991 წელს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში გია ქემოკლიძის ხელმძღვანელობით. გუნდმა, რომელსაც „ივერია" ენოდა, იმავე წლის 7-10 მაისს თბილისში სსრკ ჩემპიონს ტირასპოლის „ვიქტორიას" უმასპინძლა. ორივე შეხვედრა სტუმრებმა მოიგეს.

საფეხბურთო ვიქტორინა

1. რომელ წელს დაარსდა საფეხბურთო კლუბი „გურია" (თავდაპირველად გამოდიოდა „კოლმეურნის" სახელით)?

ა - 1952 წელს
ბ - 1959 წელს
გ - 1980 წელს

2. რამდენი მატჩი ჩაატარა სსრკ ნაკრებში ვლადიმერ გუცაევმა?

ა - 9
ბ - 11
გ - 16

3. რომელი წლიდან მონაწილეობს ევროთასების გათამაშებაში ბათუმის „დინამო"?

ა - 1988 წლიდან
ბ - 1990 წლიდან
გ - 1995 წლიდან

4. რომელმა არბიტრმა იმსაჯა მოსკოვის ოლიმპიადაზე 1980 წელს?

ა - გიორგი ბაქანიძემ
ბ - ანატოლი მილჩენკომ
გ - მევლუდ მიმინოშვილმა

5. რომელ წელს დაფუძნდა დამოუკიდებელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია?

ა - 1990 წელს
ბ - 1991 წელს
გ - 1992 წელს

პასუხები: 1-ა, 2-ბ, 3-გ, 4-ბ, 5-ა.

30 აპრილი-6 მაისი

30 აპრილი. 1957 წ. დაიბადა **ვლადიმერ გურგენიძე.** აკრობატიკა.

1 მაისი. დაიბადნენ: **ვახტანგ კუხიანიძე** (1914-1985); ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობა; **კარლო ყრუაშვილი** (1927-2002) — ფეხბურთი, მსაჯი.

2 მაისი. დაიბადნენ: **მიხეილ ბერძენიშვილი** (1914-1981) — ფეხბურთი. **იაგორ კაზალიკაშვილი** (1882-1935) — ალპინიზმი; **სვეტლანა მკრტიჩიან-ფეიქრიშვილი** (1961) — აკრობატიკა.

3. მაისი. 1940 წ. დაიბადა **ნონა გაფრინდაშვილი** — ჭადრაკი.

6 მაისი. 1935 წ. დაიბადა **გურამ რატიშვილი** — მეცნიერი.

30 აპრილი-6 მაისი ქართულ სპორტში

1-დან. კალათბურთი: საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ვაჟთა და ქალთა, 16, 18, 20-წლამდელთა შორის. მიმოსვლით.

1-დან. სასტენდო სროლა. მსოფლიო თასი. დიდები. ეგვიპტე.

1-3. თავისუფალი ჭიდაობა. დ. გობეჯიშვილის სახელობის ტურნირი. ახალგაზრდები. ონი.

1-5. ფლორბოლი. საქართველოს ჩემპიონატი. ბათუმი.

2-დან. ჭადრაკი: 14-წლამდელთა ტურნირები (სწრაფი ჭადრაკი, ელვისებური ჭადრაკი). გოგონები ჭაბუკები; საქართველოს ჩემპიონატი კომპოზიციის ამოხსნაში. 14-წლამდე გოგონები და ჭაბუკები. თბილისი.

2-3. ძიუდო. საერთაშორისო ტურნირი. უკრაინა.

2-3. ტაეკვონდო. „ა" კლასის ტურნირი. დიდები. ავსტრია.

2-4. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ი. სიორიძის ტურნირი. ახალგაზრდები, ოზურგეთი.

2-5. კრივი. საქართველო-სომხეთის ნაკრებების მატჩი. სომხეთი.

3. ავტოსპორტი. წრიული რბოლა. II ეტაპი. რუსთავი.

3-დან. ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ჭაბუკები. II ტური. მიმოსვლით.

4-დან. მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი. II ეტაპი. ხორვატია.

4-დან. წყალხტომა. გრან-პრი (სარეიტინგო) აშშ.

5-დან. სროლა. საერთაშორისო ტურნირი. ახალგაზრდები. გერმანია.

5. ათლეტიზმი. შ. ბეყაშვილის სახელობის ტურნირი ნოლჭიმში. სიღნაღი.

6. ქართული ჭიდაობა, ლახტი, მკლავჭიდი, საჯილდო ქვის აწევა. „ქურმუხობა". აზერბაიჯანი, კახის რაიონი.

6-დან. ბილიარდი. გერმანიის ღია პირველობა „პულში" (ევროტურნირი). **გერმანია.**

6-დან. თანამედროვე ხუთჭიდი. მსოფლიო თასი. IV ეტაპი. დიდები. უნგრეთი.

იპოდრომი და ასპარეზი

დიდი ივანე ჯავახიშვილი გვარწმუნებს, რომ იპოდრომი და ასპარეზი სხვადასხვა ნაგებობაა. მართალაც, იპოდრომი ალბათ უფრო მდიდრულად შემკული ტრიბუნებით გამოირჩეოდა, ასპარეზი კი, როგორც ჩანს, ცხენოსანთა სავარჯიშო მინდორია, უფრო მოკრძალებული შემკულობით. ალბათ სწორედ ამიტომაა, რომ სულხან-საბა იპოდრომს განმარტავს, როგორც ცხენთსარბიელს, ხოლო ასპარეზს - როგორც მინდორსა და მოედანს.

შეკითხვა: გამიგია, რომ თბილისში წარსულში იმართებოდა ხალხმრავალი მუშტი-კრივი უბნებს შორის. თუ არის ამის დამადასტურებელი რაიმე საბუთი შემონახული?

ცოტნე პატარაია
თბილისი

პასუხი: დიახ, თბილისში ტრადიციულად იმართებოდა ხალხმრავალი შერკინება მუშტის კრივში. თანაც არა ერთ, არამედ რამდენიმე ადგილზე. პოეტი ი. გრიშაშვილი ზუსტად აგვიწერს ამ უბნებს. 1883 წელს გაზეთ „შრომაში" (№8) გამოქვეყნებული ვრცელი წერილი კი მრავალ კითხვაზე იძლევა პასუხს. თბილისში ყველაზე ცნობილი იყო „ავლაბრის კრივი", რომელიც კვირაცხოვლობა დღეს ტარდებოდა ამ დღესასწაულის სახელობის ეკლესიის მახლობლად.

მუშტის კრივი იმართებოდა აგრეთვე ქუთაისში, გორსა და თელავში, რომელსაც გადმოცემით, თურმე, მეფე ერეკლეც ესწრებოდა.

1958 წელი. თბილისის ჩოგბურთელთა ნაკრები. მარცხნიდან: ალა ივანოვა, ნინო დედიაშვილი, ალექსანდრე მეტრეველი, ნინო სტვილია, ნელი ნოვასელცოვა, გრანტ მუსაელიანი, იური პერეგულოვი, რენა ამჟანდაძე, ნუგზარ მძინარიშვილი, ვლადიმერ გოგლიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

NBA. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

დალასი მესამე მეოთხედფინალისტია

გუშინ, პლეი ოფის მერვედფინალში კიდევ ერთი სერია დასრულდა. "დალასმა" "ბებერი" სანანტონიოელები ჩემპიონობისთვის ბრძოლას გამოთიშა.

ტეხასურმა დერბიმ გულშემატკივრებს აშკარად გაუცრუა იმედები. მოსალოდნელი დიდი ბრძოლების ნაცვლად, "სპურსმა" მხოლოდ ერთი მატჩის მოგება შეძლო.

სერიაში ბოლო მარცხი "სან ანტონიომ" საკუთარ მოედანზე იწვნია. "დალასმა" გამარჯვება სასტარტო ხუთეულის წევრთა ბრწყინვალე თამაშის წყალობით მოიპოვა. თუ მასპინძელთა გუნდიდან მხოლოდ ორი მოთამაშის - **ტიმ დანკანისა** (30 ქულა+8 მოხსნა) და **ტონი პარკერის** (26 ქულა+12 პასი) გამოყოფა შეიძლება, "მავერიქსის" სასტარტოს ხუთივე წევრმა შეძლო ათზე მეტი ქულის დაგროვება, ამას დაემატა **ჯეისონ ტერი**, რომელიც სათადარიგოთა სკამიდან ჩაება თამაშში და თავის წილი 19 ქულა დააგროვა. ერთი სიტყვით, ადამიანური რესურსები უსაზღვრო არ არის და დანკან-პარკერის დუეტმა მარტო ვერ შეძლო მთელი ტვირთის ზიდვა. თანაც სუპერმატჩი ჩაატარა **დირკ ნოვიცკიმ**, რომელმაც პრაქტიკულად ყველა სროლა ჩააგდო და ორივე ფარზე ხსნიდა ბურთებს.

"მავერიქსმა" "სპურსი" დაამარცხა, - განაცხადა მატჩის შემდეგ "სან ანტონიოს" მთავარმა მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმა**. - *ის, უბრალოდ, უკეთესი გუნდია. ეს არის და ეს*".

რა თქმა უნდა, "სან ანტონიოს" გულშემატკივრები იტყვიან, რომ "სპურსს" **მანუ ჯინობილი** აკლდა, მაგრამ "დალასი" ობიექტურად ძლიერი იყო და ახლა ის მეოთხედფინალში თავის მოწინააღმდეგეს ელოდება. ის სავარაუდოდ "დენვერი" იქნება, რომელიც "ნიუ ორლეანთან" სერიას იგებდა - 3:1.

■ ■ ■

"ბოსტონმა" და "ჩიკაგომ" მორიგი შედევრი გვაჩუქეს. მთელი თამაში ქულა ქულაში მიდიოდა და საფინალო სირენამდე 49 წამით ადრე, ანგარიში თანაბარი იყო - 91:91. თანაფარდობა **ბენ გორდონმა** დაარღვია, რომელმაც საშუალო მანძილიდან ჩააგდო, მაგრამ "ბოსტონს" საპასუხო შეტევისთვის 16 წამი დაუტოვა. მასპინძლებმა ბოლო ტყორცნა **პოლ პირსს** მიანდეს, რომელმაც გუნდი არ დააღალატა - მცველი ჩამოიშორა და ზუსტად ისროლა - 93:93.

ოვერტაიმიც არანაკლებ დაძაბული იყო. 36 წამით ადრე "ჩიკაგო" სამ ქულას აგებდა, მაგრამ ისევ ბენ გორდონმა ისახელა თავი და სამი საჯარიმო ჩააგდო - 104:104. "ბოსტონმა" ისევ ტაიმაუტი აიღო და ამჯერადაც პირსს დაავალა ბოლო წერტილის დასმა. პოლმა **სალმონსი** მოატყუა, სასროლ პოზიციაზე გავიდა და საშუალო დისტანციიდან ჩააგდო - 106:104 "ბოსტონის" სასარგებლოდ. "ჩიკაგოს" ბოლო შეტევისთვის სამი წამი რჩებოდა. პარტნიორებმა **ბრედ მილერი** სასროლად გაიყვანეს, მაგრამ მან ბურთი ააცილა, ოღონდ მეტოქემ "ხარების" ცენტრზე ჯარიმა მიიღო და მილერმა ორი საჯარიმოს უფლება მოიპოვა. ვეტერანმა ორივე ააცილა, რისი წყალობითაც "ბოსტონი" წინ გავიდა სერიაში.

■ ■ ■

აღმოსავლეთი კონფერენციის ერთ-ერთი ფავორიტი "ორლანდო" პირველად გავიდა წინ "ფილადელფიასთან" სერიაში. მეხუთე მატჩში მასპინძლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ თავიდანვე მოეპოვებინათ კომფორტული უპირატესობა. **დუაიტ ჰოვარდი** ზედიზედ ტენიდა ბურთს "სიქსერზის" ფარში, **რაშარდ ლუისმა** კი, როგორც იქნა მაღალი პროცენტით დაიწყო სამქულიანების გამოყენება, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა სოლიდური სხვაობის მოსაპოვებლად.

იგუოდალასა და **მილერის** ზუსტი ტყორცნებით "ფილადელფიამ" მეორე მეოთხედის შუაში ანგარიში გაათანაბრა - 32:32. ამან ჰოვარდის ნერვებზე იმოქმედა და "ორლანდოს" ლიდერმა ჯერ ტექნიკური ჯარიმა მიიღო, შემდეგ კი რამდენიმე საჯარიმო ააცილა. დუაიტი პარტნიორებმა გამოაცოცხლეს, რომლებიც დიდი შესვენების წინ ბურთს თითქმის არ აცილებდნენ. "ორლანდომ" **რედიკის, პიეტრუსის, ელსტონის, თურქოგლუსა** და **გორტატის** ზუსტი ტყორცნების წყალობით გუნდური გაქცევა მოაწყო და "მეჯიქი" ექვსი ქულით დაწინაურდა - 45:39.

მასპინძლებს ტემპი არც შესვენების შემდეგ დაუგდიათ. უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო ელსტონმა, ჰოვარდი კი, როგორც იქნა, განთავისუფლდა **დალემბერისა** და **რეტლიფის** მარწუხებისგან და ზედიზედ ხუთი ქულა დააგროვა. ამის წყალობით, "მეჯიქის" უპირატესობა 10 ქულამდე გაიზარდა. როგორც გაირკვა, ეს გაქცევა გადამწყვეტი ყოფილა. მართალია, სტუმრებმა 4 ქულამდე შეამცირეს ჩამორჩენა, მაგრამ "ორლანდომ" მეტოქე უფრო ახლოს არ მიუშვა. მეოთხე მეოთხედში "ფილადელფიას" თამაშის გადარჩენის შანსი არ ჰქონია. "ორლანდოს" მესამე ნომერმა **რაშარდ ლუისმა** ნამდვილი შოუ მოაწყო - ბოლო 12 წუთში 13 ქულა დააგროვა. "ფილადელფიამ" მხოლოდ ის მოახერხა, რომ გამანადგურებელ მარცხს გადაურჩა, მაგრამ სერიაში "ორლანდო" დაწინაურდა.

■ ■ ■

ჰიუსტონში ორი წაგების შემდეგ, "პორტლენდი" უფსკრულის პირას დადგა და წაგების უფლება არ დაიტოვა. ამჯერად, **ნეიტ მაკმილანმა** მოახერხა თავისი შეგირდების გამარჯვებისთვის განწყობა.

"პორტლენდი" დებიუტშივე დაეუფლა უპირატესობას და მასპინძელთა აქტიურ თამაშს ზუსტი სროლებით **როი** და **ოლდრიჯი** ასრულებდნენ. მესამე მეოთხედში "თრეილ ბლეიზერსის" უპირატესობამ 12 ქულას მიაღწია, მაგრამ ორეგონელთა ახალგაზრდა გუნდმა ამჯერადაც მისცა თავს მოდუნების უფლება. "ჰიუსტონმა" "აიშვა" და **ბრუქსის, ვაფერისა** და **მინის** ზუსტი ტყორცნებით წინ გავიდა - 68:64. ცხადი იყო, რომ ფსიქოლოგიური უპირატესობა **რიკ ადელმანის** გუნდის მხარეს გადავიდა. მაგრამ აქ მასპინძლებმა აჩვენეს ის, რასაც მათგან არავინ ელოდა. ზუსტად სამწუთ-ნახევრის განმავლობაში, მათ ერთი ქულაც არ მოაპოვებინეს მეტოქეს. როცა საფინალო სირენამდე ოთხი წუთით ადრე **რონ არტესტმა** სამქულიანი ჩააგდო, "პორტლენდის" უპირატესობა 8 ქულას უდრიდა. მასპინძლებს აღარ გასჭირვებიათ ამ უპირატესობის შენარჩუნება.

აღმოსავლეთი

ბოსტონი-ჩიკაგო 106:104 (ო)

23:21, 21:26, 22:23, 27:23, 13:11

ბ: რონდო (28+8 მოხსნა+11 პასი), პირსი (26+7 მოხსნა), გ. დევისი (21), პერკინსი (16+19 მოხსნა+7 დაფარება), რ. ალენი (10).

ჩ: ბ. გორდონი (26+6 პასი), ჰაინრიხი (19), სალმონსი (17), დ. როუზი (14+8 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა), ტაირუს ტომასი (12+8 მოხსნა), ნოა (11+17 მოხსნა).

სერია: 3:2

ორლანდო-ფილადელფია 91:78

21:20, 24:19, 24:21, 22:18

ო: დ. ჰოვარდი (24+24 მოხსნა), ლუისი (24), ელსტონი (14).

ფ: იგუოდალა (26), ა. მილერი (17+6 პასი+4 ჩაჭრა), უ. გრინი (16).

სერია: 3:2

დასავლეთი

სან ანტონიო-დალასი 93:106

20:31, 28:21, 19:30, 26:24

ს-ა: დანკანი (30+8 მოხსნა), ტ. პარკერი (26+12 პასი).

დ: ნოვიცკი (31+9 მოხსნა), ტერი (19), ჯ. ჰოვარდი (17+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), კიდი (12+3 ჩაჭრა), დამპიე (11+12 მოხსნა), ბარეა (10).

სერია: 1:4

პორტლენდი-ჰიუსტონი 88:77

29:26, 21:17, 14:19, 24:15

პ: ოლდრიჯი (25+7 მოხსნა), როი (25), ბლეიკი (15+7 მოხსნა), აუთლო (10).

ჰ: სკოლა (21), იაო მინი (15+12 მოხსნა), ბრუქსი (13), არტესტი (10).

სერია: 2:3

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

სან ანტონიო-დალასი. დირკ ნოვიცკი გამარჯვებას ზეიმობს



რაშიდ უოლასი

დეტროიტი იშლება

THE DETROIT FREE PRESS ინფორმაციით, მომავალი სეზონისთვის "დეტროიტ პისტონზის" ხელმძღვანელობა შემადგენლობის კარდინალურად შეცვლას აპირებს. თითქმის გადაწყვეტილია **ალენ აივერსონისა** და **რაშიდ უოლასის** ბედი. დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ ეს კალათბურთელები გუნდში არ დარჩებიან. გარდა ამისა, შეუზღუდავი თავისუფალი აგენტები გახდებიან **ანტონიო მაკდაესი** და **კვამე ბრაუნი**. და კიდევ, "დეტროიტის" დატოვებას უწინასწარმეტყველებენ **ვალტერ ჰერმანსა** და **უილ ბინუმს**.

რაც შეეხება გუნდის მთავარ მწვრთნელ **მაიკლ კარის**, ის თავის პოსტს შეინარჩუნებს. კონტრაქტის მიხედვით, ამ სპეციალისტს "პისტონზთან" კიდევ ორი წელი აკავშირებს.

"დეტროიტის" კალათბურთელებს უკვე გამოუჩნდნენ მსურველები. ერთ-ერთი "სან ანტონიო სპურსია", რომელსაც მოთამაშეთა გაცვლისთვის კარგი ვარიანტები არ გააჩნია და არც სახელფასო ფონდში აქვს დიდი ოდენობით თავისუფალი თანხა. ასეთი სიტუაცია გუნდში 2010 წლის ზაფხულამდე იქნება, როცა ვადა გაუვა **მანუ ჯინობილის** კონტრაქტს. მანამდე კი წლევანდელ ზაფხულს, "სპურსის" ხელმძღვანელობა შემადგენლობის გაძლიერებას ნიჭიერი თავისუფალი აგენტების დამატებით ეცდება, რომლებიც ამ სეზონის დასრულების შემდეგ თანახმანი იქნებიან დაბალ ხელფასზე.

სპეციალიტები "სპურსში" გადასვლის ყველაზე რეალურ კანდიდატად ვეტერან ფორვარდ **რაშიდ უოლასს** ასახელებენ.

ვარაუდობენ "ნიუ ორლეანის" აქტიურობასაც. კლუბის ხელმძღვანელები "დეტროიტის" ორი მოთამაშის - **რიჩარდ ჰემილტონისა და ტაიშონ პრინსის** გადაბირებას შეეცდებიან. სავარაუდოდ, "ჰორნეტსი" მომავალი ტრეიდის განსახორციელებლად თავის მძიმე ფორვარდ **დევიდ უესტს** გამოიყენებს.

თუმცა ამ ტრანსფერის განხორციელება ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან "დეტროიტიდან" გასაშვები კალათბურთელების სიაში ჰემილტონი და პრინსი არ ფიგურირებენ.

ფიშერის აბეზარი თაყვანისმცემელი

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" გამთამაშებელმა **დერეკ ფიშერმა** სასამართლოს თხოვნით მიმართა. კალათბურთელი თაყვანისმცემელი ქალისგან თავის დაცვას ითხოვს. ბოლო დროს, ეს აბეზარი ფანი ძალიან ავიწროებს კალიფორნიელთა მცველს.

ფიშერი ამტკიცებს, რომ ვინმე **სიმონ ფიშერი** (კალათბურთელის ნათესავი არ გახლავთ) მას 2001 წლიდან არ აძლევს მოსვენებას, მაგრამ ბოლო თვეებში სიტუაცია ძალიან დამძიმდა. კალათბურთელის სიტყვებით, სიმონი მუდმივად ჩნდება "ლეიკერსის" ვარჯიშებზე, ფიშერის სახლთან. გარდა ამისა, ამ ქალბატონმა წერილებით აავსო ვეტერანი გამთამაშებელი. ფიშერი სასამართლოს მეუღლისა და ოთხი შვილის დაცვას სთხოვს.

დეტექტივი, რომელიც ამ საქმის გამოძიებით არის დაკავებული, სასამართლოს აკრძალვითი დადგენილების გამოტანას ურჩევს.

უილიამსმა თავის მოკვლა სცადა

ოთხშაბათს, დილის 4 საათზე მანჰეტენის ერთ-ერთ ძვირად ღირებული სასტუმროში პოლიცია გამოიძახეს. ერთ-ერთ ნომერში თავის მოკვლას ცდილობდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი ვარსკვლავი **ჯეისონ უილიამსი**.

მთვრალი კალათბურთელის შესაჩერებლად, პოლიციას პისტოლეტიდან ელექტროშოკის ტყვიების სროლა მოუხდა. ამის შემდეგ, უილიამსი ფსიქიატრიული ექსპერტიზისთვის საავადმყოფოში გადაიყვანეს. კალათბურთელის ნომრის დათვალიერებისას პოლიციამ ნარკოტიკული ნივთიერებების ცარიელი ფლაკონებიც აღმოაჩინა.

უილიამსი NBA-ში ცხრა სეზონი თამაშობდა და 2000 წელს დაასრულა კარიერა. ის ორი კლუბის - "ნიუ ჯერსისა" და "ფილადელფიას" ღირსებას იცავდა.

მუნმა პლეი ოფი დაასრულა

"მაიამი ჰიტის" ფორვარდ **ჯამარიო მუნს** გრიჟა აღმოუჩინეს, რის გამოც ის პლეი ოფის დარჩენილ მატჩებს ვეღარ ითამაშებს. თავდაპირველად, კალათბურთელს, რომელმაც "ატლანტასთან" სერიის მესამე მატჩში ტრავმა მიიღო, შემდეგი დიაგნოზი დაუსვეს - "მუცლის კუნთის დაჭიმვა", მაგრამ მოგვიანებით, მაგნიტო რეზონანსულმა გამოკვლევამ მუნს უფრო სერიოზული პრობლემები აღმოუჩინა.

მუნი ამ სეზონის მსვლელობისას გადავიდა "ტორონტოდან" "მაიამიში", თუმცა, შესაძლოა, აღარ მოუწიოს ფლორიდულ კლუბში თამაშმა, რადგან ამ სეზონის შემდეგ თავისუფალი აგენტი გახდება. წელს ჯამარიოს საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 7.2 ქულასა და 4.6 მოხსნას უდრიდა.

"მაიამის" დღეს უნდა ეთამაშა მერვედფინალური სერიის მეხუთე მატჩი "ატლანტას" წინააღმდეგ. აქამდე გუნდებს ორ-ორი მატჩი ჰქონდათ მოგებული.

ჩოგბურთი

კორიამ თამაში დაამთავრა



2004 წლის როლან გაროსის ფინალისტმა, 27 წლის არგენტინელმა **გილერმო კორიამ** ოფიციალურად გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ. ჩოგბურთელი, რომელიც ხუთი წლის წინ მსოფლიოს კლასიფიკაციაში მესამე ადგილს იკავებდა, 2006 წლის შემდეგ არ გასულა კორტზე. კორიამ აღიარა, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებაზე თვეების განმავლობაში ბევრს ფიქრობდა.

"უკვე დიდი ხანია არ ვთვლი საკუთარ თავს კონკურენტუნარიან ჩოგბურთელად, - წერია კორიას განცხადებაში. - საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე - ჩოგბურთს აღარ ვითამაშებ".

პროფესიულ კარიერაში არგენტინელმა ATP-ის ცხრა ტურნირი მოიგო. ყველაზე დიდ წარმატებებს მან 2004 წელს მიაღწია. იმ სეზონში კორიამ თიხნარზე მხოლოდ ერთი მატჩი წააგო და ისიც როლან გაროსის ფინალში. მაშინ არგენტინელმა პრაქტიკულად მოგებული შეხვედრა დაუთმო თანამემამულე **გასტონ გაუდიოს**. გილერმო სეტებში 2:0-ს იგებდა, ორი მატჩ-პოინტიც ჰქონდა, მაგრამ უპირატესობა ხელიდან გაუშვა. ბოლო სეტი გაუდიომ 8:6 მოიგო.

2004 წლის ბოლოს, არგენტინელმა ტრავმირებულ მხარზე ოპერაცია გაიკეთა და ამ მიზეზით, სულ უფრო იშვიათად ჩნდებოდა კორტზე. თავისი ბოლო ტიტული მან 2005 წელს, ხორვატიის ქალაქ უმაგში მოიგო, მაგრამ მალე რეიტინგის საუკეთესო ასეულის მიღმა აღმოჩნდა.

"2005 წლიდან მოყოლებული ვგრძნობდი, რომ სულ უფრო და უფრო მიჭირდა მეტოქეებთან გამკლავება, - ამბობს კორია. - ალმაფრენა მაკლდა და ასეთ პირობებში რთულია საქმის კარგად კეთება. ჩოგბურთში წარმატების მისაღწევად ყოველთვის ასი პროცენტით უნდა იყო მზად".

წელს, კორია ერთადერთხელ გავიდა კორტზე. არგენტინელმა ბანგკოკის ჩელენჯერში მიიღო მონაწილეობა და პირველივე წრიდან გამოეთიშა ტურნირს.

"ბედნიერი ვარ, რომ ასეთი გადაწყვეტილება მივიღე. ახალი პროექტები მაქვს მოფიქრებული, გარდა ამისა, ოჯახთან მეტი დროის გატარებას შევძლებ", - ასრულებს კორია.

როლან გაროსი და უიმბლდონი ნალბანდიანის გარეშე

უიღბლოდ ვითარდება წლევანდელი სეზონი არგენტინული ჩოგბურთის ლიდერ **დავიდ ნალბანდიანისთვის**. დიდი რისკი არსებობს იმისა, რომ ამ ჩოგბურთელმა როლან გაროსი, უიმბლდონი და დევისის თასის მეოთხედფინალი (არგენტინა-ჩეხეთი) გამოტოვოს, რომელიც 10-12 ივლისს, ჩეხეთის ქალაქ ოსტრავაში გაიმართება. საქმე ისაა, რომ დავიდს, შესაძლოა, ტრავმირებულ მარჯვენა ბარძაყზე ოპერაცია დასჭირდეს.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას სწორედ ამ დაზიანების გამო მოიხსნა 27 წლის არგეტინელი ბარსელონას ტურნირიდან. ნალბანდიანს მსოფლიოს პირველ ჩოგან **რაფაელ ნადალთან** მეოთხედფინალი ელოდა, მაგრამ კორტზე გასვლა ვერ მოახერხა.

ნალბანდიანის ექიმის **ანხელ რუის-კოტოროს** თქმით, ქირურგიული ჩარევის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას რამდენიმე დღეში მიიღებენ, მანამდე კი ჩოგბურთელი მკურნალობის კურსს გააგრძელებს. *"კარგად შევისწავლით დავიდის ფიზიკურ მდგომარეობას და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ საბოლოო გადაწყვეტილებას"*, - აღნიშნა რუის-კოტორომ.

ლეგენდები ჩინეთში მიდიან

მსოფლიოს ჩოგბურთის ლეგენდები - **ჯონ მაკინროი, ბიორნ ბორგი, მაიკლ ჩანგი, მატს ვილანდერი** და **მარსელო რიოსი** ვეტერანთა სერიის ახალ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც 5-8 ნოემბერს ჩინეთის ქალაქ ჩენდუში გაიმართება.

"მოხარული ვარ, რომ მრავალწლიანი პაუზის შემდეგ, ისევ მომინევს ჩინეთში გამგზავრება. ამ მომენტისთვის, ეს ქვეყანა ჩოგბურთის სამყაროში აქტიური მოთამაშის როლს ირგებს. ვიცი, რომ ჩენდუ გიგანტური პანდას სახლით არის განთქმული. ამ ქალაქისთვის საამაყო უნდა იყოს ვეტერანთა ტურნირის მასპინძლობა. ბედნიერი ვარ, რომ ისევ შევხვდები კორტზე ჩემს ძველ მეგობარ ბიორნ ბორგს. ჩვენ ყოველთვის ლამაზი მატჩები გამოგვდიოდა, რომელიც უკვე ჩოგბურთის ისტორიის ნაწილი გახდა", - განუცხადა ლეგენდარულმა ამერიკელმა ჯონ მაკინრომ Tennis Week-ს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჰოკეი

მსოფლიოს ჩემპიონატი

ჯგუფური ტურნირი

A ჯგუფი

უნგრეთი-ბელარუსი 1:3

0:1, 1:0, 0:2

გოლები: 0:1 კალიუგინი-1 (ანტონენკო-1, სალეი-2), 1:1 პეტერდი-2 (ლადანი-2, ვაში-1), 1:2 უგაროვი-1 (კალიუგინი-1, გრაბოვსკი-1), 1:3 გრაბოვსკი-2 (კალიუგინი-2, სალეი-3).

კანადა-სლოვაკეთი 7:3

3:0, 3:1, 1:2

გოლები: 1:0 დ. რიი-2 (სენტ ლუისი-3, შ. უებერი-1), 2:0 დოუნი-1 (სენტ ლუისი-4, ჰიტლი-2), 3:0 სპეცა-3 (შ. უებერი-2, ჰიტლი-3), 3:1 სუროვი-1 (ოლვეცკი-1), 4:1 ი. უაიტი-1 (სტემკოსი-1, სენტ ლუისი-5), 5:1 შ. უებერი-3 (სენტ ლუისი-6), 6:1 სტემკოსი-3 (ლომბარდი-1, შ. უებერი-3), 7:1 სპეცა-4 (ლომბარდი-2), 7:2 მარსელ ჰოსა-3 (მიკუში-1, რუჟიჩკა-1), 7:3 გრანიაკი-1 (ნადი-1, რადივოევიჩი-1).

	თ	მ	ო-მ	წ	ო-წ	ბ	ქ
1. კანადა	3	3	0	0	0	22-4	9
2. ბელარუსი	3	1	1	1	0	5-8	5
3. სლოვაკეთი	3	1	0	1	1	8-11	4
4. უნგრეთი	3	0	0	3	0	4-16	0

B ჯგუფი

რუსეთი-შვეიცარია 4:2

1:2, 1:0, 2:0

გოლები: 1:0 ატიუშოვი-1 (კოვალჩუკი-2, გრებეშკოვი-1), 1:1 გარდნერი-1 (რუტემანი-1, ბლინდენბახერი-1), 1:2 პლუსი-2 (შრტაიტი-2, რუტემანი-2), 2:2 კოვალჩუკი-3 (ზინოვიევი-2), 3:2 მოროზოვი-1 (კოვალჩუკი-3), 4:2 პერეჟოგინი-2).

საფრანგეთი-გერმანია 2:1

2:1, 0:0, 0:0

გოლები: 1:0 ლუსიე-1, 1:1 ჰეხტი-1 (ბაკოსი-1), 2:1 ტარდიფი-2 (მონიე-1).

	თ	მ	ო-მ	წ	ო-წ	ბ	ქ
1. რუსეთი	3	3	0	0	0	16-4	9
2. შვეიცარია	3	1	1	1	0	6-6	5
3. საფრანგეთი	3	1	0	2	0	4-9	3
4. გერმანია	3	0	0	2	1	3-10	1

NHL. პლეი ოფი. 1/8 ფინალი

აღმოსავლეთი

ვაშინგტონი-რეინჯერსი 2:1

1:1, 0:0, 1:0

გოლები: 0:1 ანტროპოვი-2 (დუბინსკი-3, ეივერი-2), 1:1 სიომინი-5 (ბექსტრიომი-7, მ. გრინი-4), 2:1 ფიოდოროვი-1 (ბრედლი-1).

სერია: 4:3

ნიუ ჯერსი-კაროლინა 3:4

2:1, 1:1, 0:2

გოლები: 0:1 ტ. რუუტუ-1 (კულენი-2, საიდენბერგი-3), 1:1 ლანგენბუნერი-2 (პარიზე-3, ზაიაცი-3), 2:1 პანდოლფო-1 (მადენი-1, შენეპანი-1), 2:2 რეი უიტნი-3 (ე. სტაალი-2, ლაროუზი-4), 3:2 როლსტონი-1 (ჯონტა-3, შენეპანი-2), 3:3 ი. იოკინენი-3 (პიტკანენი-4, გლისონი-2), 3:4 ე. სტაალი-5 (ლაროუზი-5, გლისონი-3).

სერია: 3:4

გოლი+პასი

ევგენი მალკინი (პიტ)	9 (4+5)
ალექსანდრ სიომინი (ვაშ)	8 (5+3)
სიდნი კროსბი (პიტ)	8 (4+4)
რაიან გეტცლაფი (ანა)	8 (2+6)
ერიკ სტაალი (კარ)	7 (5+2)
მაიკლ რაიდერი (ბოს)	7 (4+3)
რეი უიტნი (ანა)	7 (3+4)
ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ)	7 (3+4)
ჩად ლაროუზი (კარ)	7 (2+5)
კრის ვერსტეეგი (ჩიკ)	7 (2+5)
ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ)	7 (0+7)

გოლები

ერიკ სტაალი (კარ)	5
ალექსანდრ სიომინი (ვაშ)	5
მაიკლ რაიდერი (ბოს)	4
ფილ კესელი (ბოს)	4
ევგენი მალკინი (პიტ)	4
სიდნი კროსბი (პიტ)	4
ბობი რაიანი (ანა)	4

პასები

ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ)	7
რაიან გეტცლაფი (ანა)	6
ჩად ლაროუზი (კარ)	5
ბრენტ სიბრუკი (ჩიკ)	5
კრის ვერსტეეგი (ჩიკ)	5
ევგენი მალკინი (პიტ)	5

1/4 ფინალის კალენდარი

აღმოსავლეთი

ბოსტონი (1)-კაროლინა (6)

1 მაისი	ბოსტონი-კაროლინა
3 მაისი	ბოსტონი-კაროლინა
6 მაისი	კაროლინა-ბოსტონი
8 მაისი	კაროლინა-ბოსტონი
10 მაისი*	ბოსტონი-კაროლინა
12 მაისი*	კაროლინა-ბოსტონი
14 მაისი*	ბოსტონი-კაროლინა

ვაშინგტონი (2)-პიტსბურგი (4)

2 მაისი	ვაშინგტონი-პიტსბურგი
4 მაისი	ვაშინგტონი-პიტსბურგი
6 მაისი	პიტსბურგი-ვაშინგტონი
8 მაისი	პიტსბურგი-ვაშინგტონი
9 მაისი*	ვაშინგტონი-პიტსბურგი
11 მაისი*	პიტსბურგი-ვაშინგტონი
13 მაისი*	ვაშინგტონი-პიტსბურგი

დასავლეთი

დეტროიტი (2)-ანაჰაიმი (8)

1 მაისი	დეტროიტი-ანაჰაიმი
3 მაისი	დეტროიტი-ანაჰაიმი
5 მაისი	ანაჰაიმი-დეტროიტი
7 მაისი	ანაჰაიმი-დეტროიტი
10 მაისი*	დეტროიტი-ანაჰაიმი
12 მაისი*	ანაჰაიმი-დეტროიტი
14 მაისი*	დეტროიტი-ანაჰაიმი

ვანკუვერი (3)-ჩიკაგო (4)

30 აპრილი	ვანკუვერი-ჩიკაგო
2 მაისი	ვანკუვერი-ჩიკაგო
5 მაისი	ჩიკაგო-ვანკუვერი
7 მაისი	ჩიკაგო-ვანკუვერი
9 მაისი*	ვანკუვერი-ჩიკაგო
11 მაისი*	ჩიკაგო-ვანკუვერი
14 მაისი*	ვანკუვერი-ჩიკაგო

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

საფრანგეთი

რენი-ბორდო	2:3

დანიის თასი

ოლბორგი-ბრონდბიუ	1:1

შვედეთი

გაის-ჰამარბიუ	2:2
ჰალმსტადი-იურგორდენი	3:0
მალმიო-გეფლე	0:0
აიკ-ჰელსინგბორგი	0:3

II დივიზიონი

ასირისკა-ანგელჰოლმი	2:1
ფალკენბერგი-სირიუსი	3:1
იონჩოპინგი-ვასალუნდსი	3:1
ლიუნგსკილე-ტროლჰატანი	0:1
მიალგიუ-სუნდსვალი	4:2
ნორჩოპინგი-კვიდინგი	1:1
ვასბი-სირიანსკა	2:2

ფინეთი

ლაჰტი-როვანიემი	4:1
ჰაკა-ჰიკ	1:2
მარიეჰამნი-კუოპიო	3:0
ინტერი-იარო	1:0
მიუპა-ტამპერე	4:1

პოლონეთის თასი

ლეგია-რუხი	0:1

პოლონეთი

ლიგის თასი

არკა-შლიონსკი	1:0

სლოვენიის თასი

კოპერი-გორიცა	0:1
მარიბორი-ინტერბლოკი	2:3

უნგრეთი

მტკ-უიპეშტი	3:2

რუმინეთის თასი

კლუჟი-ვასლუი	2:0

იაპონია

კავასაკი-კიოტო	4:1
ნიიგატა-ჯეფ იუნაიტედი	2:2
ომიია-იამაგატა	0:3
ნაგოია-ჰიროშიმა	0:0
კაშივა-ოიტა	2:1
შიმიცუ-ურავა	2:2
იოკოჰამა-ივატა	1:0
კაშიმა-კობე	1:0
გამბა-ტოკიო	4:2

კალათბურთი

საფრანგეთის თასი

1/2 ფინალი

ლე მანი-სტრასბური	78:60
ნანსი-როანი	89:74

გერმანია

ოლდენბურგი-ჰეტინგენი	60:77

საბერძნეთი

პლეიოფი

პანელინიოსი-მარუსი	57:93
პანიონისი-არისი	75:79

ჰოკეი

მსოფლიოს ჩემპიონატი

ლატვია-ავსტრია	2:0
ნორვეგია-დანია	4:4
ჩეხეთი-ფინეთ	3:4
შვედეთი-აშშ	5:5

ჩოგბურთი

ATP. რომი

შტეპანეკი-სერა	7:6, 4:6, 7:5
ცონგა-გასკე	6:7, 4:6
მიურეი-მონაკო	6:1, 3:6, 5:7
რობრედო-კოლშრაიბერი	6:2, 7:6
სიოდერლინგი-კრივოი	6:1, 6:7, 6:1
ჩილიჩი-კ. როხუსი	6:0, 5:7, 6:2
ვერდასკო-ფიში	6:4, 5:7, 6:3
დავიდენკო-მელცერი	5:7, 6:7
ფედერერი-კარლოვიჩი	6:4, 6:4
ვავრინკა-იუჟნი	6:3, 7:6
გონსალესი-ტიპსარევიჩი	6:4, 6:4
ნადალი-სეპი	6:2, 6:3
სიმონი-ფონინი	6:7, 6:2, 6:3
დელ პოტრო-ტროიცკი	6:3, 1:6, 6:3

WTA. ფესი

ვინჩი-ჰერცოგი	2:6, 4:6
დომინგეს პინო-კეოტავონგი	4:6, 7:5, 6:3
პეერი-ჰრადეცკა	4:6, 1:6
დომახოვსკა-ფერნანდესი	6:4, 6:4
მედინა გარიგესი-ზაკოპალოვა	1:6, 7:6, 6:3
პავლიუჩენკოვა-ჩინკი	6:7, 6:3, 3:6
კლეიბანოვა-გროტი	6:4, 6:1
მაკაროვა-მორიგამი	6:0, 6:1

WTA. შტუტგარტი

პეტროვა-ჟიე ჟენგი	6:4, 5:7, 6:4
კუზნეცოვა-პეტკოვიჩი	6:4, 5:7, 6:1
აზარენკა-დულკო	4:6, 3:6
პენეტა-ჩაკვეტაძე	6:2, 6:0
იანკოვიჩი-ციბულკოვა	6:1, 6:1
ლისიცკი-შნიდერი	6:4, 6:3

TV პროგრამა

30 აპრილი. ხუთშაბათი

HTB-პლიუსი (ფეხბურთი)

06:45 გერმანიის ჩემპიონატი. კოტბუსი-ვოლფსბურგი.
08:30 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
10:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. კოლო კოლო (ჩილე)-პალმეირასი (ბრაზილია).
14:10 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა
17:25 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
19:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
19:30 სასტვენი.
20:00 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
21:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
23:00 ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ტურნირი. კოლო კოლო (ჩილე)-პალმეირასი (ბრაზილია).
00:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:05 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
02:10 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-ჩელსი.
04:10 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. არგენტინის ჩემპიონატი. კოლონი-ველეს სარსფილდი.

HTB-პლიუსი (ონლაინი)

08:00 სპორტული დილა.
08:45 ბრძოლა წესების გარეშე.
11:35 ახალი ამბები.
12:05 სპორტის აკვატორია.
12:35 ფიგურული სრიალი.
14:15 სპორტული დღე.
15:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. რომი. იტალია (LIVE).
20:55 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/2 ფინალი. რაინი (გერმანია)-კილი (გერმანია). საპასუხო მატჩი (LIVE).
22:30 სპორტული საღამო.
23:00 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი.
01:05 ახალი ამბები.
01:15 კალათბურთი. NBA.
02:00 სიჩქარის სამყარო. ტელეჟურნალი.
02:30 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიოს თასი. პორტუგალია.
05:00 ახალი ამბები.
05:30 წყალში ხტომა. მსოფლიოს სერია. მექსიკა.

EUROSPORT

10:30 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
11:00 ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. უდინეზე-ვერდერი.
12:30 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
14:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. შტუტგარტი. გერმანია.
16:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
17:45 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
20:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
22:00 სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
01:00 პრო-რესტლინგი.
02:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი. ბარსელონა-ჩელსი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. შოტლანდია.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. შოტლანდია.
12:05 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. არგენტინა.
13:00 ახალი ამბები.
13:30 ექსტრემალური სპორტი.
14:30 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. შოტლანდია.
15:00 კარტინგი. ევროპის ჩემპიონატი. იტალია.
15:30 ახალი ამბები.
16:00 ექსტრემალური სპორტი.
17:00 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი.
18:45 ახალი ამბები.
19:00 ტრიალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტუგალია.
20:00 ახალი ამბები.
20:30 პრო-რესტლინგი.
21:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/2 ფინალი. რაინი (გერმანია)-კილი (გერმანია). საპასუხო მატჩი (LIVE).
22:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი (LIVE).
00:30 სერფინგი. შოტლანდია.
00:45 კარომი. მსოფლიოს ტური. საფრანგეთი
01:15 ახალი ამბები.
01:45 სერფინგი. შოტლანდია.
02:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოპინგი

ახალი სკანდალი

პეკინის ოლიმპიადის ოქროს და ვერცხლის პრიზიორებს დოპინგის მიღება დაუმტკიცეს

გუშინ, მსოფლიოს სპორტული სამყარო ახალი დოპინგ-სკანდალის გავრცელებას ადევნებდა თვალს. ეს ისტორია საგენტო AP-ის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციით დაიწყო. პეკინის ოლიმპიადაზე მონაწილე ექვსი სპორტსმენის დოპინგტესტში აკრძალული პრეპარატის ერითროპოეტინის მესამე თაობა - CERA აღმოაჩინეს.

სპორტმენთა გვარები არ დაუსახელებიათ, თუმცა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა, რომ შესაბამისი შეტყობინებები გაუგზავნა დამნაშავე ათლეტთა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს.

სოკ-მა 2008 წლის ოლიმპიადის შემდეგ, 948 სპორტსმენის დოპინგტესტი ხელმეორედ შეამოწმა. განმეორებითი ანალიზის ჩატარება მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც დოპინგსინჯებში CERA-ს აღმოჩენის ტექნოლოგია შეიმუშავეს.

იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენთა ბრალი დამტკიცდება, მათ პეკინში მოპოვებულ მედლებს ჩამოართმევენ და სამუდამოდ აუკრძალავენ ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლას. ლაბორატორიებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ველომრბოლების, ნიჩბოსნების, მოცურავეების, მძლეოსნებისა და ძალოსნების სინჯებს.

პეკინის ოლიმპიადის მსვლელობისას, სოკ-მა ცხრა სპორტსმენს მისცა დისკვალიფიკაცია. ოლიმპიურ კომიტეტს უფლება აქვს სინჯები რვა წლის განმავლობაში შეინახოს და საჭიროების შემთხვევაში, ხელმეორედ შეამოწმოს. ამჯერად, სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

დღის განმავლობაში, ამ საქმესთან დაკავშირებით სხვა დეტალებიც გახდა ცნობილი. კერძოდ, ექვსი მხილებული სპორტსმენიდან, ორი პეკინის თამაშების მედალოსანი აღმოჩნდა. მალე მათი ვინაობაც გაირკვა.

იტალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა დაადასტურა ჟურნალისტთა ვარაუდი, როდესაც ოფიციალურად გამოაცხადა, რომ დოპინგის მიღებაში მხილებულია ცნობილი ველომრბოლი **დავიდე რებელინი**, რომელმაც პეკინში ჯგუფურ რბოლაში მეორე ადგილი დაიკავა.

დოპინგის გამოყენება ერთ ოლიმპიურ ჩემპიონსაც დაუმტკიცეს. ეს გახლავთ წარმოშობით მაროკოელი მძლეოსანი **რაშიდ რამზი**, რომელმაც პეკინში ბაჰრეინის სახელით, 1500 მეტრ დისტანციაზე სირბილში ოქროს მედალი მოიპოვა.

იმ შემთხვევაში, თუ რამზის მედალს ჩამოართმევენ, 1500 მეტრზე სირბილში ოლიმპიურ ჩემპიონად კენიელი **ასბელ კიპრუტო კიპროპი** გამოცხადდება, რომელმაც იმ გარბენში მეორე ადგილი დაიკავა. შესაბამისად, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელები გახდებიან - ახალზელანდიელი **კინოლას უილისი** და ფრანგი **მეჰდი ბაალა**.

დაბოლოს, გუშინ გერმანიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა აღიარა, რომ ველომრბოლი **შტეფან შუმახერი** იმ ექვს სპორტსმენს შორისაა, რომლებიც პრეპარატ CERA-ს მიღებაში არიან მხილებულნი. სხვათა შორის, ეს ველომრბოლი შარშან ოქტომბერშიც გამოიჭირეს ერითროპოეტინის მესამე თაობის დოპინგის მიღებაში და ის ამჟამად ორწლიან დისკვალიფიკაციას იხდის.

ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩი



სანია (მარჯვნივ) რუნის ელობება

მანჩესტერი-არსენალი 1:0

მანჩესტერი: ვან დერ სარი - ო'ში, ფერდინანდი (88. ევანსი), ვიდიჩი, ევრა - ფლეტჩერი, ქერიკი - კრისტიანო რონალდო, ანდერსონი (67. გიგზი) - რუნი, ტევესი (67. ბერბატოვი).

არსენალი: ალმუნია - სანია, კოლო ტურე, სილვესტრი, გიბსი - სონგი, დიაბი - უოლკოტი (71. ბენდტნერი), ფაბრეგასი, ნასრი - ადებაიორი (83. ედუარდო).

გოლი: 1:0 ო'ში (17)

არბიტრი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)

მაყურებელი: 74 733

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: არსენალი

პირველი ჯარიმა: არსენალი

პირველი კუთხური: მანჩესტერი

პირველი გაფრთხილება: მანჩესტერი

14 (7)	დარტყმა	4 (1)
10	ჯარიმა	9
4	კუთხური	0
5	თამაშგარე	2
1	გაფრთხილება	0
52%	ბურთის ფლობა	48%

ფორმულა 1

მაკლარენი დაისაჯა... პირობითად

ღორის გრიპი ბარსელონის ეტაპს ჩაშლის?

გუშინ, პარიზში ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) მსოფლიოს საბჭოს საგანგებო სხდომა გაიმართა, სადაც ავსტრალიის გრანპრიზე „მაკლარენის" წარმომადგენლების მიერ სტიუარდების მოტყუების საქმე განიხილებოდა. ვარაუდობდნენ, რომ ბრიტანულ საჯინიბოს მომდევნო სამ რბოლაში დისკვალიფიკაციას მისცემდნენ, საბჭოს წევრებმა კი ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს:

„ამ საქმისადმი გუნდის ხელმძღვანელის მარტინ უიტმარშის ღია და პატიოსანი მიდგომის გათვალისწინებით, FIA-მ გადაწყვიტა, არ დააწესოს ჯარიმა, რომელიც ჩვეულებრივ, ასეთ შემთხვევებში გამოიყენება.

ეს ჯარიმა მსოფლიოს ჩემპიონატის სამ ეტაპზე გუნდის დისკვალიფიკაციას ითვალისწინებს. მას ჩვენ იმ შემთხვევაში გამოვიყენებთ, თუ ამ საქმესთან დაკავშირებით ახალ მტკიცებულებებს აღმოვაჩენთ".

ასე რომ, „მაკლარენმა" პირობითი სასჯელი მიიღო და ბრიტანულ საჯინიბოს შეუძლია, მშვიდად მოემზადოს 10 მაისს, ბარსელონაში გასამართი ესპანეთის გრანპრისთვის.

■ ■ ■

მაშ ასე, „მაკლარენს" ესპანეთის ეტაპზე გამოსვლის უფლება მისცეს, მაგრამ თავად ამ გრანპრის გამართვას საფრთხე ემუქრება. ბოლო მონაცემებით, სწორედ კატალონიაში აღინიშნება გრიპის ახალი ვირუსი, რომელსაც „ღორის გრიპი" უწოდეს. „ავტოსპორტის" ინფორმაციით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ პანდემიის წარმოქმნის რისკი მეოთხე დონემდე აიყვანა.

ეს ვირუსი ჰაერწვეთოვანი გზით ვრცელდება და მაღალი სიკვდილიანობით აღინიშნება. მექსიკაში, რომელიც „ღორის გრიპის" კერად ითვლება, უკვე 150 ადამიანი გარდაიცვალა.

სენაზე ფილმს გადაიღებენ



ბრიტანული კინოკომპანია Working Title Films, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს კონცერნ Universal Pictures-თან, სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის გადაღებას იწყებს, რომელიც ლეგენდარულ ბრაზილიელ პილოტ **აირტონ სენასა** და ფორმულა 1-ში მის ბრწყინვალე კარიერაზე მოგვითხრობს.

როგორც იცით, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი 1994 წელს ტრაგიკულად დაიღუპა.

ფილმის შემქმნელები ვრცლად მოგვიყვებიან ლეგენდარული პილოტის ცხოვრებასა და სამუშაოზე, მის მიღწევებზე სპორტში და მის ლტოლვაზე, ყოფილიყო ყველაფერში სრულყოფილი.

სენას ოჯახის წევრებმა უკვე აღუთქვეს კინემატოგრაფისტებს სრული დახმარება, ვიდეომასალებს **ბერნი ექლსტოუნის** კომპანია - Formula One Management მიაწვდის და ეს იქნება პირველი მასშტაბური ფილმი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის შესახებ. გადაღებები მაისში დაიწყება.

Working Title Films ცნობილი კომპანია. სწორედ მისი გადაღებულია ცნობილი ფილმები - „თარჯიმანი", „ნოტინგ ჰილი", „ოთხი ქორწილი და ერთი დასაფლავება"...

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა